ლიტერატურული საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

7 მარტი 2025წ. №3 (4099) გამოცემის 94-ე წელი ფასი 2 ლარი

ვაჟა მირზაძე

არყოფნის კართან

არყოფნის კართან, არყოფნის კართან,
ვიგონებ ყველა გარდაცვლილ პოეტს,
ვიხსენებ დღეებს მუდამ შფოთიანს,
ჩემი სიცოცხლის ანსა და ჰოეს.

ღირდა კი მოსვლა? ღირდა კი მოსვლა?
ან ყოფნით ჩემით ვის და რა ვარგე,
რა ჩინ-მაჩინი ვაბნიე ქარში,
ღმერთო, რამდენი დღეები ვფლანგე.

ჩემს ბებრულ ყოფას ჩამცხრალვნებიანს.
აწუხებს გული, მეტადრე წნევა,
ულექსო დღეთა მიმყვება ჯარი,
თითქოს ეკლიან ლოგინში ვწევარ.

და ხვითოსავით დავეძებ ყველგან,
ვუსტვენ მუზაზე დაგეშილ მწევარს,
ყურში ვგრძნობ, ყურში მდევარის სუნთქვას
და მიუწვდომელს შევტირი მწვერვალს.

დავიწყებული, მიტოვებული,
კალამაყრილი, არყოფნის ტყვე ვარ,
აი, მთავრდება სპექტაკლი დიდი
და მთავარ როლში ამჟამად მე ვარ!

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორის

განცხადება

მივდივარ. ვამთავრებ მუშაობას გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორის თანამდებობაზე.

იმიტომ, რომ საკმარისი ფული ვერ მოვუტანე რედაქციას, თანამშრომლებს ვერ მივეცი ღირსეული ხელფასი, რომელიც მათაც დააკმაყოფილებდა და მათს ოჯახებსაც.

2019 წლის აპრილში მოვედი იმისათვის, რათა აღმედგინა ჩვენი საყვარელი გაზეთის გამოცემა.

აღვადგინეთ. დავიწყეთ გამოშვება, მაგრამ მალე წინ გადაგვეღობა პირაშკმული ვეშაპი - ფულის დეფიციტი!

ჩემი მისვლა თანამშრომლებმა ფინანსურ უზრუნველყოფასთან გააიგივეს და ამაში სრულიად მართალნი იყვნენ. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ჯერ ფულია მთავარი და შემდეგ ყველაფერი სხვა.

სუბსიდირების გარეშე ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების გამოცემა დღეს შეუძლებელია.

დავიწყე სპონსორებისა და ფინანსური წყაროების ძებნა. მეგობრების დახმარებით მივმართე რამდენიმე ძალიან ცნობილ ფირმას, მოვსინჯეთ მისასვლელი გზები კულტურის სამინისტროსთან, წერილი გავუგზავნეთ მაშინდელ პრემიერ-მინისტრს, ველაპარაკეთ მეგობრებს საქართველოს ორ დიდ ქალაქში, ჩვენი საწუხარი გავუზიარეთ მდიდარ ნაცნობებს, მაგრამ სრული დუმილი... „არსაიდამ ხმა, არსით ძახილი...“

ღმერთმა უშველოს ჩვენს მკითხველებსა და ავტორებს! რომ არა მათი დახმარება, გაზეთის გამოცემა შეუძლებელი იქნებოდა.

მიზერულ თანხებს, რაც გროვდებოდა, თანამშრომლებს ვაძლევდი. თვითონ არასოდეს ერთი თეთრიც არ ამიღია, აქეთ კი ბევრი დამიდვია საკუთარი ჯიბიდან. თუმცა დღეს ეს ფაქტიც ჩემს წინააღმდეგ მეტყველებს, ყოველ შემთხვევაში, არ მამართლებს.

რედაქცია რომ უზრუნველყოფილი გყავდეს, ამისათვის საჭიროა შესაბამისი მარიფათი, გავლენა-გამავლობა მთავრობაში და საწყისი კაპიტალი მაინც...

არ დადგა ჩემგან კაპიტალისტი.

ბოდიშს ვუხდი ჩემს თანამშრომლებს, ბოდიშს ვუხდი ჩვენს მკითხველებს, ავტორებს, ხელმომწერებს, მეგობრებს, ყველას, ვისთვისაც სულერთი არ არის „ლიტერატურული საქართველოს“ ბედი.

ოცდაცხრამეტი წლის წინ, 1986 წელს, ვახტანგ ჭელიძემ მიმიღო რედაქციაში. მას შემდეგ „ლიტერატურული საქართველო“ ჩემს მეორე ოჯახად მიმაჩნია. ასეა ახლაც. მაგრამ ზოგჯერ ოჯახიდანაც მიდიან.

მივდივარ და ვიმედოვნებ, რომ შემდგომი რედაქტორი იქნება ჩემზე მარიფათიანი, ჩემზე გავლენიანი და ჩემზე მდიდარი.

კარგად ბრძანდებოდეთ. ღირსებით გევლოთ.

ივანე ამირხანაშვილი

მერაბ ელიოზიშვილი - 90

გულქართლი

მწერალი და მოძღვარი

გასული წლის მიწურულს, ცნობილ ლიახვისპირელ მწერალს, დრამატურგსა და მოძღვარს მერაბ ელიოზიშვილს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა. საქართველოს მწერალთა კავშირმა 2024 წელი ქართული სიტყვის დიდოსტატის წლად გამოაცხადა.

„აიწეწება ფიქრის გორგალი, შემომატარებს ლიახვს და ფრონეს, მაჩაბლის მამულს, ღვთისგან კურთხეულს, ივერთ სამკვიდროს ვინ განაშორებს!“ - მართლაცდა, სევდისმომგვრელი იყო კაცი–მართალის ცხინვალქალაქთან განშორება.

როგორც პროფესორი ნოდარ ტაბიძე აღნიშნავდა, **- მერაბ ელიოზიშვილისთვის მოკვეთილი აფხაზეთი, იფქლმორეული სამაჩაბლო თუ ამღვრეული ჯავახეთი მხოლოდ ტკივილი როდია, ეს არის ყოველდღიური**

▶▶ დასასრული მე–2 გვ.

მომავლის მოაზროვნე

თამაზ ჩხენკელი — გვ. 2

გალაკტიონოლოგია

ნინო დარგაისელი — გვ. 3

თემო ნაცვლიშვილი-100

სამსონ ლეჭავა — გვ. 6

მოთხრობა

გიორგი სოსიაშვილი — გვ. 8

ესთეტიკაზე

ალენი — გვ. 15

მომავლის მოაზროვნე



თამაზ ჩხენკელი - ჩვენი დროის თვალსაჩინო ლიტერატორი, პოეტი, მთარგმნელი, კულტუროლოგი. მისი წიგნების გარეშე წარმოუდგენელია მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობა. გამორჩეული ინტელექტი, დახვეწილი გემოვნება, მწყობრი მსოფლმხედველობა, აზროვნების მათემატიკური სიზუსტე, ნათელხილვის უნარი და ქართული ენის უზადო ცოდნა - ეს თვისებები მას უდავო ავტორიტეტსა და სიმაღლეს სძენდა. ის იყო თავისი თაობის ერთ-ერთი ლიდერი და ლიტერატურული ნოვაციების დამამკვიდრებელი. საკმარისია თვალი გადავავლოთ თამაზ ჩხენკელის წიგნებს, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ მისი ღვაწლის განსაკუთრებულობაში -

გამოქვეყვებული თარგმანები: ბოძიუ-ი (1956), რაბინდრანათ თაგორის „გიტანჯალი“ (1960), „ბჰაგავატგიტა“ (1963), „აღმოსავლური ლირიკა“ (1966), დანტე ალიგიერის „ახალი ცხოვრება“, ბაჩანა ბრეგვაძესთან ერთად (1967), ჰომეროსის „ოდისეა“, ზურაბ კიკნაძესთან ერთად (1975), „პუშკინის მცირე ტრაგედიები“ (1978), „ახალი ინდოეთის მოაზროვნეები“ (1978), „მარიოტა“ (1986), „დუმილი“ (ფრაგმენტები ა. ფ. ლოსევის გამოკვლევებიდან, 1993), ხორხე ლუის ბორხესის მოთხრობები (1996), „ინდური ლოტოსი“ (2006), ძველი ჩინური, იაპონური, კორეული პოეზია (2006), „თვალსაწიერი“ (ევროპელი და ამერიკელი მწერლების, ფილოსოფოსებისა და ანთროპოლოგების წერილების თარგმანთა კრებული, 2013);

ლექსების კრებულები: „მზებუდობა“ (1980), „სარკითა და სახითა“ (2002), „100 ლექსი“ (2012);

ესეისტურ–ლიტერატურისმცოდნეობითი შრომები: „ტრაგიკული ნიღბები“ (1971), „პოეზია - სიბრძნის დარგი“ (1978), „მშვენიერი მძლევარი“ (1989), „მწვანე ბივრიტი“ (2002);

სამეცნიერო გამოკვლევა „ლაზარე, გამოვედ გარე“ (ქართული ასომთავრულის შესახებ, 2009).

და აი, ახლახან გამომცემლობა „ინტელექტმა“ სერიით „ინტელექტი“ სკოლას“ გამოსცა თამაზ ჩხენკელის წიგნი სათაურით „ვაჟა - მომავლის პოეტი“. ეს არის კრებული, რომელშიც შედის ავტორის წერილები ვაჟა-ფშაველაზე და ცნობილი გამოკვლევა „ტრაგიკული ნიღბები“, რომელშიც ახსნილია ალუდა ქეთელაურის იდეურ-ესთეტიკური ფენომენი.

წიგნის წარდგინება გაიმართა 1 თებერვალს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში. საღამო საკმაოდ ხალხმრავალი იყო. პრეზენტაციაზე დასწრების მსურველებს დარბაზი ვერ იტევდა. ეს ფაქტიც მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენს განათლებულ საზოგადოებას თამაზ ჩხენკელი კარგად ახსოვს, ცოცხალია მისი ხსოვნა და, რაც მთავარია, ცოცხალია მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

სწორედ ამის შესახებ ისაუბრეს თავიანთ გამოსვლებში ფილოლოგიის დოქტორებმა და მწერლებმა ლევან ბერძენიშვილმა, როსტომ ჩხეიძემ, ამირან გომართელმა, ლევან გიგინეიშვილმა, ილიას უნივერსიტეტის რექტორმა ნინო დობორჯგინიძემ. გამომსვლელთა საერთო აზრით, თამაზ ჩხენკელის ლიტერატურულ–კრიტიკული მემკვიდრეობა არ კარგავს აქტუალობას და ამ თვალსაზრისით ისიც მომავლის მოაზროვნეა.

მალხაზ ივანიძე

ბარბარე გაზდელიანი – პაზარა ქართველი ელჩი ესპანეთში

ყველა ადამიანში დევს სამშობლოს სიყვარულის ეროვნული კოდი, მაგრამ ამ კოდის მუხტი, მგონია, განსაკუთრებულია. ქართული მიწის სიყვარული ქართული მიწის ყივილად ექცევა აქ დაბადებულ, მაგრამ სხვა ქვეყანაში ფეხადგმულ ადამიანს, რომელიც ამ ყივილს ბავშვობიდანვე გრძნობს, თუმცა გადამწყვეტ როლს ოჯახი ასრულებს.

ამის ერთ-ერთ მისაბაძი მაგალითია ბარსელონაში მცხოვრები გაზდელიანების ოთხშვილიანი ოჯახი. ამ ოჯახის უფროსი ქალიშვილი ბარბარე სამი წლიდან ესპანეთის ავტონომიური რეგიონის, კატალონიის, დედაქალაქში ცხოვრობს. დღეს 10 წლისაა ბარბარე და სწავლობს კატალონიურ სკოლაში, რომელიც განათლების უძველეს კერაადაა ცნობილი.

მიუხედავად იმისა, რომ ბარბარეს ყოველდღიური ცხოვრება ესპანურენოვან გარემოში მიმდინარეობს, იგი გულმოდგინედ სწავლობს ქართული ენას. სწორედ ქართული ენის საფუძვლიანად დაუფლების მიზნით დადის ბარსელონის წმინდა ანთიმოზ ივერიელის საკვირაო სკოლაში. ინტერნეტ სივრცითაც უკავშირდება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს საქართველოში. საქართველოს ისტორიის გაცნობის სურვილიც გაუჩნდა და ოჯახი ამასაც უზრუნველყოფს.

სხვათა შორის, ბარბარეს გზას დაადგა მისი მომდევნო, მეორეკლასელი დაც, ნიაკო სერიოზულ ბარბარეზე უფრო სერიოზული გამომეტყველება რომ აქვს. მშობლები შვილების აღზრდის უპირველეს მოვალეობად თვლიან ემიგრაციაში მყოფი ბავშვებისთვის ქართული ეროვნული მეობის გაღვივებას. ამიტომაც ჩამოჰყავთ ყოველ ზაფხულს საქართველოში, რითაც კიდევ უფრო მეტად აზიარებენ სამშობლოს სიყვარულს. ეს არ არის რიგითი მოვლენა.

საბედნიეროდ, ესპანეთში, კერძოდ, ბარბარეს სკოლაში, იგნასი იგლესიას სახელობის საჯარო სკოლაში, სადაც სხვადასხვა ერის წარმომადგენლები სწავლობენ, ანგარიშს უწევენ და პატივს მიაგებენ მოსწავლეთა ეროვნულ წარმომავლობას და ბავშებს აძლევენ შესაძლებლობას ისაუბრონ თავიანთ ქვეყანაზე, ხალხზე, კულტურაზე.

და აი, სულ ცოტა ხნის წინ ბარსელონის სკოლის დირექციამ გადაწყვიტა, რომ ბარბარე გამოსულიყო პრეზენტაციით საქართველოზე. პრეზენტაცია მაღალ დონეზე ჩატარდა, რასაც ადასტურებს ბარბარეს დედის, თამარ კვირიკაშვილის, გაბრწყინებული სახე, როცა მან სიხარულით გვამცნო დამსწრე საზოგადოების აღფრთოვანება ბარბარეს მიერ საქართველოზე მიწოდებული ცნობებით.

განა ბევრია ისეთი ერი, დამწერლობა რომ ჰქონდეს? უთქვამს ბარბარეს და დამსწრენი სათითაოდ ეფერებოდნენ იქ წარმოდგენილ ლამაზად მოხატულ ქართულ ასოებს, თუმცა ბარბარეს კლასელებისთვის ეს არ იყო უცხო. ბარბარე თურმე მუდამ აცნობს და ასწავლის მათ ქართულ ანბანს, ქართული ასოების მოხაზულობას. მისი მეგობრები მოხიბლული არიან ქართული ასო-ნიშნების სილამაზით, რაც ამ პრეზენტაციაზეც აღნიშნეს. პრეზენტაციას ამშვენებდა იაკობ გოგებაშვილისა და შოთა რუსთველის წიგნები, თამარის ხატი. იყო ბევრი ემოცია, დაისვა ბევრი შეკითხვა. პრეზენტაციის ბოლოს ესპანელმა ბავშვებმა ქართულად დაწერეს თავიანთი სახელები და ეს იყო ღონისძიების კულმინაციური ნაწილი.

ბარბარე ესპანურად საუბრობდა. წარმოსახვის ძალით მან საქართველოში ამოგზაურა დამსწრენი და ამ „მოგზაურობამ“ სვანეთის მთებში გადაიყვანა იქ მყოფნი. საქართველოში ჩამოსული გაზდელიანების ოჯახისთვის მთელი რიტუალია სვანეთში ჩასვლა ამას შესაბამისად აღიქვამს ჯერ კიდევ პატარა, მაგრამ ჭკვიანი ბარბარე გაზდელიანი, ასევე მისი 8 წლის და ნიაკო და ალბათ უმცროსებიც. სვანეთში ბებია-ბაბუასთან ჩასულნი ეცნობიან სვანურ ტრადიციებს, სვანურ ზღაპრებს, სვანური კოშკების ისტორიას, სვანურ კერძებს... ბარბარეს პრეზენტაციას სვანური ქუდიც ამშვენებდა. 10 წლის ბარბარე ამაყობს სვანური ფესვებით.

ბარბარეს მხარში ედგა დედაც. კახეთში გაზრდილმა სვანეთის რძალმა თამარმა სვანური ეროვნულ კერძებითაც გააცნო სვანეთის კულტურა ესპანელ მასპინძლებს. კუპდარმა მოწონების პიკს მიაღწია, მაგრამ სასწაული მოუხდენია სვანურ მარილს.

პრეზენტაცია ქართული კულტურის ზეიმად იქცა. პატარა ასაკის მიუხედავად, ბარბარემ შეძლო თავისი ქვეყნის ღირსეულად წარმოჩენა უცხოეთში და მისი კულტურის პოპულარიზაცია. ის გახდა საქართველოს ნამდვილი პატარა ელჩი ბარსელონაში და ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალი უმნიშვნელოვანესი ფაქტია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. მადლობა 10 წლის ბარბარესა და მის ოჯახს, შვილებს რომ უნარჩუნებენ ეროვნულ მეობას!

ბარბარე, კიდევ ბევრს ველით შენგან.

ქეთევან გოდერძიშვილი

მერაბ ელიოზიშვილი – 90

▶▶ პირველი გვერდიდან

განსჯისა და განცდის საგანი, ამიტომაც არის მისი სიტყვა ესოდენ დამფიქრებელი და ემოციური - ხან მრისხანე და შემტევი, ხან ცრემლიანი და დამყვავებელი.

თვითონ კი, ქართული სიტყვის მეჩუქურთმე-რაინდი, ყოველგვარი მიკიბ–მოკიბვის გარეშე აცხადებდა:

- მამა იყო და მამად უნდა დარჩეს ქართველი კაცი საქართველოში; მამად სომხისა, ოსისა, მამად თათრისა, აფხაზისა, რუსისა, ჭკვიან და ღონიერ მამად. სხვებისაც, ვინც საქართველოს მომავალშიაც დაამშვენებს და მხარში ეყოლება ერთგულ, ნამდვილ მამულიშვილად! ეს ჭეშმარიტება მართავდა საქართველოს უძლეველობას, ეს იყო მისი ციხებურჯი, მისი თამარი და მისი დავითი. ეს იყო და ეს იქნება, ეს უნდა იყოს მომავლის წყარო, საქართველოში მცხოვრები ყველასათვის - სომხის, ოსის, აფხაზისათვის... შინა ქართულ ღალატში მოთხვრილი ხელი თვითონ უნდა მოიკვეთოს ყველამ: ოსმაც, სომეხმაც, აფხაზმაც, რუსმაც, თათარმაც... ქართველმაც! მოსვრილი ხელით მამის უბეში, შვილი ვერც გაჩერდება და არც უნდა გაჩერდეს, არის გზები!

თავის დროზე ლიახვდალეული შემოქმედის შესახებ საკადრის სიტყვას არ იშურებდნენ ხელოვნების სახელოვანი მსახურნი: კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე **- მერაბ ელიოზიშვილი ბრწყინვალე მწერალია. მისი პროზა, პიესები, სცენარები არავისას ჰგავს. პიესა „ბებერი მეზურნეები“ მთელი ეპოქაა ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში. როგორ მიაგნო ბატონმა მერაბმა ამ სამ ტკბილ მეზურნეს - ბუთხუზას, თედოს და სოსანას, მათ წარსულსა და მზით განათებულ გარემოს? ეს საიდუმლოა, კარგი და მომხიბვლელი საიდუმლო. მერე და როგორ ჩამოქნა იდუმალებით მოსილი გარემო სოსანასი ჯერ სცენარში და მერე კინოფილმში „დიდი მწვანე ველი,“ რომელიც ასევე ბრწყინვალედ დადგა კინორეჟისორმა მერაბ კოკოჩაშვილმა და სული შთაბერა ჩვენი დროის დიდმა მსახიობმა დოდო აბაშიძემ...**

კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი **- შენ იმ თაობას ეკუთვნი, რომელმაც 50-იანი წლების ბოლოს სულ სხვა სურნელი შეიტანა ქართულ ლიტერატურაში. ეს სურნელი მხოლოდ წრფელ განცდას ასდის და იმდენად გამაბრუებელი იყო, რომ ამ სიმართლეს მოწყურებულ დროს ქართული კინო თქვენსკენ, ახალი ქართული მწერლობისკენ გამოექანა. შენც არ გიმტყუნია და მწერლებთან ერთად „თეთრი ქარავანი“ შემორეკე ქართულ კინოში... მე კარგად ვიცი, სად მოწანწკარებს ამ შენი სურნელოვანი ლიტერატურის წყარო. ერწოდან ან რაჭიდან მომავალს აბა როგორ შეიძლებოდა ისე ამევლო ცხინვალი, რომ პატარა, მყუდრო ჩიხში არ შემეხვია და ჭიშკართან შენებურად არ დამეძახა - „სეხნი!“**

საიუბილეო დღეებში მართლაცდა ჩინებული საჩუქარი მიიღო ჟამიანობით დაზაფრული სამაჩაბლოს (და არა მარტო) მადლიერმა მკითხველმა. **დღის სინათლეზე გაიბრწყინა სასიქადულო მამულიშვილის მაღალი დიზაინით შესრულებულმა ორტომეულმა - „პიესები და კინოსცენარები.“**

ორივე წიგნი, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, გამომცემლობა „თამარიონი 2002“ - ში დაიბეჭდა.

ორტომეულის გარეკანზე ვკითხულობთ: „მერაბ ელიოზიშვილი - მწერალი, დრამატურგი, სცენარისტი, პუბლიცისტი - დაიბადა შიდა ქართლში. დიდი ლიახვის ხეობაში, ქალაქ ცხინვალში 1934 წ. 18 დეკემბერს, საგვარეულო ადგილმამულში, - მისგან შემორჩენილ საწალკოტეში, - დგვრისში. წარჩინებით დაამთავრა დიდი მამულიშვილის, ვახტანგ კასრაძის პირველი ქართული საშუალო სკოლა.

წარჩინებით დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი.

მისი მოთხრობები 1957 წლიდან იბეჭდებოდა ჟურნალ „ცისკარში,“ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი - 1960 წლიდან.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი - 1960 წლიდან.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დიაკონი (ელიოზი) — 1994 წლიდან.

აღესრულა 2012 წლის 4 იანვარს, მწუხრის ჟამს.

რობერტ ოდიკაძე

ცვრიან ბალახზე

„ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა სიარულის სიხარული“ - მორის მეტერლინკს რომ უკავშირდება და სიხარულის ჩამონათვალთა შორის ერთ-ერთი როა, ეს, როგორც მახსოვს, დასაბუთებულია გალაკტიონოლოგიაში.

არაერთგზის აღვნიშნე, რომ საკუთარი სიმბოლისტური - ინტეგრალური ხატების შესაქმნელად გალაკტიონი არ სჯერდება მხოლოდ ერთ წყაროს, ერთი მნიშვნელობის მქონე სიტყვასა თუ გამონათქვამს და სინთეზირებას ახდენს მრავალი პლანისა, რითაც მკითხველს ინტერპრეტაციულ შესაძლებლობათა მაქსიმალურად ვრცელ სივრცეს უქმნის.

ვვარაუდობ, რომ აქაც ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

კერძოდ, ქართული ლექსის რეფორმატორებისთვის, მისთვისაც და ცისფერყანწელებისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო არტურ რემბოს ლექსი „შეგრძნებანი“...

ინგლისურენოვან ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ არტურ რემბოს სინესთეზიურობა ახასიათებდა თუ სჭირდა.

მედიცინის განვითარების თანამედროვე დონის პირობებში სინესთეზია წმინდად ნევროლოგიურ სიმპტომად აღარც კი მიიჩნევა და მარტივად ნიშნავს, რომ პაციენტის აღქმის ორგანოები ,,არეულია“, მაგალითად, ფერი აღიქმება ბგერად, ბგერა - აღძრავს რაიმე წარმოსახვას და ასე შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნეში კი სინესთეზია - წმინდად ნევროლოგიურ დარღვევად მიიჩნეოდა და ეს აზრი პრევალირებდა.

ამჟამად იგი არ მიიჩნევა იმ ტიპის დაავადებად, როგორც, მაგალითად, ორმაგპოლარული დარღვევა ან შიზოფრენია, ხელოვანთათვის - ნიჭიერების საფუძვლადაც კი აღიარებენ, თუკი იგი პროდუქტიულობის ფუნქციას შეიძენს მათს სფეროში.

სინესეზია არსებობს თანდაყოლილი და შეძენილიც, რომელიც, ითვლება, რომ რაიმე ნერვიული სტრესის შედეგია. ეს უკანასკნელი ექვემდებარება კომპლექსურ მკურნალობას (მედიკამენტოზურს პლიუს ფიზიკური და ფსიქოლოგიური). ტიპობრივი ტექსტის პატარა ფრაგმენტი მის შესახებ:

„ეს მდგომარეობა წარმოიშობა შეგრძნებათა ორგანოებს შორის გაძლიერებული კომუნიკაციის შედეგად და არის არანებელობითი, ავტომატური და მყარი - დროითი თვალსაზრისით.

იგი შეიძლება გამოწვეული იყოს ფსიქოტროპული მედიკამენტების ზემოქმედებით, სენსორული დეპრივაციის შედეგად ან ტვინის დაზიანების გამო“.

სტატისტიკით, თანდაყოლილი სინესთეზია ახასიათებს დედამიწის მოსახლეობის 4% - ს.

ალკოჰოლიზმი - სინესთეზიის ერთ- ერთ აქტიურ სტიმულატორად მიიჩნევა.

პოეზიის ენაზე გადმოტანილი ეს დარღვევა კი, უკვე ესთეტიზაციის ობიექტი რაკი ხდება, სამყაროს პოეტურ დეფორმაციას გვაძლევს.

საერთოდაც, ენისა და ადამიანური სამყაროს, მისი მრავალფეროვანი პლანების დეფორმაციის შედეგია პოეზია.

სადაც დეფორმაცია არ ხდება, იქ არც პოეზიაა და გვაქვს გარითმული ან გაურითმავი „ლექსისმაგვარობა“, თუმცა ეს ნამდვილად სხვა, დიდზე დიდი საუბრის თემაა. აქ მხოლოდ ერთს ვიტყვი და კვლავ ლექსს მივუბრუნდები:

გამიჭირდება დავასახელო არა მხოლოდ რომელიმე ქართველი, თუნდაც სიმბოლიზმთან დაკავშირებული ავტორი, არამედ უცხოელიც, რომელსაც გალაკტიონივით ერთდროულად ენისა და ადამიანური სამყაროს ასეთი დეფორმაციისთვის მიეღწიოს და ამის შედეგად შეექმნას სრულიად უნიკალური საკუთარი პოეტური, უსასრულოდ მრავალპლანიანი სამყარო.

აქ შეიძლებოდა ფარულ ოპონენტს არაერთი რამ გახსენებოდა, მაგალითად, მალარმეს ‘„წიგნი“. მაგალითი სხვაც ბევრი დაიძებნება, ოღონდ რომელიმე, ერთი მხარის უტრირებისა, მე კი ვსაუბრობ პლანთა მაქსიმალურ ორკესტრირებაზე, რაც გ. ტაბიძის სიმბოლისტურ ლექსებში, კერძოდ მის კრებულში,, არტისტულ ყვავილებში”(1919) გვაქვს.

**

არტურ რემბოს შეგრძნებანი თარგმნილი აქვს პაოლო იაშვილს (გ. „რუბიკონი“ 1923, 20 ასე:

არტურ რემბო
შეგრძნებანი

ლურჯ საღამოთი, ზაფხულობით
წავალ ფარულად,
სადაც ყანაა და ბალახით ავსილი ველი;
ფეხებთან ვიგრძნობ, რომ ბალახი
მთლად დაცვარულა
და შევცურდები ქარში ზავი და
თავშიშველი.
ხმას არ გავიღებ... არ ვიფიქრებ...
მაგრამ ძლიერი
ვნებით მევსება სიყვარულის უბე და
კალთა;
და მივალ, როგორც დამშეული
ბოჰემიელი,
და ბედნიერი ბუნებასთან: ისე ვით
ქალთან.
(თარგმნა პაოლო იაშვილმა)

გივი გეგეჭკორი თავის თარგმანში, ასევე სათაურით „განცდა“, ასეთ ვერსიას გვთავაზობს:

როს ბალახი თავთავთა გასათელად
მიმიშვებს,
შევუყვები გრილ ბილიკს, ტერფით
შეევურჩები.

მარინა გოგოლაშვილის თარგმანში ვკითხულობთ:

სუსტღეროიან ბალახს ვთელავ და
მჩხვლეტს თავთავი,
მე, მეოცნებე, ფეხქვეშ ქორფა სიგრილეს
ვიგრძნობ.

ზაურ ჯალაღონიას თარგმანში ვკითხულობთ:

შრიალებს ყანა. ცვარი ამკობს საოცრად
მინდვრებს.
ამაფრთიანებს მეოცნებეს ივნისის ქარი.

ბაჩანა ჩაბრაძე კი საკუთარ თარგმანში სათაურით „განცდა“ ასეთ ვერსიას გვთავაზობს:

როს ბალახი თავთავთა გასათელად
მიმიშვებს,
შევუყვები გრილ ბილიკს, ტერფით
შევეურჩები.

ეს ლექსი თარგმნილი აქვს **კობა ჭუმბურიძესაც** სათაურით „განცდა“:

ფხებით დაკაწრული გავქელავ ბალახებს,
ვიგრძნობ მათ სინედლეს, ოცნებით გართული.

გარდა აქ მოხსენიებულებისა, არსებობს სხვა, მეტ-ნაკლებად ღირებული თარგმანებიც ჩვენთვის საინტერესო ლექსისა. შეიძლება ითქვას, რომ მისი თარგმნა რაღაც, საჯილდაო ქვასავით იქცა მთარგმნელთათვის ქართულ პოეზიაში.

ახლად გამოჩენილ ოთარ ცისკაძისეულ თარგმანში კი, რომელიც ე.წ. შუალედურია, ინგლისური დედნიდანაა შესრულებული, სახე ამგვარადაა გადმოტანილი:

დამჩხვლეტს თავთუხი, ფეხშიშველი
გავქელავ ბალახს,
შვებას მანიჭებს მეოცნებეს ალერდი
გრილი.

დასასრულ გავიხსენოთ გალაკტიონის ლექსი „მამული“, რომელიც, შეიძლება ითქვას, მის ქმნილებათა შორის ყველაზე მრავალმხრივ შესწავლილთა რიგს მიეკუთვნება და რომელშიც, ჩემი აზრით, პოეტი რემბოსეული სინესთეზიის მხატვრულ ექსპლიცირებას აღწევს:

ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე — რაა მამული?!
წინაპართაგან წავიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული.
გაშალა ველი ნელმა ნიავმა,
და მელანდება მე მის წიაღში
მოხუცი მამა, მოხუცი მამა
სასხლავით ხელში დადის ვენახში.
აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი
მასზე ოცნებას დაემგვანება!
ისევ ამწვანდა მდელო და კორდი!..
დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!

როგორ დავშორდეთ თაყვანისმცემელს თავაზიანად

ვერ ვიტყოდი, რომ საქართველოში, მეტადრე საბჭოთა პერიოდში დაბადებულებს ეტიკეტი კარგად გვქონდა ჩვევაში გამჯდარი. რასაკვირველია, იყვნენ ჩვენ შორის ამ მხრივ უკეთესებიც, უარესებიც, მაგრამ საბჭოურ გარემოში, სადაც შესაძლებელი იყო, იგი საბჭოური ეტიკეტით ნაცვლდებოდა, ხოლო ჩაუნაცვლებადი ნაწილის გამომავლენელთა მიმართ გამოიყენებოდა ზედსახელები: ,,კაროჟნა“, ,,ფინთიკოზა“, „ფოე-ფოე“, „პიჟონი“, ,,ხეჟნი მაროჟნი“... ასეთი ზედსახელი მაშინ ცოტა როდი იყო, ახლა ყველა არ მაგონდება.

საბჭოთა კავშირის დაშლის მერე ოთხმოცდაათიანებში, ის, ასე ვთქვათ, კონტურული ეტიკეტიც კი, რაც გაგვაჩნდა, გაჭირვებამ ჩაანაცვლა, ყოველდღიური ლუკმა პურისთვის ჯუნგლურმა ბრძოლამ, უზრდელობა - ლამის ზრდილობის რანგში ავიდა.

დღეს კი უარესს მივადექით - თითქმის სასირცხვილოდ გამოცხადდეს, თუ ადამიანი ეტიკეტის შესაბამისად იქცევა. ასეთი ანეკდოტიც შემხვედრია, - „რა დრო დადგა, ქალს თუ თავაზიანად მოექეცი, უკვე ფლირტი ჰგონიაო“.

აშშ-ს სამხრეთ ნაწილში, სადაც მე ვცხოვრობ, ვიქტორიანული ეპოქის ქცევის ნორმები ჯერ კიდევ მოქმედებს.

ცხადია, გამიჭირდებოდა თავიდან ალღოს აღება. მერე ეტიკეტის 1800-გვერდიანი წიგნი მომიტანეს და ჩავუჯექი. ბევრი ისეთი რამ გავიგე, ადგილობრივებსაც რომ არ ჰქონდათ გაგონილი.

აი, მაგალითად, „როგორ დავშორდეთ თაყვანისმცემელს ისე, რომ მისი ღირსება არ შევლახოთ“.

რის თქმასაც ახლა ვაპირებ, გალაკტიონოლოგებს გააღიმებს, იმდენად თავისუფალი ინტერპრეტაციაა ტექსტისა, მაგრამ ყველაფერი ადგილზე დადგება, თუ მკითხველი იფიქრებს, რომ ჩემი სახით გალაკტიონმონატრებული სხვა მკითხველი უბრალოდ, აზრს უზიარებს.

ცისფერყანწელებს აკაკი თავიდან, სტუდენტობისას ძალიანაც უყვარდათ, მაგრამ როცა ორდენად ჩამოყალიბდნენ, წინამორბედად აკაკი არ დაუსახავთ, უფრო პირიქით.

გალაკტიონი, მათგან განსხვავებით, აკაკითი ბოლომდე აღტაცებული იყო.

ავითარებდა მის რიტმიკას, მაგალითად აკაკის ლექსია:

საიდუმლო ბარათო!
გითხრეს: „ექმენ მარადო
სიხარულის მიმნიჭედ
და სევდისა ფარადო".

გალაკტიონი იმავე ხმაზედ თუ ჰანგზედ წერს:

მახსოვს ხორაგაული -
სევდიანი სადგური,
მისი ყრუ სამკაული,
აცვივნული აგური.
უშფოთველი ცხოვრება,
წყნარი, როგორც გუგული.
ისმის მოახლოებულ
ორთქლმავალის გუგუნი.

და ლექსს, რომელიც დიდხანს მაფიქრებდა

სახლი ტყის პირად

ეხლაც ჩემს თვალწინ არის
თქვენი ბინა ტყის პირად
და საღამო მდინარის,
გახელილი ცისფერად.
მთავაზობდით დები ვარდთ
და ამბობდით ლანდებით:
„თქვენ ისეთი კარგი ხართ,
თქვენ პოეტი ბრძანდებით“.
და გავიდა ივლისი,
და მოვიდა, წამებო,
შფოთიანი ტფილისი:
პოეტების სამეფო!

1919

ერთი თვალსაზრისით, გალაკტიონის ლექსებში დები - იშხნელებს ნიშნავს. მომღერალთა ცნობილ ოჯახურ ჯგუფს,

რომელთანაც ქუთაისში გალაკტიონს მეგობრობა აკავშირებდა (გავიხსენოთ მისივე ,,და გაისმოდა დების სიმღერა”)

ხელნაწერში ამ ლექსისა საუბარია „ჩანგზეც“. ამ სახელწოდების კრებული ქუთაისში გამოდიოდა.

ჩანგის თემა პირველი ლექსის ხელნაწერიდან გალაკტიონს ცალკე ლექსად დაუმუშავებია, თუმცა ხმა, ჰანგი ა შეუნარჩუნებია.

ჩანგო, ბევრი კარგი დრო

ჩანგო! ბევრი კარგი დრო
ქვეყნად გვიტარებია,
მძიმე, ძველი ცხოვრება
ჩალას გვიდარებია.

საქართველო - პარიზი
სხვადასხვა ქნარებია,
ჩანგო! დამიმტკიცე, რომ
სიმართლე გყვარებია.

ჩანგო! ჩვენ ხომ ხალხისთვის
ბრძოლა არ გვზარებია.
მოღრუბლულხარ, ეშხითაც
გამოგიდარებია.

ასი, ასი და კიდევ
ას სიმღერის ხმებია,
რაც კი თვალს დაუნახავს
და გულს გაჰკარებია.

ჩანგო! ბევრი კარგი დრო
ერთად გვიტარებია!

1935

***

იმ ფაქტს, რომ “მომღერალ დებში” სწორედ იშხნელები ჰყავდა ნაგულისხმევი გალაკტიონს, დამატებითი საბუთით ავსებს მისი 1933 წლის დღიურის ჩანაწერი, რომელიც საკუთარი პოეზიის საღამოსთვის მზადებას შეეხება. გამომსვლელთა ჩამონათვალში ვკითხულობთ:

„8. ტექსტი იშხნელებისათვის (დებისათვის). მგონია, თვითონ აქვთ რაღაც.“

ან კიდევ 1941 წელს, რადიოსაღამოსათვის

„ტექსტი იშხნელებისათვის (დებისთ.)“

ან 1945 ,,თვარა... მომღერლები იქაც ქე არიენ: დები იშხნელებიო, დები თარხნიშვილებიო“.

ხოლო ბოლო წლებში (1957 10 დეკ) გულდაწყვეტით ჩაუწერია:

,,გახსოვს მერი“ კვარტეტი ვოკალური. მღერიან დები იშხნელები... [...] გადმოსცეს რადიოთი... შუადღის სამ საათზე, ოღონდ არა დები იშხნელების, არამედ სხვების ხმა ისმოდა”.

მე გამოვთქვი ვარაუდი, ან გავიმეორე უკვე არსებული აზრი, რომ დები - გალაკტიონის შემოქმედებაში - იშხნელებს ნიშნავს. ერთი რამ კი უცილობლად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დებთან დაწყებული ადრეული წლების ქუთაისიდან - სიცოცხლის ბოლომდე გალაკტიონს ახლო მეგობრობა და შემოქმედებითი ურთიერთაღიარება აკავშირებდა.

ამ აზრისავე დასტურად მიმაჩნია პირობითად დათარიღებული ლექსი - „მშვიდობიანი სიმღერა დების“:

იფინებოდა ზღვების საბური
ტალღათა შორის ნავთა მმოსავეთ,
გამოქროლება ზეინაბური
და სილაჟვარდე უდაბნოსავით.

იფინებოდა ნათელ დღესავით
ალერსიანი შუქის ფერება,
გადაკარგული და ნათესავი
ძვირფასი დების ხმით ამღერება.

იმ ხმით ნათქვამი თეთრი გედები,
უმსუბუქესი ნისლით ფარული,
ისმოდა, როგორც შორი ედემი
და მხარეები ლეგენდარული.

საღამოს ქარში ჰქონდა გონება,
ღრუბლებში ჰქროდა ფერი ფარჩების:
ისმოდა ჰიმნი და მოგონება
ჩემი ომების და გადარჩენის.

[1925]

***

თუმცა ისევ მივუბრუნდეთ ლექსს „სახლი ტყის პირად“!

იმთავითვე მაეჭვებდა ამ უმშვიდეს დასაწყისიანი ლექსის აპკარად მღელვარე ფინალი. ხელნაწერის ნახვამდე ისიც კი მიფიქრია, რომ სხვა ლექსიდან იყო იგი და რაკი რიტმულ ერთობას ამჟღავნებდა, რაღაცნაირად მიება, იქნებ გამომცემელთა ნებით:

და გავიდა ივლისი
და მოვიდა წამებო,
შფოთიანი თბილისი
პოეტების სამეფო.

ლექსი 1919 წლით თარიღდება. აღწერილი სიტუაცის დროითი ლოკალია ზაფხული (ივლისი). დრო წარსულია. გასახსენებელი მომავალში.

თავისთავად ხომ მომხიბლავი ნათქვამია - „თქვენ ისეთი კარგი ხართ,
თქვენ პოეტი ბრძანდებით“.

აქ ყურადღებას იპყრობს მეორე პირის მრავლობითის ფორმა, რომლითაც, ჩვეულებრივ, თავაზიანობა და ამავე დროს დისტანცირებულობა გამოიხატება მოსაუბრის მიმართ.

ეტიკეტის სახელმძღვანელო კი გვასწავლის, როდესაც თაყვანისმცემელს უარს ეუბნებით, ეცადეთ მის ღირსებას პატივი სცეთ, მაგალითად, უთხრათ, რომ იგი შესანიშნავი პიროვნებაა და აუცილებლად შეხვდება თავის პარტნიორს, თქვენზე უკეთეს. - ,,თქვენ ისეთი კარგი ხართ...“

თუ ჩემი ინტერპრეტაცია თუ ვარაუდი სწორია, ამ თავაზიანი უარის მერე პოეტი მიემგზავრება ,,ფოთიან თბილისს - პოეტების სამეფოს”.

ეს ბოლომდე უთქმელობა (недосказанность) - სიმბოლისტური ესთეტიკის გამოცდილებით ჩანს პირობადებული.

ასეთი დაშვების შემთხვევაში ლექსი კომპოზიციურად უფრო შეკრული მეჩვენება... თუმცა ვინ იცის, რა რეალია უდევს საფუძვლად, ან კი უდევს საერთოდ, რამე რეალობისმაგვარი?

დასასრულ, კიდევ ერთხელ შევახსენებ კოლეგა-მეგობარ გალაკტიონოლოგებს, რომ ეს - ოდენ ჩემი თავისუფალი ინტერპრეტაციაა, განპირობებული მონატრებული პოეზიის ველში შესვლისა და შიგ შეყოვნების სურვილით.

ოთხმოცდაათი წელი გასულა ტერენტი გრანელის კოსმიურ სივრცეში მუდმივ ბინადრად გადასვლიდან (სხეული დედამიწამ არ დათმო). ამ ღრმად სევდიან თარიღს ვიხსენებ თქვენთან ერთად და გთავაზობთ ჩემს ნააზრევს გენიალური მგოსნის შესახებ.

***

რიგით მერამდენე მოთხრობა, ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი. გულდათუთქულის მიახლოება მგოსნის ტრაგიკულ ბუნებასთან, რასაც დაერქმევა „მიწიერი გაუცხოება – მსხვერპლი და დაბადება“. ეს ჩემეული წინასიტყვაობაა მოთხრობისა. რამდენიმე წელია, ამ თემაზე ვმუშაობ: მწარე და მძიმეა სამყარო და სიცოცხლე. უკიდურესად რთული იყო ტერენტი გრანელის შემოქმედებითი მოღვაწეობა. ამ ნაწარმოებში მძფრადაა გაშლილი ის ურთულესი სულიერი ფორმის შინაგანი უხილავი სურათები, რომლებიც აღტყინებულ–მგოსნურად გაიარა პლანეტარიუმის ცოცხალმა, საკვირველმა მოვლენამ.

ის შინაგანი დრამა და ტრაგედია, რომელსაც უმძიმეს მდგომარეობაში ატარებდა გრანელი, ძალიან ბევრისათვის გაურკვეველი იყო ეს რომ არა, აგრე ველურად არ გაწირავდნენ ღრმად მორწმუნე მგოსანს და სულიერად წმიდანს...

ეს უკვე ადამიანზე, დედამიწაზე და უფალზე, შეუგნებელთაგან ჯვარცმის დონეზე უსასტიკესი ჭრილობის მიყენება იყო...

ყველასგან განსხვავებული მგოსანი გრანელი კი უხილავში პოულობდა ხილულზე უახლოესს, დიდი ნიჭი ჰქონდა კოსმოსური საოცრებების შეგრძნება-დანახვის...

– საფლავები! მართლაც ძალიან განყენებული და შორეულია ჩვენგან, ამიტომაცაა დედამინა უცნაური ჩაუწვდომლობა, ის ხომ მილიონობით წლიდან მოყოლებული დიდი სასაფლაოა, სიცოცხლის და გარდაცვალების კოსმიური ურთიერთობაა, რაშიც მიუწვდომელი იდუმალებაა ჩაწნული. ორი უკიდურესად განყენებულობაა დედამიწაზე: სიცოცხლე–გარდაცვალება და მათ შუა დუმილ-საფლავი. ამ უსასრულო დროთა ჟამში დედამიწა – ჩვენი პლანეტა გარდაცვლილთა გამანოყიერებელ ფერფლადაა ქცეული – დაფარული, როგორც მიწის ქერქი, ასევე ზღვათა და ოკეანეთა ფსკერიც...

***

მარტოობისა და უიმედობის სევდაში ჩაფლული გრანელი ტყუპთა მშობიარე ქალივით იტანჯებოდა, მაგრამ სამყაროსეული სიახლოვე თავშეკავებას და გამძლეობას მატებდა, რადგან იბადებოდა სრულიად უცხო რაღაც

***

გრანელი რომელიღაც კეთილისმყოფელი ციური მანათობლის სახით განკაცებული ჩამობრძანდა დედამიწაზე, იტანჯა, იწვალა, იმოღვაწევა, იყო სამაგალითო მართლმადიდებელი, მიწიერ-ზეციურად იაზროვნა და იოცნება, შეთხზა შეუდარებელი პოეტური და პროზაული შედევრები.

ვერა და ვერ შეეგუა დედამიწას და გაბოროტებულ დედამიწელებს, მხოლოდ ტკბებოდა საერთო სილამაზით და მშვენიერებით, რომელთაც კანტიკუნტად ეხებოდა. დადიოდა მარტოხელად. უცხოპლანეტელივით. და, სრულიად გაუცხოებული, წავიდა. თავისი ძალიან მოკლე შემოქმედებით დროში პატიოსანი, მაგრამ სხვათათვის უცხო წეს-ზნეობით იცხოვრა. წარმოუდგენელი იყო მისთვის ღალატი, სიძულვილი, უღმრთოობა; სამშობლო კი მგოსნისთვის ულამაზესი, მარად მანათობელი პლანეტა იყო ზეციური ღირსებით. ვერ იგუა ორგულობა. ზედმეტად წმიდა იყო დედამიწელებთან, თავის თანამედროვეებთან შედარებით. ამიტომაც უკვირდათ მისი და სძულდათ კიდევაც. მათთვის უცხო სხეული იყო გონებით, ნიჭით, შემართებით და მიუკარება უცნაურობებით.

გარემოსაგან იღლებოდა ხშირად...

მთელი არსებით პოეტი რატომღაც ყველაზე უფრო კოსმოსურ უხილავ ხაზებს, განწყობილებებს და ზეციურ მისტიკურ ელემენტებს გრძნობდა საფლავებთან ურთიერთობით, მათთან სულიერი სიახლოვით პლანეტარიუმს პოეტურად აღიქვამდა და იქ ეძებდა, აკვირდებოდა მარად ჩაუქრობელ იდუმალებებს. მართლაცდა, ღრმად მგლოვიარე ჭირისუფლებს არამიწიერი იერ-სახე აქვთ, ისინი ძალაუნებურად, გრანელის არ იყოს, ინტუიციურად მიიზიდებიან გარე სამყაროსაკენ. მიზიდულობის წყარო მათი გარდაცვლილებია. გრანელი კი ამ ჩვენგან ძალიან შორეულ განწყობილებებს დიდი მეცნიერის, აინშტაინის და მხატვარ-აბსტრაქციონისტის, კანდინსკის დონეზე აღიქვამდა და რა ნიჭიც არგუნა უფალმა, იმ ნიჭითვე ჭეშმარიტად გამოხატავდა ყოველივეს. პოეზია იყო მისი უდიდესი კალეიდოსკოპი – ვარსკვლავი. ტერენტი გრანელი მეცნიერად რომ მოვლენოდა დედამიწას, ოკეანეში ჩაძირულ ატლანტიდელებზე ასტრონომიულ გამოკვლევებს დაწერდა. იმ სასწაული ცივილიზაციის დარად, სამოცდაათასამდე წიგნი ფანატიკოსმა ბერებმა ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ხანძარს რომ შთაანთქმევინეს.

გრანელი ნოსტრადამუსივით კითხულობდა საფლავთა კოსმიურ საიდუმლოებას და ასე შორეულში მგზავრობდა.

***

გრანელის უცხო გენია გასცდა მანამდე ტრადიციულ მსოფლიო გენიათა სახე–ხასიათს და დამოუკიდებლად თავგანწირვის ფასად გაიჭრა პლანეტარიუმის მოკაშკაშე სივრცისაკენ. საკვირველება, მისდათავად მოსვლაა პიროვნების – ნიჭის გამდიდრება და გარდაქმნაა ვარსკვლავეთთან დაქვემდებარებით გამოწვევა იყო ზეციური და შეწირვა, მას არ ჰქონდა უფლება, დიდი მთლიანობის იდეა-ინტელექტიდან გამომდინარე, გამძვინვარებულ დიქტატორს დამორჩილებოდა ან საქვეყნოდ აღიარებულ პარტიულ პოეტებს, ის პლანეტების წეს-თვისებით მარადიულად სიმართლეს განმარტოვდა, რაც სრული მსხვერპლშეწირვაა. ამდაგვარ უერთგულეს ზვარაკს ვერცერთი ძალა და ავტორიტეტი ვერ გამოიყვანდა უჩვეულო არეალიდან. პოეტი აქ წამებული იყო, უმაღლესის მეხოტბეობით და მიწიერი უბედური... ხოლო სამყაროს უხილაობის სივრცეში შემგრძნობ-უბედნიერესი, ის სრული ცოცხალი, სულიერი, გონიერი და გულითადი ნაწილი იყო მთვარეული სიშორის დიდ იდუმალებაში შემავალი.

***

აი, გრანელი ნაღდი ფსიქოლოგიური ფორმა იყო დიდი მოაზროვნის ხატისა „ადამიანი არის ჩამოვარდნილი ღმერთი, რომელსაც ახსოვს ზეცა“ (ლაროშფუკო).

უთუოდ. უშორესიდან დროებითი შემოწირულობა იყო დედამიწაზე, რითაც კოსმოსური ურთულესი განცდები აფორიაქებდა...

***

ქალბატონ ზოზიას მოეჩვენა უმოწყალოდ განდევნილი ტერენტი შუბლსისხლიანი, დაღარული და სანთლისფერი სახით ცისკენ მიფრინავდა, საფლავებიდან კი შავი ფერის ჩონჩხები ამოიყარნენ და გაძევებულს კბილების ხრჭიალით და ხელის მტევნების ჩხაკუნით აცილებდნენ.

მერმე უფლის სიკეთის ეკლესია გალურჯდა, სასაფლაოს ირგვლივ კი უცნაურნი წრეს უვლიდნენ და საშინელი უცხო ხმაური მოდიოდა მათგან.

შემდგომ თეთრი მხსნელი ანგელოზი ოქროს ჯვრით სიახლოვეს გამოჩნდა და უმალ მოჩვენებები გაქრნენ. მერმე ირგვლივ იისფერი ნისლი ჩამოწვა, მას ბინდი მოჰყვა საშინელი. სუნთქვაშეკრულ ზოზიას გული წაუვიდა და უღონოდ ჩაიკეცა. ვიღაცამ, წყალიო, იკივლა და იქაურობა მწარედ შეიძრა. ზოზიას თავზე ბნელი სივრცე, აღელვებული მღვდელი და დიდი ჯვარი ადგა... ტერენტი ადამიანთა ძვლების ნაკრები და ანგელოზი მათ სიახლოვეს არ ჩანდა, მიცვალებულის ფერშეპარულ ზოზიას მოძღვრის ლოცვის და ხალხის ნერვიული ფუსფუსი ჩაესმოდა და თან მიკნავებული ხმით ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა.

– ძმა! – საცოდავი! – დავკარგე!..

მოციქულივით გარინდულ და გაოგნებულ ეკლესიას უკვირდა, ამ ცოდვილიან მიწაზე რომ იდგა...

***

სამყაროსეული მრავალთვისებიანი ძალები ადამიანზე ხშირად მოქმედებენ დამანგრევლად. იმავე ზომით ღრმად დადებითნი აღმშენებლადაც. ამჟამად უარყოფითისაკენ მიექანებოდა მიწიერთაგან გრანელის დასუსტებული სული და საფშვინველი. მარქსისტული გარემო მის ირგვლივ უკვე გამანადგურებლად მოქმედებდა, ჭლექისგან შეჭმული ცხოვრებიდან გამოსვლა მხოლოდ სიკვდილით შეიძლებოდა, მიწიერი წუთისოფელი მარადიულობის უსასრულობაში გადადიოდა, ყოველივეს ამის ამოცნობას გრანელი საფლავის უშორესის ფენომენიდან ცდილობდა. აქ საფლავი იყო საფეხურები სამყაროს შეცნობისა და სიკვდილის წაკითხვა – მარადიული გამოუცნობის, ანუ მატერიალური კოსმიურობიდან იდეალისტური უხილავი აკადემია და მიუწვდომლობა. დანარჩენი ირგვლივობა ბინა, სახლი, დარბაზები, კლუბები, სურამის საავადმყოფოს ოთახით დამთავრებული, სულთამხუთავ ჩაბნელებულ, ჩაჟანგულ უსაშველო ციხე-დილეგად ეჩვენებოდა. ამჟამად გრანელი სამყაროსეულ ცოცხალი ნერვებმფეთქავი მწარე სინამდვილის წინ იდგა – იბრძოდა, ეძებდა, აზროვნებდა ზეადამიანურის სევდით და წმიდანური განცდით. მიწიერი სივრცე ვიწრო სულთამხუთავ დერეფნად გადაქცეულიყო, რომელსაც გაჰყავდა მიუწვდომელსა და უხილავ სამყაროში, სადაც მისი მოძრაობის სიჩქარე განუსაზღვრელი იქნება... გრანელი სულიერად იმდენად განსხვავებულად გაძლიერებულიყო, მას არაფრისა არ ეშინოდა და მიწიერ კეთილდღეობაზე ნამცეცზედაც არ ფიქრობდა. ის უკვე ადგა წამებულ წმინდანთა უპატიოსნეს გზას. ენანებოდა ციდან მოგზავნილი ლექსების დატოვება და ახლობლებზე კეთილი ფიქრი შერჩენოდა უკვე გონმიუწვდომელი სამყაროსკენ მიმავალ მოგზაურს...

აწნილი მზისფერი მგოსნის მიერ შექმნილი და შეუქმნელი ლექს-შედევრები ბიბლიური, დამფრთხალი ჩიტებივით დაფარფატებდნენ და ადგილს ვერ პოულობდნენ, თითქოსდა გაურბოდნენ საკაცობრიო უსაზარლეს მომავალ ხანძარს...

***

ურთულესია, ტრაგიკულია მისტიკოსი ხელოვანის სიცოცხლე. ის ისწრაფვის ზეციისაკენ, პლანეტებისაკენ, რომლებიც მიუწვდომლობებშია, ფანტასტიკური მანძილია მასსა და ციურ სხეულებს შორის. უსასრულობის ძაფები მოდის და უხილავად გაბმულია, რომელსაც მოჰყვება ხილვები, წარმოსახვები, ოცნებები, მუზები და პოეტური მუსიკალური, ფილოსოფიურ-მისტიკური გააზრება. მაგრამ ობიექტური, ანუ ფაქტი – უხილავია და უშორესი. პლანეტარისტი გამოუვალ მდგომარეობაშია. მიწას და გარემოს ვერ ჰგუობს. მიწა მაინც პატრონია მისი, რადგან ის ხომ ცოცხალი პლანეტაა, ყოველმხრივ განსხვავებული და სამყაროს გარკვეული უძლიერესი სამოქმედო პროგრამაა ჩადებული, რომლის მოქცევაშია მისტიკოსი, და მგოსნის შინაგანი გენეალოგიის ხაზების ბადეშია შეღწეული ვარსკვლავთა მაგნიტური ძალები, რომლებმაც კერძოდ ამ სხეულში უფრო განავითარეს უცხო სვლა და მოქმედება. ამ დროს ადამიანი იტანჯება, რაღაც შორეულის, მიუღწევლის გრძნობები ჭამს. ამდაგვარ სრულ პროგრამას ზოგიერთი გენიოსიც ვერ სწვდებიან. რადგან უდიდესი კოსმოსური წინააღმდეგობებითაა სავსე.

***

თითქმის ლანდადქცეულ მგოსანს, ყოველთაგან განწირულის, ნერვების წრიალი, წკმუტუნი, წკავწკავი და წამი-წამზე წრიულითი სვლა-ნამება დაეწყო. აუტოკდა ძარღვები, კაპილარები და ყველასაგან მიტოვებულის სიახლოვეს მხოლოდ საფლავთა ბნელი ფიქრმწოლიარე ფონი ჩანდა.

უცხო შორიახლო შიშინი და შრიალი შემოდიოდა შთენილ სხეულში.

ადრე და ღრმა ალიონის ნისლისფერი სევდა სრულიად სივრცეს სასონარკვეთით სერავდა. მხოლოდღა ძლიერი პოეტური სამშვინველით იკვებებოდა მგოსნის სხეული და მიწიერი ტანჯვა იწურებოდა.

უკვე განგრინებული გონება, გორად გარდასახული გული – განგება, გაუთავებელმა გოლგოთამ და გარემოსაგან დაუნდობლობამ თანდათან დაღალა და გამოფიტა ტერენტი, დღე-დღეზე ილეოდა კაცი, გონებით ბრმათაგან – განწირული.

უსაშველო და უახლოესი ტანაჯორკილი ურჩხული უგვანოდ უგრეხდა ხელ-ფეხს და ზეცისაკენ ამგზავრებდა, რითაც მგოსნის მიწიერთაგან განწირვა-გამეტება დასასრულს უახლოვდებოდა.

გრანელის მკრთალი მზერა მიწისძვრას მომლოდინე მღვრიე წყლის აკვარიუმის ცისფერი თევზებივით წრიალებდა. მხოლოდ პოეზია იყო აქ ღმერთივით მარადიული ნათელი მართალი და მუდმივი: გარდამავლობა ვარდისფერი ვარსკვლავივით კოსმიურ სივრცეს მოწყვეტილიყო, დაუსაბამომომავლის მთლიანობა მედგრად მოემართებოდა.

უმკაცრესი მბრძანებელი სიყვარულ-სიკეთისადმი სიძულვილი, საშინელ და სასტიკ სარბიელს არ ტოვებდა და ყოვლის მძლე სიკვდილს გამანადგურებელი ძალა მოეკრიბა...

ყოველთა მზე მზიურად მზეობდა, მზესუმზირები მოელვარე მანათობელს მიფერებოდა. მათგან ზოგს თავი დაეხარა, თითქოსდა მიწას ებოდიშებოდა.

ეშმაკეული ერთსახეობა, ერთკბილა და ერთრქიანი ელამი, ელვად ეკვეთა ეულმხოლოდ ერთს...

გულცივი გაცვეთა, გონების გადაგვარება, უსაშველო ეპოქის გოლიათური გესლი, გველ-გუნდთა გორგოლაჭობა, გამცემლობა და გადაგვარება გალეულიყო. ყოველთა სისავსე და ახალი დრო, მოგუდულ პოეტთან ჯვარცმაგამოვლით, ზეციური უსასრულობისკენ მარადისობით მიამგზავრებდა. სამყაროს უსასრულო ძალა-განაჩენს კი უიმედობა შეჰყროდა გაურკვეველი...

ძველი სენაკი – თბილისი
2013-2014-2017 წ.წ.

ᲠᲔᲖᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐ

ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐ

ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ ᲢᲔᲠᲔᲜᲢᲘ �გᲠᲐᲜᲔᲚᲡ

საოცრება, ზეციური საუფლო თუ?! ნებისმიერი ცოცხალთათვის მიუწვდომელი. სამწუხაროდ, მგოსანი მაინც მსხვერპლი იყო და მიწიერ განუმეორებელ სიცოცხლეს ეთხოვებოდა, უთუოდ ბევრად უკეთეს – მრავალფორმიან ვარსკვლავეთურ სივრცეში მიემგზავრებოდა, მაგრამ არამიწიერი მშობიარობა და შორეულში გადასვლა უმძიმესია, უცნაურია და ამოუხსნელია თურმე. ადამიანთა უმეტესობა ბუნდოვანი მორჩილებით თანდაყოლილია ამ აღუწერელ პროცესთან. დიდი ხელოვანნი თუ გენიოსები ყოველ უმცირეს ნიუანსებს, მოვლენებს ღრმად განიცდიან და სხეულის ან სულიერი უკიდურესი გაცემით ტრაგიკულად ეთხოვებიან ჩვენი პლანეტის უმთავრესს, ხოლო მშობლიურ მიწას, თავ-თავიანთ სხეულს უტოვებენ უზენაესთან აუცილებელი ხარკის გაღებით.

უკვე მოსულიყო ჟამი – გრანელთან, უმაღლესი სიწმინდის, უმძიმესი, უკეთილშობილესი, უდრეკი – ვაჟკაცურის, უსაზღვრო შემოქმედის და ეპოქისაგან უკიდურესად განწირულის საბოლოო ზეკანონებთან ანგარიშგებისა.

ტერენტის თანამგრძნობი და მზრუნველი უახლოესი და, ზოზია, წმიდანივით მწარედ მარტვილობდა და ვერ უძლებდა უმძიმეს მოვლენებს. ქალბატონ ზოზიას თვალწინ ვარსკვლავეთიდან მარადიულობით დაკანონებული ცვლილებათა მიმდევრობითი გადასვლები ნათელ სახედ ვლინდებოდა უსასრულობის წესთა უმკაცრესი ფონით, მუქი ლურჯი ფერების ნისლით და აწიოკებული – უნაზესი სულით. მაინც კაცთა მოდგმის პირველადი ველური სული მბრძანებლობდა ყველაფერს და ურთულესი პროცესი მათემატიკური ზუსტი გაანგარიშებით სრულდებოდა. მგოსნის მიმართ გაბოროტებულ გარემოს ამ მოვლენებთან შეღწევა არ შეეძლო მხოლოდ სიკეთისმყოფელი ადამიანები განიცდიდნენ კანტი-კუნტად...

მრავალმხრივი იდუმალებით შემოსილი ნაცრისფერებით დაბინდული საფლავი კი ათი მცნებასავით გრანელის წინ გადაშლილიყო. არავინ იცის ან ვინ უნდა ჩაწვდეს ნებისმიერი საფლავის ზეციური საიდუმლოდ შემოსილ უმთავრეს მცნებას: შესაძლოა ჩვენი უახლოესი გალაქტიკის უხილავი ძაფებით ურთიერთკავშირიც იყოს დედამიწის სხეულზე განთავსებულ საკვირველება საფლავებთან.

ათასწლეულების წინანდელი სამარხები ჩვენთვის უფრო და უფრო მიუწვდომლობაში არსებობენ. მაგალითისთვის – დიდი აიეტ მეფის, მისი შვილის მედეას, ფარნავაზ მეფისა და მათ თანამედროვეთა. ჩვენს დროშიც უთუოდ ყველას თვალწინ პირველი კოლხი მგოსნის ან ასტრონომის საფლავის მტვერსაც ქარი ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადაჰყრის ხოლმე. უძრავად გასუსული შემდგომ მოძრავ, ანუ მოხეტიალე მარადიულ ჰაეროვან საფლავად გარდაქმნილი. ამდაგვარია სამყაროსა და დედამიწის უხილაობათა შეუვალი ურთულესი დინამიკა.

როგორც ზეცაში სულთა სიუხვის უსასრულობაა, ასევეა დედამიწაზე საფლავთა აურაცხელობა, რომლებიც შემოდგომის ფოთლებივით კვებავენ მიწას...

გიგი ხორნაული

მგლის მოჯიშობა

— მგელო, მაინც ვერ მოგაშლევინე ტყისაკენ ცქერა, — შემომძახებდა ხოლმე თუში პროფესორი, როცა უნივერსიტეტის დერეფანში შემხვდებოდა, — როგორც უფროსმა ძმამ, მინდა გირჩიო — შეეშვი ნადირობას, დროის კარგვას, კარგ საქმესა ხარ შეჭიდებული და საქმეს მიხედე!

პასუხს აზრი არა ჰქონდა, რადგან ვერც ისა და ვერც სხვები ვერ იგებდნენ, რა მიმარბენინებდა სანადიროდ. მონადირეს მხოლოდ მონადირე თუ გაუგებს. ბევრს უთქვამს, ბევრს აღუწერია მონადირის გატაცება, მაგრამ ისე კარგად არავის უთქვამს, როგორც ეს არხოტიონმა დიაცმა გადმოსცა ლექსად:

„ჩემიმც მტერია, დედაო, მენადირისა ცოლია, ჯერ შუაღამე არ არის, გათენებული ჰგონია, დაუგდავ თბილი ლოგინი, მთაზე ცივ კლდესა სტოლია".

რა ძალა არ ასვენებს მონადირეს, რა ეწევა ყელზე შებმული თოკივით. ეს იგივე ძალაა, რომელიც მწერალს ეწევა მაგიდისაკენ, კომპოზიტორს — როიალისკენ, მხატვარს — მოლბერტისკენ და ასე სხვადასხვებს. მონადირის ბილიკზე ვისაც ერთხელ მაინც არ გაუვლია, სრულფასოვან ადამიანად არ მიმაჩნია, მგონია, რომ ვერ იცნობს ვერც ბუნებასა და ვერც ადამიანებს. უამისოდ ნამდვილი მეგობრის შერჩევაც შეუძლებელია. ნადირობასთან ახლოს შეიძლება ალპინისტობა მოვიდეს და ზოგიერთი სხვა სახიფათო პროფესია.

ნადირობა ძველთუძველესი გადმონაშთია ადამიანში, იმდროინდელი, როცა პირველყოფილი ადამიანების ცხოვრებაში ნადირობა უპირველესი და ძირითადი საქმიანობა იყო. ნანადირევით უნდა გამოეკვებათ ადამიანებს თავიცა და თავიანთი საერთო ოჯახებიც, ისევე, როგორც ამას აკეთებდნენ სხვა მტაცებელი ცხოველები და, უპირველესად, ოჯახებად მცხოვრები მგლები.

ადამიანებში ნადირობის ჟინის გაღვიძებას მაინც თავისი გარემო სჭირდება. შეიძლება კი ისეც მოხდეს, რომ თავისით გამომჟღავნდეს, როგორც ეს, მაგალითად, მგლებში ხდება, თანდაყოლილია და მორჩა. პირადად ჩემთან დაკავშირებით კი, რომელიც ოთხმოცი წლის წინანდელი ამბავია და დღესაც, ოთხმოცდაშვიდი წლის ასაკშიც, გუშინდელივით მახსოვს: ზაფხულის ცხელი, მზიანი დღე იყო. მამამ ჩამომძახა აივნიდან: ჩემთან ამოდიო! ის ხშირად იქ იჯდა, საწერ მაგიდასთან. ოთახში შესულს, მკითხა:

— თუ იცი, დღეს რა დღეაო? და დარწმუნებულმა, რომ არ მეცოდინებოდა, თვითონვე დაამატა:

— დღეს არის შენი დაბადების დღე, თორმეტი აგვისტო — შვიდი წელი შეგისრულდა.

საიდან უნდა მცოდნოდა, როცა არაფერში მჭირდებოდა. მთაში დაბადების დღის აღნიშვნა საერთოდ არ იციან. თავისი წლოვანებაც კი არავის ახსოვს.

მამაჩემმა ბალთებიანი ქამარ–ხანჯალი შემომახვია წელზე ხევსურული წესით და დალოცვასავით მოაყოლა:

— გიგივ, დღეიდან ბალღ აღარ ხარ, კაცობაში ჩადგი ფეხი, შენც ისე უნდა იფიქრო ოჯახზე, როგორც მე ვფიქრობ, ჩემ აქ არყოფნაში შენ უნდა გასცე პასუხი მტერსაც და მოყვარესაც, დიდსაც და პატარასაც, სტუმარს შენ უნდა დახვდე სახლში, პური აჭამო, სასმელი დაალევინო. თავად არ უნდა დალიო, არც პაპიროსი უნდა მოსწიო. ორივე დამღუპველია კაცისა. ჯერ მაინც პატარა ხარ, როცა გაიზრდები, თვითონ გადაწყვეტ, რა როგორ იქნა.

თავისი სკივრ-ტახტიდან მცირე ყალიბიანი შაშხანა, „გეკო", ამოიღო — თოფის სროლაც უნდა გასწავლოო. ამოიღო ასევე დაბეჭდილი სამიზნო ზუმბა, თოფის ზეთი და ჩამოვედით. ჩემმა უმცროსმა ძმებმა შეიარაღებული რომ დამინახეს, გაისუსნენ. მამამ უთხრა: ეს ახლა უკვე კაცია და, რასაც გეტყვით, უნდა გაუგონოთო. ჩვენი გამზრდელი მამიდა, კოკო, აცრემლებული მომეხვია და მაკოცა: „რაკი შენს დაკაცებას მოვესწარი, ეხლა რაღა მომკლავსო".

მამამ დაბეჭდილი სამიზნო ფიცარზე მიაკრა და ჯილდა ეზოს ბოლოში, კაკლის ძირში მიაყუდა. ეზოში ფლასი დავაფინეთ, სასროლეთი მოვაწყვეთ და წამოვუწექით. ამიხსნა, როგორ დამემიზნებინა, როგორ მომეყოლა თითი სასხლეტისათვის, სუნთქვა შემეჩერებინა და სამიზნე თვალი არ ჩამეტუხა. ერთი ათჯერ გამამეორებინა ეს ყველაფერი და მერე სამი ტყვიაც მასროლინა. გავიქეცი, ჯილდა მოვარბენინე და მამაჩემმა შეჰყვირა გაოცებისაგან: „ამ შობელძაღლს პირველივე სროლაზე სამივე ტყვია ათიანში ჩაუსვია, ეს მერე რას იზამსო".

— ა ბეჩავ, მგლის ლეკვო! — ღობესთან ჭრელაანთ პაპა მომდგარიყო, ახალგაზრდობაში თავადაც განთქმული მონადირე, — რას იზამს და ყველას გაჯობებთ ნადირობაში!

ჩემმა მოულოდნელმა წარმატებამ უცებ სხვაგვარად მაგრძნობინა თავი... მამაჩემმა გამაფრთხილა, ხვალ დილით სანადიროდაც წაგიყვანო.

დილით ადრიანად გამაღვიძა და ჩვენი მამულისაკენ გავწიეთ, სადაც ნამკალში თურმე ქედნები სახლდებოდნენ. მივედით, მამულის ბოლოში, შამბნარში ჩავუსაფრდით და დავუწყეთ ლოდინი. ქედნები ნელ-ნელა გროვდებოდნენ მამულის მაღლა, ტყეში, დიდხანს იციან ფიქრი, ფრთხილობენ, ერთი ქედანი ღიად დაჯდა ტოტზე, მკერდით ჩვენკენ. მამაჩემმა მკითხა: როგორ ფიქრობ, მოარტყამო? მე ვერც კი ვიგებდი, რას მეკითხებოდა, ისე ვღელავდი, ვიწვალე, როგორც იქნა, შევიკავე კანკალი, კარგად დავუმიზნე და ვესროლე. ქედანს ფრთებიც არ გაუნძრევია, ისე მოწყდა ტოტიდან და ჩამოვარდა. სიხარულისაგან გადარეულმა ავირბინე ჩვენი მამული და ხელში ავიტაცე ჩემი პირველი ნანადირევი. იმ წუთებიდან იფეთქა ჩემში ნადირობის დაუოკებელმა ჟინმა.

იმ შემოდგომაზე, რომლის ამბის მოყოლაცა მაქვს გულში, გეზი ხევისაკენ მეჭირა, ჩემი მონადირე ძმაკაცის, განთქმული მონადირისა და უტყუარი მთიელი ვაჟკაცის, იორამ ღუდუშაურისაკენ.

სხვაგანაც მყავდნენ კარგი მონადირე ვაჟკაცები, მაგრამ იორამ მათშიც გამორჩეული იყო. გარდა იმისა, რომ მცოდნე იყო მთის ადათ-წესებისა, მათი დამფასებელი და გამტარებელიც იყო ცხოვრებაში. არც ნადირობაში და არც სხვად, სათაკილოს არაფერს ჩაიდენდა, ამ მხრივ ჭკუასაკითხავი კაცი იყო და სულ რაღაცას სოფლის სიკეთეზე ფიქრობდა. ფიქრობდა და აკეთებდა კიდეც. ვლადიკავკაზიდან საიდანღაც მანქანებით მოჰქონდა ფიჭვის ნერგი და ახალგაზრდების წახალისებით სოფლის ირგვლივ ხრიოკ ფერდობებზე ტყე გააშენა. ყინვაგამძლე ჯიშები გამოჰყავდა, ვაზის ჩათვლით და ხალხს უფასოდ ურიგებდა. ფუტკარი ჰყავდა და ფუტკარს ამრავლებინებდა ხალხს. საკალმახე მოაწყო და, კალმახი როცა სჭირდებოდა ვინმეს, თავისი ხელით უჭერდა. სტეფანწმინდის გამგეობა კი დასდევდა, უსაქმური ხარო, რაკი მათ ბრძანებებს არ ემორჩილებოდა — ცხვარში არ მიდიოდა, თავისუფალ დროს შინ იჯდა, წერდა ლექსებს, წერდა თავის დაკვირვებებს — ნიჭიერი კაცი იყო. მე მას მარტოხელა მგელი შევარქვი, რომელიც მწვრთნელის ხელს არ ემორჩილება. და აი ეხლა გამეცინა, როცა დავინახე მის ეზოში დაბმული მგელი. მისმა ბიძაშვილმა ქალმა, მზაღომაც, გამოიხედა მოსასალმებლად. მას მაშინ ეძახოდა ხოლმე იორამი, როცა ხინკლის ცომი ჰქონდა მოსაზელი. მივედით და ყორის ღობის ძირთან ჩადგმულ სკამზე ჩამოვსხედით. მარგილზე ჯაჭვით გამობმული მგელი შეუჩერებლად მიდიმოდიოდა წინ და უკან, არაფერს ყურადღებას არ აქცევდა და არც ჩემთვის შემოუხედავს. აქვე დინჯად დააბოტებდა ვეებერთელა ვაცი, შიშველი ხმლებივით აწვდენილი რქებით თითქოს მიეალერსა მგელს.

მე: საიდან ეს მგელი? მგლის ბუნაგში იპოვე?

ის: არა, მე არა, ვლადიკავკაზში მონკავშირის თავმჯდომარეა ჩემი მეგობარი, იმასთან მოერეკა ვიღაცა ოსის ბავშვს ჯილდოსთვის.

იქ ისევ ჯილდოა მგლის მოკვლაზე. ეს ჩვენთან შემოიღეს ჯარიმა თავად მგლებმა. ერთი ლეკვი გამოვართვი, მინდა დავაკვირდე-მეთქი. რომ წამოიზარდა, დავაბი, საკვირველი რაღაცები შევამჩნიე. ჩვენ მგელი არა გვცნობია. მე ვიწერ დაკვირვებებს და მერე წიგნის დაწერასაც ვაპირებ.

მე: ძმაო, იორამ, ჩვენი წინაპრები მგელს მილიონი წელი აკვირდებოდნენ და დაასკვნეს, რომ მგელი არის დაუზავებელი, მოუთვინიერებელი, ბოროტი არსება. მე ძალიან მეეჭვება, ამის მეტი რამე აღმოაჩინო მგელში.

ის: ჩვენმა წინაპრებმა მგლისაგან კარგი თვისებებიც შეიძინეს, მაგალითად, ერთცოლიანობა, ოჯახის სიყვარული, ერთხელ შერჩეული მეწყვილისათვის სიკვდილამდე ერთგულება, თავისუფლების წყურვილი...

მე: ეს, კი ბატონო, კარგია და ყველასგან მოსაწონი, მაგრამ მგლისაგან მოდის დიდი ბოროტებაც, ცხვარ-ძროხის დიდი ზარალი, ჩვენი მთავარი საფიქრალი და საწუხარი სწორედ ეს არის. ამ მხრივ ადამიანმა ვერაფერი მოუხერხა, ძაღლივით ვერ შემოირიგა, ვერ მოათვინიერა, ბევრჯერ ეცადნენ ალბათ და ბოლოს დაასკვნეს: „კაი ყმა, მგელი, არწივი — არცერთ არ გაიწურთნებაო..." და კიდევ: „მგელი არ მაშლის მგლობასა..."

ის: მაგაში მეც გეთანხმები, რომ მგელი სწორედ მაგ თვისებების გამო მოგვწონს. მაგიტომ შეარჩია ალბათ ქართველმა ხალხმა თავის წინაპარ ცხოველად, ამ თვისებით ვგავდით ერთმანეთს. ეგეთი რაღაცები მინდა მგლის ხასიათში შევისწავლო.

მე: მაგაში მართალი ხარ, ჩვენც მგლებივით მოუთვინიერებლები ვიყავით და ამიტომ უხსოვარი დროიდან მეზობლები მგლებს გვეძახდნენ, მაგალითად, სომხები დღესაც „ვრაცებს" გვეძახიან. რამდენმა იმპერიამ გადაგვიარა, დაგვიპყრო, მაგრამ ვერავინ დაგვიმორჩილა, ვაკვდებოდით... ცნობილი მეომრები ვიყავით, იმპერიების კარზე აღზევებული ქართველი მხედართმთავრები მსოფლიოს აზანზარებდნენ. ამის გამო მე მაქვს ჩემი მოსაზრება, ჩემი დაკვირვება. ვინც კი სიმამაცით ცნობილი ხალხი იყო ძველ სამყაროში, ყველას ჩვენი, იბერიული ფესვები ჰქონდა. კავკასიაში ყველაზე მამაცი, შეუპოვარი ხალხი ქისტები არიან. და ეს ქისტები ჩვენი ყველაზე ახლო ნათესავები არიან. ისინი მგლის შვილებად თვლიან თავს. რომაელების წინაპრები, ეტრუსკები, ძველი იბერიული ტომი იყო და მსოფლიოს მპყრობელი რომაელები მგლის შვილებად მიიჩნევდნენ თავს.

კუნძული კორსიკა ქართველთა წინაპრებით არის დასახლებული. და როგორი მხედართმთავარი მისცეს მსოფლიოს, ნაპოლეონი. ამოჩემებული აქვთ, ქართველები უნათესავო ხალხი ვართო. ვინ არიან უნათესავო?!

მზაღომ და მისმა გოგომ ამასობაში ხინკლიანი ტაბლა დაგვიდგეს წინ, მერე ერბოიანი ჯამი და არაყიანი ბოთლიც მოაყოლეს. საღამომდე შევყევით საუბარს, მიმოვიხილეთ მგლის გასაკეთილშობილებლად დაწერილი წიგნები, უცხოელებისა, ვითომ პროფესორ-მკვლევართა ნაშრომები, ჩვენი ვიღაცა მგლის დამცველი პროფესორებისა და ბოლოს მაინც ჩვენ-ჩვენს აზრზე დავრჩით. იორამს ვთხოვე და ისიც მაშინვე დამეთანხმა, ჩვენი ტრადიციის მიხედვით, მალე დავწოლილიყავით დასაძინებლად, რაკიღა ადრე უნდა ავმდგარიყავით — ღამის სამ საათზე... ზუსტად სამ საათზე გამეღვიძა და გაეღვიძა იორამსაც. იორამმა შუქი ჩართო და ჩაცმა დავიწყეთ, მერე გარეთ გაიხედა და რაღაცა ჯავრობის ხმა შემომესმა. გაცინებული შემოჩნდა და მაღლა აწეულ თითსა ჰკაკვავდა:

— სიმართლე შენია, წავაგე... გამოდი ერთი ნახე, ამ ჩემ გაძაღლებულ მგელს რა უქნია.

გამოვედი და რას ვხედავ, ყელგამოჭმული ვაცი ძირს გდია, მგელს საყელე წამოუძვრია და გაქცეულა.

— ოი, შენ ჩემო თავო, არც ეხლა დაიჯერებ წინაპართა ნათქვამს, რომ მგელი არ მაშლის მგლობასო. ანდე ჯიხვი, ამას განა ნაკლები ხორცი აქვს, გავატყავოთ და წაიღე.

— მე ნადირობა მინდოდა, კაცო, ასეთი ხორცი არ მაინტერესებს.

— ვიცი, მაგრამ ხორციც ხომ საჭიროა, შენ ხომ გჭირდება შვილის დღეობისთვინა. ეხლა ეს წაიღე, ნადირობა მემრე იყოს.

გაღიმებული დავცქეროდი მიწაზე დაგდებულ მგლისაგან წამოძრობილი ძაღლის საყელეს და ჩემი ბედკრული სამშობლოს მწარე ხვედრზე ვფიქრობდი.

მგელს იორამისა და ვაცის ჯავრი ერთად ამოეყარა. არ შეარჩინა, ისე რომ ექცეოდნენ, როგორც ძაღლს, დაზეზდა და თავისუფლებანაგრძნობი გადაევლო ღობეს.

მგლის სახეში ეხლა მე სამშობლოს ვხედავდი — მის წარსულს და მომავლის იმედი მახარებდა. მგლის საქციელმა კიდევ უფრო საამაყოდ წარმომიჩინა ჩემი სამშობლოს ისტორიული წარსული, იორამის მგელივით რომ წამოიძვრენდა ხოლმე თავიდან მტრისაგან ჩაბმულ ძაღლის საყელეს.

მგლის ვაჟკაცური საქციელი, ჩანს, მოსაწონი და დასაფასებელი იყო ქართველისაგან, ხასიათები ერთურთს ემთხვეოდა. იმ დროს, ჯოგურად მცხოვრები ადამიანებისთვის, ცოლებიც და ქმრებიც საერთო რომ ჰყავდათ, სანიმუშო იქნებოდა მგლის მეორე ძვირფასი თვისება: სიცოცხლის ბოლომდე ერთგულება თავისი რჩეულისადმი, „ერთცოლიანობა". ეს თვისება ქართველს მოეწონა და გადმოიღო კიდეც მისგან. ასე დაემსგავსნენ ერთურთს მგელი და ქართველი... აღფრთოვანებული ვიყავი იორამის მგლის საქციელით, მსურდა, დიდი ყანწით შემესვა მისი სადღეგრძელო.

ხევსურებსა აქვთ „კა მტრის" სადღეგრძელო — ვაჟკაცი მტრის, ღირსეული მტრის სადღეგრძელო, ისეთი მტრის, რომელიც უღირსსა და უკადრებელს არაფერს ჩაიდენს, წინ შემოყრილ მოსისხლეს არ მოჰკლავს, თუ ის გზის ძირზე ჩავიდა, ცოლთანა და შვილებთან მომავალს ხმას არ გასცემს, გასაჭირში ჩავარდნილს კი პირველი გაუწვდის ხელს.

არის ასეთი შეხედულება — საზოგადოება ორ ნაწილად იყოფა: მგლებად და ცხვრებადო. მე სხვა ხალხებისა არ ვიცი, ქართველებს კი ეს გამონათქვამი არ ესადაგება. ქართველი, რაც გინდა დაბალ საფეხურზე იდგეს ცხოვრებაში, ცხვრად არ იქცევა, სულ ბეჩავი, ღარიბი კაციც კი, თუ ვინმე მოუნდომებს აბუჩად აგდებას, დაჩაგვრას, ისეთ ბრჭყალებს გამოაჩენს, თავბედს აწყევლინებს გათავხედებულს. ქართველები მგლის ჯოგივით არიან, ერთმანეთში ღარღურაობენ და, ვისაც სისხლი გაუვა, იმას შესჭამენ, ერთმანეთს ჭამენ. აქედანაც ჩანს, რომ ჩვენ ნამდვილად მგლის მოჯიშობისანნი ვართ — ერთურთს ისე ვგავართ, როგორც ტყუპი ძმები. ამ ურთიერთობის სიმბოლოდ უთუოდ ივარგებდა სახელი „მგელიკა".

თემო ნაცვლიშვილი—100

მეგზური ქართველთა იდენტობის სივრცეში

მოგზაურობა პირველი: სულხან-საბა

მართალია, თემო ნაცვლიშვილის ხელოვნებაზე წარმოდგენა ადრეც მქონდა, მაგრამ მისი შემოქმედების უკეთ გაცნობამ კვლავაც დამარწმუნა, რომ XX საუკუნეში ჩვენი კულტურისათვის დიდი მნიშვნელობა შეიძინა ე.წ. „ორმოცდაათიანელთა“ თაობის მოღვაწეობამ. ამ გენერაციისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა თანდათანობითი, მიზანმიმართული განრიდება იდეოლოგიური კლიშეებისაგან და საკუთარი კულტურის სულიერ მონაპოვართა კვლავაღმოჩენისაკენ დაუოკებელი სწრაფვა. ოღონდ იმგვარად, რომ ეს ყოველივე რეალიზებული ყოფილიყო იმხანად თანამედროვე აზროვნების „გახსნილი“ გეზით, ყოველნაირი იზოლაციონიზმის დაძლევის მოთხოვნით, თანაც, დავით კაკაბაძეს რომ დავესესხოთ, „საკაცობრიო ჭერქვეშ“. ჩვენი კულტურა, უკვე მერამდენედ, კვლავ მიაპყრობდა მზერას მისთვის შინაგანად მახლობელ ევროპულ სივრცეს, რომლის სათავეებშიც ის იდგა ოდითგანვე. 1918-1921 წლების დამოუკიდებელმა საქართველომ, ტრაგიკულად დღემოკლემ, მაგრამ მრავლისდამმკვიდრებელმა, მაინც მოასწრო მოემზადებინა ნიადაგი კულტურის იმ დიდი აღორძინების ახალი შანსისათვის, რომელიც მაშინ იქნა კვლავაც წამოწყებული, როდესაც განსრულდა „ეპოქა დიდი“, დაკავშირებული უზარმაზარი მასშტაბის მქონე საზარელი დიქტატორის, იოსებ სტალინის გარდაცვალებასთან.

იმ პერიოდიდან ჩვენი ხელოვნება, ისევ და ისევ, დაადგა ურთულეს სავალს, და ეს იყო მრავლისუმრავლეს სიძნელეთა მძლეველი გზა. ამ გზაზე ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ წარმოაჩინა, რომ ძლიერი ხატოვანება და მხატვრული ფორმის შინაგან, ძირეულ ენობრივ მახასიათებელთა წვდომა მისთვის იქცა გარდაუვალ არჩევანად, რომელიც თავისუფალი შემოქმედების დამამკვიდრებლად უნდა ქცეულიყო არა მხოლოდ საკუთარი ეპოქისათვის, არამედ მერმისისათვის, მომავალი თაობებისათვის...

ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ევროპულად განსწავლული ხელოვნებათმცოდნის, თამარ ტვილდიანის თქმით, სწორედაც დიდ პედაგოგთა გამორჩეულ ღვაწლს სამხატვრო აკადემიაში.

ამ მხრივ, თემო ნაცვლიშვილისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა ნიკოლოზ კანდელაკთან ურთიერთობა — მართლაცდა დიდოსტატთან, სუპერმონუმენტალისტთან, ერთხანს (და ეს საგულისხმოა!) გამოჩენილი ფსიქოლოგის, ბეხტერევის საუკეთესო შეგირდთან, რომელმაც უძლიერესი სკოლა შექმნა ქართულ სკულპტურაში.

თემო ნაცვლიშვილი ორმოცდაათიანელთა შემართული თაობის უთუოდ ღირსეული წარმომადგენელია, მაგრამ, სამწუხაროდ, მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე, ის აღმოჩნდა ჩრდილში მყოფი, უკანდახეული თუ უკანდაწეული. ამიტომაც ჩვენი მოვალეობაა, რომ ახლა მაინც, შეძლებისდაგვარად, უკეთ წარმოვაჩინოთ მისი ფუნდამენტური მონაპოვრები. აქვე დავძენ იმასაც, რომ ამგვარი მოკრძალებულობა გულსატკენია იმიტომ, რომ მსგავს პირობებში ამა თუ იმ ოსტატის შემოქმედება სოციუმში იმ ფუნქციას ისე ვერ აღასრულებდა, როგორადაც უნდა შეესრულებინა! ყოველ დროში იყვნენ თუგინდ დიდად ნიჭიერნი, მაგრამ უფრო ფხიანნი, სახელის მაძიებელნი, აღიარებულნი, და, იქვე, მათზე არანაკლები შემოქმედებითი ძალის მქონენი, ოღონდაც ასე თუ ისე — შეუმჩნეველნი და დაუფასებელნი. კვლავ ვიმეორებ, — სამართლიანობა მოითხოვს მათი მონაპოვრების წინწამოწევას, პოპულარიზაციას, გამომზეურებას...

წერილთა ამ ციკლში შევეცდები გაგიზიაროთ შთაბეჭდილებები, რომელნიც უკავშირდება თემო ნაცვლიშვილის დანატოვარში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებელს: ეს არის ამა თუ იმ გამოჩენილ პიროვნებასთან სულიერი „შეხვედრისას“, მისი მხატვრული სახის ხორცშესხმა არა რომელიმე ერთი ნაწარმოებით ან ერთი მოვლენით, არამედ მრავალი კუთხით მოწვდილი, და თანაც, დიდი მრავლისმომცველობითაც! ოსტატი სხვადასხვა დროს „უტრიალებს“ მისთვის საინტერესო რომელიმე პიროვნების ნაღვაწს, ცდილობს მოცულობრივად, მრავალასპექტურად, „კონტექსტტევადად“ შეასხას ხორცი, მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის მხატვრულ სახეს. პირველი მოგზაურობა თემო ნაცვლიშვილის შემოქმედებით სამყაროში, სწორედ სულხან-საბათი გვინდა დავიწყოთ.

მაინც, ვინაა სულხან-საბა ორბელიანი? ეს არის მართლაც უდიდესი მოღვაწე, თანაც ისეთ დროში, როდესაც საქართველო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იყო. ასეთ პერიოდებში ამა თუ იმ დიადი პიროვნების წარმოუდგენელი ძალისხმევა რომ არა, საკითხავია — იარსებებდა თუ არა ჩვენი ქვეყანა? იგი, რაღა თქმა უნდა, სწორედაც საკვირველად — მრავლისმომცველია: „ლეონისებრ“ აღმზრდელიც არის მეფისა - ვახტანგ VI-ისა (ანალოგია აქ თავისთავად ამოტივტივდება: არიტოტელე და ალექსანდრე მაკედონელი). დიდი ღვთისმეტყველი და უდიდესი მწერალია — „სიბრძნე–სიცრუისა“ მსოფლმხედველობის სიღრმით, თუ გნებავთ, თვით „ვეფხისტყაოსანსაც“ კი გაეპაექრება; ეს არის საკვირველი მასშტაბის ქმნილებაა, აღმოსავლეთის და დასავლეთის შემაკავშირებელი, ჩვენი „გეოპოლიტიკური უნივერსალობის“ გამოძახილი. სულხან-საბაა ავტორი იმ ენიგმატური „სიტყვის კონისა“, რომელსაც გამაოგნებელი მოკრძალებულობითა და სულიერი გმირობით ჰქმნიდა მრავალი წლის განმავლობაში. და თუკი დენი დიდრო ფრანგული ენციკლოპედიის მამაა, განა იმ უმძიმეს პირობებში, როდესაც შეიქმნა საბასეული ლექსიკონის ამოუწურავი საგანძური, ამ საქმეს ნაკლები ძალისხმევა ესაჭიროებოდა?! იოანე ზოსიმესეული „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ კვლავ სხვაგვარად დაიბადა სულხან-საბას სულში: იგი აღმოცენდა, როგორც კეთილი ნაყოფი, როგორც ის განცდა, რომელიც აღმოხდა ირაკლი აბაშიძეს - „ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ“... აქ ხომ ნებაუნებურად დროთა კავშირის უწყვეტობაცაა გამოვლენილი და მეტიც, — გალაკტიონისეული „სხივთა შეკონებაც“ კი ამოტივტივდება ჩვენს მეხსიერებაში. და აღბათ იქვე, იაკობის განუზომელი ძალისხმევაც...

სწორედ ასეთი განცდით, სწორედ ასეთი გააზრებული წარმოგვიჩინა იგი თემო ნაცვლიშვილმა, როდესაც 1962 წელს შექმნა სულხან-საბას გრაფიკული ხატება. იგი, სამოციანი წლების დასაწყისისათვის ქართული მხატვრობისათვის ესოდენ ნიშნეული, ზღვრული, ოღონდაც ძალზე ტევადი ლაკონიზმითაა გამორჩეული. ამ ლინოგრავიურაში არისტოკრატიული დიდებულებაც სუფევს, თუმც კი, ეს ყოველივე სოციალური იერარქიის მაღალსაფეხუროვანებაზე ვერასგზით დაიყვანება. უფრო მეტად, თუ გნებავთ, აქ სულიერ ამაღლებულობას ვჭვრეტთ და არა ოდენ იმიტომ, რომ საქმე არაორდინარულ სასულიერო პირთან გვაქვს. არის ამ „წარმოსახვითობაშიც ზუსტ“ პორტრეტში რაღაცნაირი „ხელმწიფური“ ღირსებააღვსილობა. და აი, ზუსტად ამ თვალსაზრისით უნდა მივაპყროთ მზერა მისი ხელის ჰიპერტროფირებულ ხაზგასმას. როგორღაც ვაცნობიერებთ, რომ სიტყვა „ხელმწიფე“ მარტო საერო ხელისუფალს იქნებ არც გულისხმობს. აქ უფრო სხვა ნიუანსია, ეგების ის, რომ საბამ ნათელყო: მას მართლაც „ხელეწიფებოდა“ სიტყვის კონის „აღმომდინარება“ მისივ უღრმესი წყაროსთვალიდან. ენის ასეთი ცოცხალი მცველობა და კვლავდგინება (მის მწერლობაშიც ძალუმად ჩენილი), განა ნაკლები რამ იყო, ვიდრე ხმლისა თუ შუბის ხმარება (ისიც ვიცით, რომ ამგვარი შემართებაც ძალუძდა). მონასტრებში დავანებული ფოლიანტები ხომ სულაც არ იყო სამეფო ლაშქარზე ნაკლები ძალის მქონე, არამედ იქნებ უფრო მნიშვნელოვანიც, ხოლო საბასეულმა ნაღვაწმა თითქოსდა „გვირგვინი დაადგა“ თავისი დიდებული სიტყვაქმნადობით ჩვენს მწიგნობრობას, თანაც იმხანად, როდესაც ქვეყანას ძალიან, მეტისმეტად, უკიდურესად უჭირდა. ეს იყო რუსთაველისეულად — ჭირთა შიგან გამაგრების დროს, „გაქვითკირების“ თვალსაჩინო მაგალითი.

თემო ნაცვლიშვილისეულ გრაფიკულ ფურცელში ჩვენ ვხედავთ საბასეული ნაღვაწის ზედმიწევნით წვდომას. ეს ქმნილება, მომცრო ზომის მიუხედავად, „ზემონუმენტურად“ გვესახება, სადაც განტვირთვა და კონცენტრაცია „ხატოვანებაშემკვრელ“ ერთიანობას ქმნის. შემთხვევითი არ არის, რომ სულხან-საბას ეს გამოსახულება თავისი სამეცნიერო-შემეცნებითი პროექტის ემბლემად აირჩია თემო ნაცვლიშვილი უფროსმა შვილმა პაატა ნაცვლიშვილმა, როცა ევროპაში საბას მოგზაურობის მე-300 წლისთავზე მისი გზის გამეორება მოინდომა და გაიმეორა კიდეც.

ცხადია, როგორც მოქანდაკეს, თემო ნაცვლიშვილს გაუჩნდებოდა იმის სურვილი, რომ სულხან-საბას მხატვრული სახისათვის შესაფერი ფორმა შეექმნა ქანდაკებაში. თუმცა ეს უფრო ადრე მოხდა: ჯერ კიდევ 1958 წელს მან შექმნა საბას სკულპტურული გამოსახულება — კვლავაც მცირე ზომისა, და კვლავაც მონუმენტური, ამაღლებული. აქაც საბას ფიგურა ზემძლავრია, თითქოსდა „ტიტანურიც“ კი. ფორმასავსეობას ამძაფრებს „ძღელვარე“ დრაპირების მხატვრულად მეტყველი გადაწყვეტა. არის ამ ქანდაკებაში უდრეკი მიზან–მიმართულობა, შემართება, უკანდაუხეველი რწმენაავსილობა! იქნებ ვინმეს გადაჭარბებადაც მოეჩვენოს, მაგრამ მასში ვხედავ მიქელანჯელოსეული „მოსეს“ სულიერი ძლევამოსილების ტრანსფორმაციას. მართალია, თემო ნაცვლიშვილის ახლო მეგობარმა, ტიტე სიხარულიძემ, დადგა საბას ჩინებული ძეგლი თბილისში, მაგრამ ნუთუ არ შეიძლება, რომ ნაცვლიშვილისეული, განსხვავებული და დიდად შთამბეჭდავი გადაწყვეტა რეალიზებულ იქნას ღია სივრცეში? ასეთი სკულპტურები ხომ ერის იდენტობის, თუ გნებავთ, მისი თვითშეფასების ამაღლების (რასაც ობიექტური საფუძველი აქვს) ერთგვარ, ხელშემწყობ „ტოპოსებადაც“ კი შეიძლება მივიჩნიოთ...

და კიდევ ერთ ქმნილებას შევეხები: ეს არის უადრესი — „სულხან-საბა ორბელიანი და ვახტანგ VI“ (1956). ამ ქანდაკებაში ისეთი თავმოყრა-კონცენტრაცია არაა, როგორიც ზემოთ განხილულ ნამუშევრებში, აქ მიდგომა სულ სხვაა: თითქოსდა ის უფრო „ნარატიულია“, თუმც კი — მრავლისმეტყველი. ჩანს ორი ისტორიულად უმნიშვნელოვანესი ფიგურის არა უბრალოდ თანაყოფნა, არამედ თუ გნებავთ - თანამოაზრეობა. მოქანდაკესთან გამოხატული კონცეფცია უჩვეულოა — ახალგაზრდა, რამდენადმე ზვიადი საბა აქაც ზის, აქაც საკმარისად მობილიზებული, გარინდული და თითქოსდა „შორ სივრცეთა“ მჭვრეტელი. მას თავს ადგას და თანაც დიდი რიდით, კრძალვით (თ. ტვილდიანი) თუ პატივმიგების გამომხატავი მზერით დასცქერის ვახტანგ VI, მისი სულიერი შეგირდი, დიდი მწიგნობარი, ჩინებული პოეტი და ფართოინტერესების მქონე მეცნიერი, პირველი რუსთველოლოგი. ის, ვინც არსებითად გელათის აკადემიის მონაპოვართა ამაღორძინებელიც კი ჩანს საბასთან სინერგიულად. ეს კეთილშობილებით აღსავსე პიროვნება, სამწუხაროდ, თავად საბასებრ, მიმნდობი პოლიტიკური რომანტიკოსი აღმოჩნდა — მძვინვარე და ცივი „პოლიტპრაგმატულობით“ აღსავსე დიდი და ძლევამოსილი იმპერიების ჭიდილის ჟამს. ლამის რომ „დონკიხოტისებრი“, ქრისტიანული მრწამსით აღვსილმა, სავალალოდ ვერ იგუმანა, თუ რა გეზს უნდა დასდგომოდა და რჩეულ ელიტასთან ერთად, იქცა დევნილად საკუთარი ქვეყნიდან, იქცა ტრაგიკულობით აღსავსე მწირად, რაც — მთელი თავისი ჩვეული პირუთვნელობითა და ამავე დროს მისდამი უდიდესი სიყვარულით გამოხატა გენიალურმა დავით გურამიშვილმა, რომელიც, თვითონაც ტყვედმყოფი და ლტოლვილი, თან დაატარებდა „ყოველ საქართველოს“ საკუთარ სახილველში, როგორც ისეთი მარტოსული, რომელიც სამშობლოს თანამყოფობას ყოველთვის იტევდა მისსავ ხელშეუხებელ სულიერ ნავთსაყუდელში. ეს უდიდესი პიროვნებანი, ანუ სულხან-საბა, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი, ბატონიშვილი ვახუშტი — იმ დიდი ქართული განმანათლებლობის“ კორიფეები არიან, რომელიც უაღრესად ქრისტიანულია მთელი თავისი არსით. აქ უზარმაზარი დისტანციაა თუგინდ პოლ ჰოლბახთან, რომელიც ფრანგული განმანათლებლობის თვალსაჩინო ფიგურაა, ოღონდ ის თვით დეიზმსაც კი აკრიტიკებს! ასეთი რამ, ჩვენებური, ქართული, სახარებისეული განმანათლებლობისათვის — უბრალოდ, გაუგებარიც კი იყო...

აი, ასეთ საფიქრალს აღგვიძრავს თემო ნაცვლიშვილის ქმნილებთა ერთი წყება. იგი ქართული კულტურის თვითშემეცნების გზაზე, როგორც ზემოთაც ითქვა, იმ მეგზურთაგანია, როგორებიც ძალიან ესაჭიროება და ასე აკლია დღევანდელობას — ჩვენი ესოდენი დაბნეულობის პერიოდში!!!

მომდევნო მოგზაურობებისას შევეცდებით განვაგრძოთ თხრობა თემო ნაცვლიშვილის ქანდაკებებში დაუნჯებელი ერის დიდი, უდრამატულესი სულიერი თავგადასავლის შესახებ.

დაბოლოს, დავძენთ: თემო ნაცვლიშვილი ის მოქანდაკეა, რომლის შემოქმედებაში მრავლადაა ამგვარი მძაფრი ხატოვანებით აღსავსე ქმნილებანი, რომლებშიც ერის საკვანძო პარადიგმათა „შინამხილველობა“ შეიგრძნობა...

სამსონ ლეჟავა
ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი

შოთა ტოგონიძე

შოთა ტოგონიძე დაიბადა 1934 წლის 15 დეკემბერს, ონის რაიონის სოფელ ფარახეთში. სოფლის 8-წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ამბროლაურის პედაგოგიურ სასწავლებელში.

1954 წლის ოქტომბერში გაიწვიეს სამხედრო სამსახურში.

1957 წელს დაბრუნდა ჯარიდან და დაამთავრა ქუთაისის პედსასწავლებელი. 1959 წელს ჩაირიცხა ალ. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტში რუსული ენისა და ლიტერატურის დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1966 წელს.

1959 წელს გადმოვიდა თბილისში საცხოვრებლად და მუშაობდა კერამიკულ კომბინატში.

1969 წელს დაიწყო მუშაობა 82-ე საშუალო სკოლაში მასწავლებლად. პარალელურად მუშაობდა გაზეთ „სახალხო განათლებაში" კორესპონდენტად.

1985 წელს სამუშაოდ გადავიდა „საქენერგოს" სასწავლო ცენტრში უფროს მეთოდისტად და სწავლულ მდივნად, საიდანაც გავიდა პენსიაზე.

1979 წელს დაიბეჭდა ლექსების ერთობლივი კრებული „ბილიკი ცისკენ". 2004 წელს გამოიცა მისი ლექსების კრებული „მრავალძალს არწივები აფრენილან", ხოლო 2015 წელს - ლექსთა კრებული „ვჩქარობ მოვასწრო".

მიღებული აქვს ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია და წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი.

ქართული სიმღერა

გადავიღალე უცხო ტომთა
ხმათა ხმაურში
და გული ეძებს, თავისთავად
მყუდრო სავანეს;
თუ გასაფრენად შტაგონების
ფრთები ავუშვი,
შენი წყალობით გადავლახავ
ქვეყნის სამანებს.

რა სივრცეში ხარ, რა ჰორიზონტს
გაკიდებული,
ჩემო სიმღერავ, აწეულო
ზეცის თავანო;
სული ხარ ჩვენი მდინარისებრ
ადიდებული
და სამლოცველო, უნაპირო,
უგალავანო.

მომეფინები როგორც სიო
სიცხიან მკერდზე
და არემარეს შეატოვებ
ხმათა ხავერდებს,
მაფხიზლებ, მანთებ და მაფიქრებ
სამშობლოს ბედზე,
მამულთან ერთად შენს სიცოცხლეს
გამჩენს ვავედრებ.

„ჩაკრულოთი" და „ლილეოთი"
კოშკებს აგებდი,
ალამაზებდი ჩემი ქვეყნის
იმერ-ამიერს,
მარადისობის გზასავალზე
უკვდავ ჰანგებით,
გეაროს, ჩემო საქართველო,
მრავალჟამიერ!

პაატა სააკაძის საფლავთან

შვილო, იქნებ მოინატრე მამაშენი,
კისერზე ხმალს გაზომებდა შაჰი როცა...
და „მარტყოფი", - საქართველოს
გადამრჩენი,
ამ დროს იდგა გმირისა და უფლის
ლოცვად...

არ მასვენებს შადიმანთა დრო უხეში
და მის შემდეგ ქართლის ზეცა
თვალსველია,..
ერთაწმინდის ეკლესიის ერთ კუთხეში,
საქართველოს სიყვარული ასვენია...

შემოდგომა შემოსულა უკვე

წვიმს, ხანდახან რა კარგია წვიმა,
მობუზულა ბელურა და წივის;
მაგონდება წაკითხული წინათ,
დიდ მუხრანის მოტივები წვიმის.
ვართ სუფრასთან მაია და ავთო,
(ვენაცვალე მათი სახის ვარაყს);
ერთმანეთის სიყვარული გვათბობს
და მაია მისხამს ჭაჭის არაყს.
ისეთია, უარს როგორ ჰკადრებ,
სამს დაგისხამს, არ ვარგაო ლუწი...
ვხედავ უკვე იმ ბავშვობის კადრებს,
ამ სახლში რომ გავატარე უწინ.
თუმც ამ განვლილ წლებს საკმეველს
ვუკმევ,
სიბერე რომ შემატოვა ხელში;
შემოდგომა შემოსულა უკვე,
ჩემი სოფლის, - ფარახეთის ხევში!

მამა

სიბერეში შევეძინე მამას,
სამოცდაშვიდს რომ გადასცდა თითქმის,
ასე იყო, მართალს ვამბობ ამას,
სიმართლე ხომ გულახდილად ითქმის.

დედის წასვლამ დამაღონა დიდად,
დრო მოექცა ჩემს ბავშვობას მკაცრად;
მამა ობოლს სიბრძნის ნიჭით მზრდიდა,
ცხოვრებაში ვქცეულიყავ კაცად.

ჯარში ვიყავ, მწერდა ვარო კარგად,
სიძაბუნეს არ იტყობდა ხმაში;
ჩამოვედი, გაიხარა, მაგრამ
მზის სინათლე დაჰკარგოდა თვალში.

ის სიტყვები ახლაც ყურში მესმის,
მხრებს მისინჯავს მამა და გულჩვილობს:
,,ნეტავ ერთი შემახედა შენთვის,
როგორ დავაჟკაცებულხარ, შვილო!"

მრავალძალს არწივები აფრენილან

ტყეში საფურცქნელა მოდებული,
მწვანე ფოთლების მზერით;
სითბო ბუნებით ბოძებული,
ბარიდან ამოდის ზევით.
კალთებზე ნისლები განფენილან,
ფერებში ირევა ფერი;
მრავალძალს არწივები აფრენილან,
კვირტებში სიცოცხლე მღერის.
ბავშვობა ველ-მინდვრებს შელეული,
მეძახის და აფრთხობს სიმარტოვეს;
მთაო, სიმაღლე შენეული,
ვიცი, არასდროს მიმატოვებს.

ქალი

გაჩენის დღიდან მოდიხარ ასე:
ატარებ გრძნობებს ფარულს, გამხელილს,
კაცობრიობას სიცოცხლით ავსებ,
გადგას გვირგვინად დედის სახელი.

ხარ სილამაზე ზეცისმიერი
და სურნელება ქართლის ბაღების,
ქალურ სისუსტით შენ ხარ ძლიერი,
ნებისმიერი ციხის ამღები.

შენ გზას მე სხვა გზას ვერ შევადარებ,
გზა რთული გაქვს და უცხოდ ხვეული...
ღვთაებრივი ხარ, რომ დაატარებ
ლამაზ სიცოცხლეს ლამაზ სხეულით.

დაბადების დღეს გიხდი, ძვირფასო

დღეს ხომ აგვისტოს ოცდაცხრა არის,
სხვისთვის არ ვიცი ეს დღე რით ფასობს;
მე კი ღვინით და ანთებულ სანთლით,
დაბადების დღეს გიხდი, ძვირფასო.

შენ სულ ლამაზი იყავი ჩემთვის,
სხვა დრომ წაიღო, ვით წყალმა ტივი...
ახლა შენს ღიმილს ცრემლები ერთვის,
რა ვქნა, კაცი ვარ და მაინც ვტირი...

შენ გაჩენილხარ დიდ სიყვარულად,
სითბოდ, იმედად, მშვენებად სრულით;
შენგან დატოვილ ტკივილს ფარულად
ვატარებ, სანამ გაუძლებს სული.

დღეს ხომ აგვისტოს ოცდაცხრა არის,
სხვისთვის არ ვიცი ეს დღე რით ფასობს;
ჭიქა ღვინით და ანთებულ სანთლით,
დაბადების დღეს გიხდი, ძვირფასო...

აქ არ მეძებოთ

ჩამოვედი და მონატრება
ვიგრძენი დედის,
მაგრამ რაც შევქმენ, შევიძინე,
შენი მადლია;
მაინც სიცხიან ვაჟასავით
მეძახდა მთები,
შენს სიყვარულში ლიბოსმდები,
ჩემი გადია...
ტატოს ცრემლნარევ მტკვრის ნაპირებს
როცა ჩაივლი,
თან ბუმბერაზთა სავანე რომ
დაგცქერს ზემოდან,
ათვალიერებ ჩუქურთმიან
სახლებს, აივნებს,
ეს ჰყოფნის ხოლმე დარდიან გულს
მთელ დღეს ზეიმად...
ვამაყობ შენი წარსულით და
ველი უკეთესს,
მახარებს შენი სიდიადე,
მწყინს, რაც ნაკლია
და კარგად ვხედავ, ხვალინდელ დღეს
ვინ რას უკეთებს;
მაინც ვწრიალებ, ვერ ვისვენებ,
რაღაც მაკლია...
ვინ საით მიდის, გზებმა იცის
მხოლოდ იმისმა,
ეკლიან ვარდებს გაივლის, თუ
იასამანებს;
მაჩაბელივით თუ დამკარგა
ჩემმა თბილისმა,
აქ არ მეძებოთ,
მთა იქნება სულის სავანე!..

თქვენთან ვრჩები

წითელაურს, ჩემი დილის სასაუზმოს,
დაუყრია გულზე ია და ღიღილო
და ტყის პირას აშხლაპირის ცივი ღელე,
ქვებზე ხტუნვით ჩანჩქერებად
ჩაღიღინობს.
ნაღვარევი, სიყვარულით ნაღვარევი,
ღვარეულებს დილის ცვარი დაუღვრიათ
და ველესებს ტირიფებში ნამალევი,
სამასპინძლოდ კარებები გაუღიათ.
მე რა დამღლის, თქვენზე ფიქრით, მე რა
დამღლის,
ქვასაბძელო, ჭინალავ და სალოდინო,
თქვენს მინდვრებში გავითენებ,
დავიღამებ,
სიყვარულის და სიმღერის სალოდინოდ...
დიდველში რომ ჩემი თეთრი ვერხვებია,
მეძახიან ბავშვობიდან სიბერემდე;
ყვავილები ჩემს სულს ისე ეხებიან,
კეკლუცობენ და ყელს მორცხვად
იღერებენ.
ეს ქვეყანა მე ხომ თქვენი ყოფით მიყვარს,
თქვენით ვხარობ, თვალებს თქვენი სხივით
ვახელ,
მე თქვენს პატრონს ამქვეყნიდან რა
წამიყვანს,
თქვენთან ვრჩები, სიკვდილი ხელს ვერც
კი მახლებს!

ერთხელ უჩემოდ...

ალბათ სოფელში დიდი თოვლია
და ზეცას კვამლი აკლია ბუხრის;
აფსუს, ავსებულ ჩემს დედულ-მამულს,
მაშინდელივით რომ აღარ ულხინს...

თოვლი თეთრია, სუფთა და წმინდა,
აქ თოვლში მე ხომ ბავშვობა დამრჩა;
სახლი ბევრია, მაგრამ რად გინდა,
კარის გამღები არავინ არ ჩანს...

ეს დღეც გაივლის, არ დაბრუნდება,
შენი თვალების მზერით გამთბარი;
ერთხელ უჩემოდ გაზაფხულდება,
ერთხელ უჩემოდ მოვა ზამთარი...

ყველას გაფიცებთ

საუკუნეებს გასწვდება მზერა,
რაღა არ ვნახე, ვინღა არ ვნახე
და გადავხარშე გონებით მე, რაც
გასამხელია და კიდეც ვამხელ:

ორთა ჭიდილი არა თავდება,
სიბნელეს მუდამ ებრძვის სინათლე;
დაჩაგრულს ვინმე უდგას თავდებად,
სიცრუეს მუდამ ჯობნის სიმართლე.

ხშირად ცხოვრება ბევრ რამეს მალავს,
ჭეშმარიტება თუ არ იგრძენი;
სიყვარულის და სიკეთის ძალას,
დღემდე მივყავართ ადამის ძენი.

არ მინდა იყოს ისეთი ვინმე,
გაჭირვებაში გვერდს რომ აგიქცევს
და სამეგობროდ არ ვარგა კაცი,
წამლის დასალევ წყალს რომ დაგიქცევს!

სიკეთე ჰქენით, მხოლოდ სიკეთე,
მხოლოდ სიკეთე, ყველას გაფიცებთ!

მოგებული გაქვს შენი კრწანისი

ქროდა და ახლაც იქროლებს ქარი,
ჩვეულებრივად თენდებ-ღამდება;
დროს მიაქვს, გზაზე თუ რამე არის,
ის რაც იწყება, კიდეც თავდება.

უამრავია ამოსახსნელი
კითხვა, რომელიც ახსნას მოელის,

სად არის სიტყვა, თვალის ამხელი
და დამალული აზრის მპოვნელი?!

გზა გაგივლია მოკლე თუ გრძელი,
საზღვარი არ აქვს ნდომას და სურვილს;
თითქოს თვალწინ გაქვს ახალიც, ძველიც,
მაინც ვერ იკლავ შეცნობის წყურვილს...

სანამ ხარ, დროს და ამინდს ეომე,
სანამ დადგება ერთხელ დაისი,
თუ მომავალი გაგიმეორებს,
მოგებული გაქვს შენი კრწანისი!

ხალდე

1876 წელს თავისუფლებისთვის აჯანყებული სვანური სოფელი ხალდე, მეფის რუსეთის არმიამ მიწასთან გაასწორა.

შენმა გმირობამ
იმპერიაც კი გადარია,
თერთმეტი კოშკის
და ორმოცი კაცის სასჯელად
შემოგისია აღჭურვილი
მთელი არმია
და წაგაქცია უსინდისოდ
მტერმა ამჯერად...

წარსულან წლები, ფენიქსივით
აღმდგარა ისევ,
იმ ნანგრევებზე ხალდეების
კოშკიც და სახლიც
მადლობა უფალს, ჩვენო ჯიშო,
რომ ისევ ვისმენთ
ფოლადგარეულ ამაყ სვანთა
ხმასა და ძახილს!

და შენ მოგიძღვნი

საწუთრო მუდამ წასვლა-მოსვლის
სარბიელია,
ვცხოვრობთ ამქვეყნად, ზოგსა ვკარგავთ
და ზოგსა ვპოვებთ,
ზოგმაც მოჭამა ეს ცხოვრება,
ზოგნიც ელიან,
მეც მივდივარ და სამახსოვროდ
ამ სტრიქონს ვტოვებ:
მთელი ცხოვრება ლექსის წერას
ვებრძვი და ვჩემობ,
უფლის ნაბოძვარ უტყუარი
ფიქრით და ნიჭით
და შენ მოგიძღვნი რაჭის მთიდან,
მამულო ჩემო,
მე ფარახეთის უდაბურში
გაზრდილი ბიჭი.

ვჩქარობ მოვასწრო

შეჩვეული ვარ ცდასა და ლოდინს,
ეს იქნებ ნაკლიც კი იყოს კაცის;
მაგრამ სულსწრაფიც ხომ არის ზოგი
და ხშირად მოწმეც ვყოფილვართ
მარცხის.
ვემშვიდობები ცდასა და ლოდინს
და მათქმევინეთ, დრო დამრჩა სანამ,
ჩემს შესახვედრად ვიცი, ვინც მოდის,
გამინადგურებს მოუმკელ ყანას.

ისედაც ბევრი წაიღო მინდად
საწუთრომ, ჩემი მძიმე წლებიდან,
დამიმორჩილოს სულაც არ მინდა,
მაგრამ სამზეო მაინც შებინდდა.

ყველას წისქვილი თავისას დაფქვავს
და დრო, როგორც სხვას, აღარც მე
მყოფნის.
ვჩქარობ მოვასწრო, რაც მინდა რომ
თქვან:
ღირსი იყოო ამქვეყნად ყოფნის.

გიორგი სოსიაშვილი

წისქვილი

ნაკვერჩხალივით მოჩანდა ღრუბლის ნაგლეჯში ჩამავალი მზე. ფოთოლგაცვენილ კაკლებში უცნაურად გაბლანდულიყვნენ სისხლისფერი სხივები. ტალღებჩამცხრალი ლიახვის ხმა და ხაჩირაანთ ჯიმშერას საუკუნოვანი წისქვილის ბორგვა რაღაცნაირად ავსებდა ერთმანეთს, უფრო სწორად, შორიდან რო წაგეგდო ყური, მიხვდებოდი, რო რაღაც იდუმალი მელოდია იქმნებოდა. განსაკუთრებით მძაფრდებოდა ეს ხმა ღამით, როცა იგრძნობდი, რო, ლიახვისა და ამ წისქვილის გარდა, არაფერი არსებობდა ცისქვეშეთში.

ფქვილში ამოგანგლული ჯიმშერა წისქვილში, თაგვის კუდის მოქნევა ოთახში, ბურტყუნით შევიდა, არაყი გადაჰკრა, ლუკმა მიაყოლა და ისევ ბურტყუნით გამოვიდა.

– უნდა დავკეტო, უნდა დავკეტო. აი დღესა, აი ხვალა, ვერა რა, ჯადო გამიკეთა ვინმემ, თფუი, ამის პატრონი დედა ვატირე. დაყრიან ეგრე და არჩიე ახლა, ვისი რომელია.

სამოცდაათს გადაცილებული იყო, მაგრამ მუხლი ერჩოდა, მარდად ავიდა კიბეზე და ხვიმირას ჩაჰხედა. მერე ჩამოხტა, ვედროში ჩამოყარა ხორბალი და ხვიმირაში ჩაუშვა, ხან სარეკელას აკვირდებოდა, ხან ვეება დოლაბს, რომელმაც ერთი+ორჯერ უცნაური ხმა გამოსცა და ჯიმშერას გული გადაუქანდა.

– თუ კიდე რკინა ერია რამე, დავხოცავ ამათი, დავხოცავ.

წისქვილის ღია კარში ვიღაც ჩადგა და ჩამავალი მზის შუქი უცბათ გაქრა, ჩამობნელდა.

– გაიწი ისე, შუქი მიყა, კაცო.

ახლად მოსული წისქვილში შემოვიდა და ობობების საუფლოდ და ვირთხების საბრძანებლად ქცეული წისქვილი განათდა.

ჯიმშერა ისევ დოლაბს დაშტერებოდა.

– რა იყო, – იკითხა მოსულმა და ჯიმშერამ ისეთი თვალებით ახედა, თითქო ვისზეც იყო გულმოსული, სწორედ ის გამოეცხადა.

– რა იყო და გამიოხრეს ყველაფერი. დაფქვა უნდათ, ხორბლის გარჩევა არა, ლურსმნები, ლურსმნები, რკინის შაიბები და რავი კიდე... სამჯერ გამოვცვალე. გეგონება მუქთად არი ყველაფერი. კაცი რო სიტყვას იტყვის და ვერ აასრულებს, იმ კაცისა რა ვთქვი მე, ახია ჩემზე!

– რა სიტყვა თქვი, – ჰკითხა ახალმოსულმა.

– კარგი რა, ლეო... შორიდან ადვილია ლაპარაკი.

– რა ლაპარაკი, კაცო, გამაგებინე. ან რაზე ხარ გაბრაზებული, ან რა სიტყვა ვერ შეასრულე.

– რო ვერ დავკეტე ეს პატრონძაღლი... ან იმას... იმ ცხონებულ პაპაჩემს და მერე მამაჩემს რა ჯანდაბად უნდოდათ...

– მთელი ცხოვრება ამის დაგადუგს რო უსმენ, – ფქვილის ტომარაზე ჩამოჯდა ჯიმშერა, წელი დაასვენა, აბლაბუდით მოქარგულ ქვითკირის კედელს მიეყრდნო და ლეოს უთხრა:

– აანთე ერთი შუქი, იქაც მეყოფა სიბნელე... – ცოტა ხანი ეგრე მდუმარე იყო, მერე ისევ ლეოს მიმართა, – შენი ოთხი მეშოკი იყო... – თან თვალდახუჭულმა თითქოს გონებაში გადაითვალა.

– ოთხი იყო.

– აი, ყარამანას ცოლისა მორჩება და მერე შენსას დავაყრი. შენც არ დამინყო ახლა საყვედურები, თორე მართლა დავანგრევ ამ უპატრონოს.

– რა დღეში ხარ, კაცო, – გაწყრა ლეო, – როდის რა ვთქვი.

– მოიტა პაპიროსი, ისიც აღარ ჩამოვიდა, – თავის ცოლზე გაწყრა, – პაპიროსი გამითავდა.

– აჰა, მერე, – ლეომ უფილტრო პაპიროსის კოლოფი ამოიღო.

ჯიმშერამ მოუკიდა და თითქო პირველმა ნაფაზმა ეგრევე სხვა ხასიათზე გადაიყვანა.

– არაყი გინდა?

– ნწ, – თავი გააქნია ლეომ და დოლაბს, რომელიც ყარამანას ცოლის საფქვავს ვეება ამბარში ყრიდა, უცნაურად მიაშტერდა.

– ყარამანას ცოლისაა? – ისე იკითხა, რო ჯიმშერასთვის არ შეუხედავს.

– ჰო, რა იყო.

– არაფერი, – ფიქრებიდან გამოერკვა ლეო.

– მრცხვენიაღა, ქვრივი ქალია, ამათ ხო ვერაფერს შეაგნებინებ, ამ... არც ქვრივი იციან და არც ობოლი.

– ქვრივ-ობოლი მარტო ღმერთმა იცის, – ჩაიბუტბუტა უაზროდ ლეომ და თვითონაც მოუკიდა უფილტრო პაპიროსს.

– კაცმაც იცის ქვრივ-ობოლი, თუ ღვთისაა ის კაცი.

ლეოს აღარაფერი უთქვამს.

– ეს ხვიმირა ჩამოიცლება და მერე შენი დავაყაროთ.

ლეო ისევ ეწეოდა და დოლაბს მისჩერებოდა, რომელიც თითქოს ბრაგაბრუგით კი არ უვლიდა გარშემო, არამედ ქალის ხმით ესაუბრებოდა. სად დოლაბის ხმა და სად ქალისა, მაგრამ ყარამანას ქვრივის ხსენებამ სულ აურია გონება.

– ე, კაციც როგორ ჩაიყლაპა. დარჩა ეგრე უბედურად ეგ ქალი, – თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა ჯიმშერა, – ხო გახსოვს ყარამანი, კაი კაცი იყო, უწყინარი, ყარამანას ძმა ბაბუაჩემს ჰყავდა მონათლული, – წისქვილის იდუმალ ხმას ერთვოდა ჯიმშერას ბუტბუტი, – როგორ ჩაიყლაპა, როგორ დაიკარგა, ზუსტად ეგრეა ნათქვამი, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ. რაღაც მსხვილი წამოიღო, არაა, – თვალები ჭყიტა ჯიმშერამ, ვეება ქანჩი აიღო, დოლაბის გვერდით ამოშვერილ ვერცხლისფრად გაპრიალებულ, მუშტისხელა ჭანჭიკს გადაუჭირა, – აბა ნახე, კარგია, მგონი, ხელის გულზე დახედა ფქვილს.

ლეო არც უსმენდა, მაგრამ თავი დაუქნია და უაზროდ ჰკითხა:

– რამდენი მეშოკია ყარამანას ცოლისა.

– სამი იყო... ე, რა ქალი ჩამოჭკნა, რა ქალი, – თან მიაყოლა ჯიმშერამ.

ლეოს თითქოს გულზე ხელი მოუჭირეს, უსაშინლესი ტკივილი იგრძნო.

– მგონი, – ჩაეცინა ჯიმშერას, – ეს ჩათლახი ეფრემას ბიჭი დაძვრება.

იტყოდი, რო ცეცხლი წაეკიდა და ერთიანად აბურბურდა. ლეო დოლაბის გვერდით კიბეზე უაზროდ ახტა და ხვიმირას ჩახედა.

– ჯერ ახლა დავაყარე... – მიაძახა ჯიმშერამ, შევიდა თავის საკუჭნაოში, ქონიან ტაფაში ამოაწო პური და ღმურძლა+ღმურძლით გამოვიდა, – ოცი წელი გავიდოდა?

– რა ოცი წელი, – ლეოს ისევ ცეცხლი ეკიდა, თითქოს ვერც გრძნობდა, სად იყო, თითქო ჯოჯოხეთში ჩაეშვა და რაღაც ქვესკნელის საშინელი ხმები ჩაესმოდა, თვითონაც წისქვილივით შეტორტმანდა, – მოიტა არაყი.

– იი, კაი ერთი, – ქონიანი თითები გაილოკა ჯიმშერამ, – პეწენიკა ლოთი ხარ, – თქვა და ისევ შებრუნდა, ჩამოასხა და ლეოს გამოსძახა, – მოდი, ლუკმაც შეაყოლე. მწვადზე ბოდიში, მაგრამ რაც არი...

ლეო შევიდა, არყით სავსე ჭიქა გამოსტაცა და გადაჰკრა.

ჯიბრი იყო, თუ ასე უნდა მომხდარიყო, უფრო მეორესა ფიქრობდა ლეო, დარიგებულივით, სულ ყარამანაზე და იმის ცოლზე ლაპარაკობდა ჯიმშერა.

კარმა გაიჭრიალა. მაიმაანთ ვანუა გამოჩნდა, მთვრალი, მთვრალი, ძლივს იდგა ფეხზე, ბიჭიც თანა ჰყავდა. ჯიმშერამ კუთხეში მიწყობილი ფქვილით სავსე მეშოკები აჰკიდა ვანუას ბიჭს.

– ერთისა ფულიო და ერთისა მინდიო, დედაჩემმა, – მორცხვად უთხრა ვანუას ბიჭმა და ჯიმშერას ფული მისცა.

– მინდი არ მინდა, კაი ბიჭი ხარ შენა, მაგრამ ესაა, მთვრალ ვანუას შებღვირა, – კვინიხში მოგხვდება შენა, სწორე მოიქეცი.

გაისტუმრა ვანუა და იმისი ბიჭი. ვანუა რაღაცეებს ლუღლუღებდა, ჯიმშერას ლოცავდა, ჯიმშერას მონაგარს აქებდა და ადიდებდა.

– აექ არი ამოსული უკვე, – ყელზე გაისვა კოტიტა თითი ჯიმშერამ, – ჩნდები კაცი და მეწისქვილეთა კაცო? – მერე მიუახლოვდა ლეოს და... ისევ ყარამანზე გააგრძელა ლაპარაკი.

ლეო ფიქრობდა, რო მის ცხოვრებაში რაღაც განსაკუთრებული წუთები იდგა, რომელიც აუცილებლად უნდა დამდგარიყო და სად გაქცეოდა საკუთარ თავს, ვეღარ გაეგო. დოლაბი კი ქალის ხმით ესაუბრებოდა, იმ ქალის ხმით, ვისი აჩრდილიც უახლოვდებოდა. ცოტა ხანში გამოჩნდებოდა ქალი, რომელიც მისი სიცოცხლეც იყო და სიკვდილიც, დასაწყისიც და დასასრულიც, უკვე ასაკში მყოფი, უკვე სიბერისგან დაკბენილი, უკვე შემჭკნარი, მაგრამ მისთვის ხელუხლებელი, მისთვის ისეთივე, მისთვის თავდაპირველი... დასაწყისი და დასასრული და გრძნობდა, რო მისი ცხოვრების ბოლო წუთებსა ფქვავდა ყარამანას ცოლის საფქვავის ნაცვლად წისქვილი.

მძიმედ მოტრიალე ბორბლის ბოლო წუთებს სხვანაირი ხმა აქვს სიცოცხლის, წისქვილის ტორტმანი იმ ხმასავით არის, დოლაბი თითქო მის გულზე ტრიალებდა და ფქვილის ნაცვლად სისხლი იწურებოდა კიდეებგადაცვეთილ ამბარში.

მოვიდოდა ეს დრო, მოვიდოდა ეს წუთები, სად ვის შეგახვედრებს, სად რას გადაგყრის ეს მხოლოდ უფალმა უწყის. მე ვიცოდი... ვიცოდი... ცხადშიც და სიზმარშიც ვხედავდი ამ ამბავს.

– მე შენ... მე შენ ვერც კი აგიხსნი, ვერ აგიხსნი, ვერ აგიხსნი... – დაიყვირა ლეომ და შეკრთა ფქვილის ტომარაზე ჩამომჯდარი ჯიმშერა.

– რა იყო, – წამოხტა, იმას ეგონა, რო წისქვილს რამე სჭირდა.

– არაფერი, არაფერი, – ისე შესცქეროდა ფქვილში ამოგანგლულ მეწისქვილეს ლეო, თითქო მძიმე ცოდვის მოსაყოლად ტაძარში უცნობ მოძღვართან იდგა და მოყოლას იწყებდა, – ყარამანი...

– რა ყარამანი, – ჯიმშერამ ფქვილი დაიყარა ხელის გულზე.

– არაფერი, არაფერი, – ლეო დაიბნა, უფრო სწორად ისე წაბარბაცდა, ლამის ამბარში ჩავარდა.

– აბა ყარამანიო...

– შენ რო ამბობდი... – ძლივს ამოილუღლუღა ლეომ.

– ჰოო, – თქვა ჯიმშერამ და ლეოს უცნაურ ქცევაზე სახე შეეცვალა, – გაუჩინარდა-მეთქი. ეგრე გაქრობა კაცისა, ვითომ ცოლი ღალატობდა და გადაიკარგაო. მე, სიმართლე გითხრა არა მჯერა. მზეთუნახავი გოგო კი იყო, – ჩაეღიმა ჯიმშერას და ლეომ ისეთი ხმაური გაიგო ყურებში საკუთარი სისხლისა, სარეკელას და დოლაბის ხმა გადაფარა, – ხო გახსოვს, რა გოგო იყო. ყარამანას რანაირად გამოჰყვა, კაცო, მაგრამ ფულიანი იყო ის უბედური და ფულმა იცის ყველაზე დიდი სიბრმავე, იმ ფულით დაკარგულ თვალისჩინს ვერც ერთი ექიმბაში ვერა შველის, ეგრეა. გავიდა სახლიდან და ფაფუუ... მერე თქვეს, რუსეთში ცოლ-შვილი ჰყავდაო და იქ წავიდაო. მერე თქვეს, ვიღაც ებრაელებს ფული მოუტეხა და მოაკვლევინესო. მერე თქვეს, ცოლთან ვიღაცას მიუსწრო და ცოლმა მოაკვლევინაო... ადამიანის ენა ჩემს წისქვილზე ნაკლები როდია, – ჩაეღიმა ჯიმშერას, – ე, კაცი გაქრა, – უცბათ გაჩუმდა... და მერე მიაყოლა, – ჩემი ბიჭი ორი წლისა იყო, ოცდახუთი წელი გავიდა.

– ოცდახუთი წელი... – თუთიყუშივით გაიმეორა ლეომ.

– მე მაინც მეჯერა, რო... – ეშმაკურად მოჭუტა თვალები ჯიმშერამ, – ვიღაცამ ფულის გამო გაასაღა და მიმარხა.

– ეგრე იქნება... – თითქო სხვისი ხმით თქვა ლეომ და მის გასაგონად „ჩაილაპარაკა“, – განკითხვის დღე ცაში დადგება თუ წისქვილში, ეს მხოლოდ უფალმა იცის და მერე ეს სიტყვები დაუსრულებლად ჩაესმოდა „განკითხვის დღე, განკითხვის დღ“, ტრიალებდა მის სულში დოლაბი და იფქვებოდა ცოდვები, ხვიმირა კი ისევ სავსე იყო.

– მიხედავ? სულ ცოტა ხნით გავალ... – უცბათ გამოერკვა ჯიმშერას ნათქვამზე.

– სად წახვალ? – გაოცებულმა ჰკითხა და მიხვდა, რო არც ჯიმშერა მეწისქვილის წასვლის სურვილი იყო შემთხვევითი.

– სახლში ავალ და ჩამოვალ. ჯერ მაინც ყარამანის ცოლისა აყრია.

სახლში რატომ მიდიოდა, არ უთქვამს მეწისქვილეს, მისი სახლი არც ისე შორს იყო და ცოლი აკითხავდა, საჭმელ+სასმელი ჩამოჰქონდა ხოლმე, მაგრამ ახლა თითქოს ყველაფერი უკუღმა იყო.

– წადი, მივხედავ, მივხედავ. მერე ჩემსას დავაყრი, – დაბნეული ლუღლუღებდა.

– ჯერ ადრეა, ორი საათი მაინც დასჭირდება.

– ორი საათი დამრჩა, ორი საათი დამრჩა, – თავისთვის ჩაილაპარაკა...

ჯიმშერას წასვლიდან ცოტა ხანში, ფეხის ხმა გაიგო, სმენად გადაიქცა, თითქოს თვალთ დაუბნელდა, კარი ჭრიალით გაიღო და... ეგონა, რო მთვარე შემოვიდა ნახევრად ბნელ, ობობების და ვირთაგვების სამეფოდ ქცეულ წისქვილში. ის იყო — ყარამანის ცოლი, რომელსაც შემოსვლისთანავე ლეო შერჩა ხელში და ისე შეკრთა, მუხლებმოკვეთილი ლამის ფქვილით სავსე ტომრებზე გადავარდა.

ლეოს ცეცხლი ეკიდა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რო მთელს წისქვილს, ჯიმშერას მამა-პაპური ავლადიდებას, ბურბური ასდიოდა. ცოდვის გამხელა, თუ ნატვრის ახდენა, ვიღაცამ ჩასძახა.

დაბნეულ ქალს თითქო ყველა გასაქცევი ჩაკეტილი ჰქონდა, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

– ჯიმ...

ლეომ არ დაასრულებინა.

– შენი საფქვავი აყრია, – თქვა და მისკენ გადადგა ნაბიჯები, მაგრამ ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რო ლეო კი არა, ვიღაც სხვა ადამიანი იყო.

ყარამანის ცოლი მიხვდა, რო წისქვილში მხოლოდ ის და ლეო იყვნენ და შეეძლო, უკან გაბრუნებულიყო, რადგან მის იქ ყოფნაში მეწისქვილის ხმა არ გაუგია, თუმცა თითქო რაღაც ძალამ ხელ-ფეხი შეუბორკა. გაშეშებული იდგა და ნაბიჯი ვერ გადაედგა. ეს რამდენიმე წამი ლეოსთვის ის იყო, რაც შეიძლება, ღვთის კარზეც ვერ იგრძნოს ადამიანმა. იდგა იმ ადამიანთან, ვისზეც მთელი ცხოვრება ლოცულობდა, თავდავიწყებით უყვარდა და ამის შესახებ მხოლოდ სამმა იცოდა, თვითონ, ყარამანის ცოლმა და ღმერთმა. ხელი ცახცახით შეახო და მიხვდა, რო ეს წამი მისთვის ყველაზე დიდი წყალობაც იყო და, ამავდროულად, განკითხვის დღის დასაწყისიც.

– ხელი არ მახლო! – წაილუღლუღა ქალმა, ღვინობისთვის სავსე მთვარის იდუმალი და მომნუსხველი ნათლით რო აევსო წისქვილი, თუმცა, ლეოს ხელებიდან თავის დასახსნელად მხოლოდ ოდნავი გაბრძოლება სცადა. ეს წისქვილი თითქო მათ ტაძრად ქცეულიყო. ლეო თვითონაც ვეღარ იგებდა, რას აკეთებდა, ან რას ლუღლუღებდა.

– ცხოვრება, სიყვარული, სიკვდილი, მთელი წუთისოფელი და ეს წუთი... მიყვარხარ, ვიცი, რო შენც გიყვარვარ. მითხარი, გამოტყდი, ეს წისქვილი არავის არაფერს ეტყვის, აქ მხოლოდ ჩვენი ცოდვები იფქვება. მითხარი, რო გიყვარვარ. საკინძე გაუხსნა, ფქვილით სავსე ტომრებზე მკლავებქვეშ მოიმწყვდია მთვარე და გააშიშვლა. თითქო ისევ ხელუხლებელი იყო, იტყოდი, რო ჯერ კაცის ხელი არ შეხებოდა, ჯერ კაცის სუნთქვა არ ეგრძნო. სავსე ძუძუებზე კოცნიდა, მის წამოყელყელავებულ კერტებს დაეწაფა. ქალი თითქო წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ არც უწევდა და აღარც სიშიშვლის შეგრძნება ჰქონდა. სიჩუმეში ისმოდა მხოლოდ ლეოს ხშირი სუნთქვა, ქალის კვნესა და სარეკელათი ვნებააშლილი დოლაბის ხმა, რომელიც ფქვილადქცეული ცოდვებით ავსებდა ძველისძველ ამბარს.

შიშველი, თვალებმინაბული ქალი მძინარესავით იწვა ფქვილის ტომრებზე და არაფერზე ფიქრობდა. ლეო აბლაბუდიან კედელზე იყო მიყუდებული, ჯერ კიდევ ვერ ჩაეცხრო ბოლომდე მთელი ცხოვრების ნაყამირალი ვნებები. და ეგონა, რო სხვა, სრულიად სხვა ლაპარაკობდა მისი ენით და ოცდახუთი წლის წინათ ჩადენილ ცოდვას უმხელდა ყარამანის მზეთუნახავ ცოლს.

„მე მოვკალი შენი ქმარი... მე ვერ ავიტანე სხვის მკლავებში შენი ყოფნა, არ შემეძლო სხვანაირად. მოვკალი და მდინარის პირას დავმარხე... მისი გაუჩინარების ჭორებიც მე გავავრცელე... და დღეს ჩემი განკითხვის და ცხონების წამი ერთად დადგა და წავალ ციხეში, თუ გინდა... “

მხატვარი **იაგო ნიკოლაძე**

29 ღვინობისთვისა,
2023 წელი,
დიცი

ზურაბ არსენიშვილი

პაპაშვილიშვილობა

ეპიზოდი პირველი

ნაშუადღევს ბიძაშვილმა დამირეკა, მძახლები ჩამომივიდნენ თბილისიდან, შვილიშვილიც ჩამომიყვანეს და გადმოდიო. მეც თავპატიჟს რად დავიდებდი, მით უმეტეს, ვიცოდი, წინ ბაქმაზივით ღვინო მელოდა. ბიძაშვილი, ვაჭრობის ყოფილი მუშაკი, ერთ დროს თელავიდან კლაიპედამდე აბამდა აღებ-მიცემის ქსელებს და სსრკ-ის დაშლის შემდეგ ათმწკრივიანი ვენახის მოვლა-პატრონობა რად გაუჭირდებოდა!

უცნაური თვისება სდევს „ძველ გალავანს“. განა იქ ხალხი არ მიდი-მოდის, ანდა მანქანები არ დაგორავენ, მაგრამ ყოველივეს მაინც წარსულის ბეჭედი აზის, თითქოს სადაც არის, დაბახნების აღმართი განჯაზე მორიგი ლაშქრობიდან მომავალმა ერეკლემ უნდა ამოათავოსო. შესაძლოა ეს შთაბეჭდილება აგურით ნაგები ძველი აივნიანი სახლების გავლენაა ან ყადორის გორაზე წამომართულ კვირიკეს ციხე-გალავნისა, მაგრამ აქ მყოფი კაცი დროსა და სივრცეში რომ იკარგება, უეჭველია.

ეს სიცარიელე-სიმარტოვე, ცოტა არ იყოს, ბურძგლის კიდეც კაცს და მეც ნაბიჯს ავუჩქარე. ჯილდოდ ქუჩის თავში ახალგაზრდა ქალი დავლანდე, ბავშვის ეტლით. ტანში სითბომ დამიარა. ჩავიფიქრე, აი, რა აკლია თურმე აქაურ, ტურისტთა მოსაზიდად შემონახულ ერთ–ორსართულიან უბანს-მეთქი და გრძნობამოჭარბებულმა ბავშს მონდომებით გავუღიმე. მან კი, ცაცუკების გამოწოდებით, ღუღუნა ხმით გამომძახა, ბაბუ, ბაბუო. ჩემი დაბურძგვლა მაშინ უნდა გენახათ! რა დასამალია და კახელს „ბაბუს“ ნუ დაუძახებ და ღვინოს ნუ დაუწუნებ, დანარჩენი რა უნდა იყოს ისეთი, რომ არ გაპატიოს!

ბედად იქვე მაღაზია (უკაცრავად, მარკეტი!) მიკრავდა მწვანე თვალს და შიგ სწრაფად შევედი, უფრო კი შევვარდი. კარგა ხანს ვარჩიე ნუგბარი. ხუმრობა ხომ არ იყო, პირველად უნდა შევხვედროდი ახალ მძახლებს და მათ მონაგარს! გარეთ რომ გამოვედი, ფეხს ავუჩქარე. ნაცნობი ეზოს კარი ღონივრად შევაღე და კინაღამ უკვე ერთხელ ნანახ ახალგაზრდა ქალბატონს შევეჯახე. იქვე მდგომმა ბიძაშვილმა, ჩურჩულით ჯერ რძალი გამაცნო და მერე სიამაყით მძინარე ბავშვზე მიმანიშნა - ეს კი ჩვენი გვარის გამგრძელებელიაო.

შალამ-ქალამის შემდეგ მალევე მივუსხედით მარნის სიგრილეში გაშლილ სუფრას. ღვინო, როგორც ყოველთვის, სამაგალითო გამოდგა - მზეჩამდგარი და მათრობელა.

როცა ნამძინარევი ბიჭი სადღეგრძელებლად შემოიყვანეს, თითო ლიტრს აღარაფერი გვაკლდა. ცოტა ხნის წინ ქუჩაში გამოჩენილი სულმოკლეობით შეწუხებულმა, უკვე მე გავიწოდე მისკენ ხელები, მოდი, გენაცვალე, ბაბუსთან-მეთქი. ბავშვი შეყოვნდა და ცრემლმორეულმა წამოიძახა, არა, მე პაპასთან მინდაო და ბიძაშვილს ყელზე შემოეხვია. „პაპა“ ჩემკენ გადმოიხარა და ჩამჩურჩულა – შენმა ძალომ ბოღლინო აჭამა კაცს და საჩვენოში გადმოაბრძანაო.

ეპიზოდი მეორე

როდესაც ჩემს ძმას შვილთაშვილი ეყოლა, დიდად გავიხარეთ. აკი ნათქვამია, შვილიშვილი შაქარია, შვილთაშვილი თაფლიო.

როგორც კი ბიჭი ფეხზე დადგა, თელავში ჩამოიყვანეს, რათა კახეთის სურნელი და მადლი შეეგრძნო. ნიკო მალე შეეთვისა ნადიკვრის კარუსელსა და მამალოს, ალაზნის ველსა და კავკასიონს. ერთი უხერხულობა მაინც მოჰყვა ბავშვის კახეთში ყოფნას. დასავლეთელი მძახლები მისგან ჩემთვის „ბაბუს“ დაძახებას ითხოვდნენ, დამხვდურნი კი „პაპისას“. ნიკო როგორც კი სადერმაკაციო ხაზს გამოსცდებოდა (ორ ეზოს შუა, მუდამ ღია კარჩაბმულ მავთულბადეს), „პაპას“ ძახილით ჩემკენ, უფრო კი კომპიუტერისკენ გამორბოდა.

ბავშვს კლასიკური მუსიკის სიყვარული აღმოაჩნდა, განსაკუთრებით კი საოპერო ჟანრისა. როგორც კი ეკრანზე ლუჩიანო პავაროტის, პლასიდო დომინგოსა და ხოსე კარერასის ცნობილ კონცერტშეჯიბრს დავაყენებდით და ჩავრთავდით, ჩვენთვის აღარაფერი არსებობდა. ასე გასინჯეთ, თავად ლიხის ქედი, აქეთ-იქით თავის პაპა-ბაბუათი. არ ვიცი, ნიკოს მუსიკალურ თვალსაწიერს დავაბრალო თუ მის ირგვლივ არსებულ ვითარების გამოსწორების სურვილს, ერთხელაც ჩემკენ გამოქცეულმა, შორიდანვე გამომძახა, პავაროტი, პავაროტი, პაპუაო. ამ შეძახილმა ყველას იარაღი აჰყარა და „სამოქალაქო ომიც“ დამთავრდა.

ეპიზოდი მესამე

თელავში, განსაკუთრებით შემოდგომობით, ღონისძიებათა სიმრავლეა. ერთერთზე, თბილისელ ხელოვან ქალთა მიერ ორგანიზებულზე, მე და ჩემი ოჯახიც მიგვიწვიეს. ან სხვაგვარად როგორ იქნებოდა, როცა აქტივობას „ელენე, ზაირა და...“ ერქვა. უფრო გასაგები რომ იყოს, შეხვედრა ელენე ახვლედიანისა და ზაირა არსენიშვილის ცხოვრება-შემოქმედებას ეძღვნებოდა და „...ვინ მოდის მანდ მომავლიდან“ თემასაც ეხმაურებოდა.

დრო და ადგილი, შემოდგომის ქარვისფერი შუქით განათებული ბატონის ციხე და მისი შემოგარენი, ნამდვილად ხელს უწყობდა ამაღლებულ განწყობას.

მუზეუმელთა მტკიცებით, სწორედ ამ შემაღლებიდან (რომლის ფიცრებიც, თავისთავად ცხადია, ჟამიდან ჟამამდე იცვლებოდა და იცვლება) პატარა კახს კავკასიონის ჭოგრიტით თვალიერება უყვარდა. უფრო კი ყადორის გადმოსასვლელის მოჩხრეკა, რათა, ვთქვათ, ხოხვით მოპარულ ღლიღვებს შილდა-ენისელი არ დაეწიოკებინათ...

ღონისძიების სულისჩამდგმელი ქალბატონები, ერთად იყვნენ შეჯგუფებული და, როგორც ახლა იტყვიან, სიტუაციას აკონტროლებდნენ. ლენინის თქმისა არ იყოს, მაკონტროლებელსაც სჭირდება კონტროლი და თუმცა მე ეს არანაირად არ მევალებოდა, თავისდაუნებურად თვალი გადავავლე შეხვედრის ორგანიზატორებს...

ფიქრი წამით შემიფერხდა, რადგან მივხვდი, ჩემ მეუღლეს ჩამოსულებში ძველი ნაცნობი გამოენახა და სტუმარ–მასპინძელი ტკბილად (ალბათ!) საუბრობდა. მალე დედას ქალიშვილმაც მიბაძა და ღონისძიებას თბილისიდან ატორღიალებულ თანაკურსელ ბიჭს ხელკავი გამოსდო. ერთი სიტყვით, ოჯახიდან მხოლოდ მე დავრჩი ეულად. ხმამაღლა ამას რა მათქმევინებს და ზოგადად, იმედისმომცემ სიმარტოვეს არც არასდროს გავქცევივარ!

ისევ ერეკლეს რომ მივუბრუნდეთ, ბუნებით მოძრავ, მებრძოლ მხედარს ალბათ რარიგ ტანჯავდა საელჩო დარბაზში ტახტზე ჯდომა და უცხოელ თუ ადგილობრივ, ოქრო-ვერცხლს დახარბებული დიდებულების დროში გაწელილი საუბრები. იქაც დედოფალი დარეჯანი თავისი ეჭვებით. ზოგის თქმით, მისი მრავალშვილიანობა ანა აბაშიძის კვალის წაშლას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე ქართველთა გამრავლების კეთილშობილურ მიზანს. ისე, ზოგის თქმით, დედოფლის რუსეთისადმი სიძულვილი კი ერეკლეს თეთრი დედოფლისადმი ხშირ მიმოწერას ეფუძნებოდა.

ვხვდებოდი, წარსულში ექსკურსით კვლავ ვშორდებოდი დღის წესრიგს და დაჯდომა გადავწყვიტე. ხალხში გარევა დროებით მაინც დამავიწყებდა სამშობლოს მღელვარე წარსულს და არჩევნებით აბურდულ-დაბურდულ დღევანდელობას! მივიხედ-მოვიხედე მაგრამ თავისუფალი ადგილი ვეღარსად დავლანდე (აი, მეტისმეტი და უადგილო განსჯის შედეგი). თუმცა ისიც ნათელია, რომ „ჰომო საპიენსი“, რომლის რიგს მეტ-ნაკლებად ყველანი მივეკუთნებით, ნებისმიერი გარემოებიდან ხეირს ნახულობს. ვინ თქვა, რომ დგომა ჯდომას არ ჯობია! უფრო მეტიც, დგომა წამალია და მე მას „ანტიღიპინს“ ვუწოდებ... ნორჩი მხატვრები ელენე ახვლედიანის პოსტერებს აკოპირებდნენ, ლიტერატურის მოყვარულნი კი ზაირას წიგნებიდან ამონარიდებს კითხულობდნენ:

...უფალო, კვლავაც გევედრები.
მესაჭეობას ნუ მიანდობ ბრიყვს და
უმეცარს,
ვის ტვინშიაც ჩიტი ნისკარტს ვერ
დაისველებს...
შენ შეაფერხე ფუჭი სრბოლა მწყრების
სპასპეტთა,
თქარათქურით რომ მიაჭენებ
ცხოვრების შარას.

მხატვარი **იაგო ნიკოლაძე**

ხელისუფლება და ხალხი, ყველა დროის გადაუჭრელი დილემაა და სანამ თანამედროვე პოლიტიკის მორევში გადავეშვებოდი, კვლავ შუადღისა თუ საღამოს ეშხიან ორგანიზატორებს მოვავლე თვალი და გავიფიქრე, ღმერთი — რჯული, მე რომ პოეტი ვიყო (მხოლოდ ისტორიკოს–რომანტიკოსი ვარ), საზოგადოდ არცთუ საქებარ, ცხოვრების შემთხვევით გარემოებებით ტკბობის ნიჭს მივუძღნიდი ლექსს-მეთქი. ექსტრასენსობისა და ზოგადად მჩხიბაობისა არ მჯერა, მაგრამ ტანით ვიგრძენი, ერთ-ერთი ქალბატონი დაეთანხმა ამ მოსაზრებას და უფრო მეტიც, ჩემკენ გამოემართა. მეც მხრები შევათამაშე და კარასავით (ჩემი სეტერია, მივან გოგო-ბიჭთა სიმრავლის გამო. მაღალი ბალახი არც ვალს-ფოქსროტისთვის იძლეოდა გასაქანს და ისევ ადგილზე რწევა ვამჯობინე...

მერე და მერე ფიქრსა და წარმოსახვას მეტი ასპარეზი მიეცა, რომლის ლაიტმოტივი - წამო შეჩერდი, შენ მშვენიერი ხარ - იყო. თუმც ერთ ადგილს ვტკეპნიდით, მაგრამ გახურებული სხეულები სულ უფრო ზემოთ და ზემოთ მიგვეწეოდა. მალე ზეიმის ხმებიც გაუჩინარდა და ჩვენ მხოლოდ ერთმანეთის ძალუმი სუნთქვა გვესმოდა...

მალე, ზეაწეული განწყობილებით, მთა ცივს და ზედ აღმართულ სარეტრანსილაციო ანძასაც ვუწიეთ და გონებაც ერთბაშად გამეხსნა – რა თქმა უნდა, ჩემი მეწყვილე ცნობილი ტელეარხის ცნობილი წამყვანი იყო!

სიამაყემ ცოდვილი დედამიწისაკენ ჩახედვა მიკარნახა და რა გასაკვირია, რომ ამ დროს ცალი თვალით ცოლშვილიც მომეჩხრიკა! მეუღლე (რა უშეღავათო, აპეურ-ტაბიკებით გათანგული ერთობის აღმნიშვნელი სიტყვაა) ნაცნობ ქალბატონთან ერთად ეზოს წრეზე უვლიდა და მათ კვალში ქალიშვილი და ნაადრევად გამელოტებული(ეს გარემოება ზემოდან თვალნათლივ მოჩანდა) კურსელი მიყვებოდნენ. ერთი, რასაც მივხვდი, ბიჭის ქოჩრისა არ იყოს, მაყურებელიც შეთხელებულიყო და შესაბამისად ეჭვიანობის ოჯახური წრეც სულ უფრო ვიწროვდებოდა. მსწრაფლ მიწაზე დავეშვი. უხერხულობის დასაფარად გამოსავალიც მოვძებნე - საფრთხის მოახლოებისას, თვალების ეშმაკური მოწკურვით, მეწყვილეს ვაუწყებდი - ვაი ცოლი, ვაი შვილი-მეთქი და მკლავების წინ გამართვით ერთმანეთს ზორბად (ჩვენ შორის ხბო თუ არა, ბატკანი რომ გაეტეოდა) ვშორდებოდით.

თუ მკითხავთ, ეს მახვილგონივრული თამაში სტუმარსაც უნდა მოსწონებოდა, მაგრამ რამდენიმე „ვაი ცოლი, ვაი შვილის“ შემდეგ ქალბატონმა ღიმილით მკითხა, შემთხვევით თქვენი შვილიშვილებიც აქ სადმე ხომ არ არიანო. ბავშვების ხსენებაზე ჩვეული მღელვარება დამეუფლა და ფრიადოსანი მოსწავლესავით სხაპასხუპით ჩავარაკრაკე - არა! გოგო გერმანიაში სწავლობს, ბიჭები - ერთი იტალიაში, მეორე იაპონიაში-მეთქი. გილოცავთო, თავის მსუბუქი დაკვრით კვლავ გამიღიმა ქალბატონმა, შეტრიალდა და მოხდენილი ტანის რხევით ლამაზთა დასისაკენ გაემართა. უუცნაურია, ყველა დაკარგული ქალი ზურგიდან აღიბეჭდება ჩემს მეხსიერებაში.

ამასობაში ზეიმის დასრულების ნიშნად მომღერალმა ტკრციალით გამორთო მიკროფონი და მოშიებულ-მოწყურებული ხალხიც მსწრაფლ წავიდ-წამოვიდა. ჩვეული სიცარიელე კვლავ დაეპატრონა ბატონის ციხის კედელ-ქონგურებს და მეც აჩქარებული ნაბიჯით მაღალთაღიანი ჭიშკრისაკენ გავქუსლე, იქითკენ, სადაც ცოლ-შვილი მეგულებოდა.

გულისა ჩხაიძე

ფშავში

როგორ ველოდი შენს ჩამოვლას,
როგორც ხვარამზე...
რა ნაღვლიანი ჩავიდოდი
ხოლმე არაგვზე...
მაგრამ არა რით,
არა ნებით,
არა განგებით
შენ არ მოჰყავდი ჩემთან
არა გზებს.

დათვისჯვარზე

ვაი, დრონი, დრონი,
გაფრენილი დრონი,
თამამი და გულუბრყვილო,
ლაღნი, უკადრონი!
დათვისჯვარზე დიდი თოვლი,
ზამთრის მკაცრი დრონი...
შენ პატარა გოგონა ხარ,
მთანი–დიდ-დიდრონი...
მთას გადაღმა შატილი და
ამბავნ საგმირონი...
ოჰ, ნეტავი აქ გეპოვა
შენი სამკვიდრონი!
ოჰ, ნეტავი აქ გეპოვა
შენი სამკვიდრონი!..

აბა, ვის ვუთხრა?

აბა, ვის ვუთხრა, რომ შენზე
ვდარდობ,
რომ მესიზმრები ისევ და ისევ?
შიში შემიპყრობს, ხომ არა
გიჭირს?
ვდგები და სანთელს აგინთებ,
ბიჭო...
მე მხოლოდ ერთი ქოხი მინდოდა
და მთის ყვავილი ფერად-ფერადი
და შავგვრემანი ბიჭი მინდოდა,
მამის მსგავსი და შესაფერადი;
დედაშენისგან ქსოვა მესწავლა,
მე დამექსოვა შენთვის თათები,
გამელო შენი სტუმრისთვის კარი,
დამედგა ლუდით სავსე თასები;
ნანადირევის ხორცი შემეწვა,
პურები მეცხო შენს დიდ
ღუმელში,
რწევით მედღვიბა ნაზი კარაქი,
ერბო ჩამესხა დიდ ძველ
თუნგებში...
დაღლილს თვალებში შემომეხედა
და იქ მეპოვა ჩემი ნუგეში...
აბა, ვის ვუთხრა, რომ შენზე
ვდარდობ,
რომ მესიზმრები ისევ და ისევ?
შიში შემიპყრობს, ხომ არა
გიჭირს?
ვდგები და სანთელს აგინთებ,
ბიჭო...

ედელვაისი

მე შენ მოგიძღვენ ედელვაისი
და არა ბარის ვარდი მაისის...
მე შენ დაგიგე თბილი თოვლის
ფიფქა ნაბადი,
ცა, ვარსკვლავებით
ამოქარგული,
საბნად დაგხურე –
ძირს ჩამოვკიდე,
ღამე იყო სასწაული,
სავსემთვარული...
და სასთუმლადაც მთვარე
დაგიდე...
ჩამოგიჯექ და თეთრად გითიე...
უხმოდ გითხარი,
რაიც გულში ვერ დავიტიე.
შენ ვერ გაიგე...
მერე დამადგა თავზე აისი,
მე დაგიტოვე ედელვაისი
და კარი ფრთხილად გამოვიხურე.

მოდი

მოდი, ოღონდ მოდი...
მოდი, თუნდაც გვიან...
ღამაზ თოვას მოჰყევ,
თოვას, ფიფქლურჯიანს,
ფანტელების ცვენას,
ბარდნას, თბილსუსხიანს...
ბეღურების ჟივჟივს,
შეშფოთებულხმიანს...
მოდი ერთხელ მაინც,
იყოს თუნდაც გვიან...

ხვარამზეს

„თავს რად არ შამაიბრუნებ?“
ხვარამზე

შენ ელოდები დიდიხანია...
ის ჩამოივლის, ხვარამზე,
ხვალე...
არ მოიხედავს...
სევდა მონისლავს მომწვანო
თვალებს,
თაფლისფერ თმებზე დაწვება
ჯანღი,
წვიმა წამოვა,
გამოიდარებს...
და ნატერფალებს
მისი ცხენისას
შენ შემოავლებ
ღობეს ცრემლისას...
გზისკენ გეჭიროს თვალი,
ხვარამზე...
ის ჩამოივლის
დღეს... თუ
ხვალ ან ზეგ.

***

განა დიბა-ატლასს ვითხოვ
ან აბრეშუმს ხატაურსა?
ოდენ ტკბილად შემომხედე,
ვითამცა რა შინაურსა.

***

ალბათ, წვიმს ახლა საარაგვოზე,
ალბათ, მოდიდდა ახლა არაგვი...
შენ არ გეგონოს,მე რამეს
გთხოვდე,
ნუ შეშფოთდები...არა...არა გი...

უნდა გეძებო

უნდა გავექცე უსახურ ყოფას,
უნდა თავიდან აღმოგაჩინო,
უნდა დავადგე თოვლიან გზებს,
სპეტაკ სუდარზე
მთვარე ჩემ გვერდით
კვლავ დავაწვინო!
უნდა გამოვყვე გრძელ ბილიკებს
ლაღი მთებისას,
ჩემი სიზმარი გადავარჩინო,
უნდა გეძებო, უნდა გიპოვო,
უნდა ხელახლა აღმოგაჩინო!

სტუმარი

ფერწასული და მუდამ მდუმარი,
ისევ მეწვია ჩემი სტუმარი...
ხერხემალს ბზარავს
ჩამონაღვენთი
სულის წუხილის...
და ყველაფერი არის სულერთი,
და ყველაფერი არის ტყუილი...
ფერწასული და მუდამ მდუმარი,
თავდახრილი ზის ჩემი სტუმარი.

***

ვიცი, ცრემლები მომერევა,
ოდეს იმ მთათა,
ისევ ვიხილავ,
ცვარ-ნამიანთა,
და გულიც ისე მეტკინება,
ვითა წინათა.
ბედი ჰქონიათ
ამათ, იმათა...
მე კი...რა გითხრა?
ვუსმენ წვიმათა,
ვუჭვრეტ წვიმათა.
წუთისოფელი ჩაიბინდა,
ჩანაღვლიანდა.

იდილია

ფანტელთა მშვიდი ცვენა...
ღუმელი... მთის ზამთარი...
ქალი ფუსფუსებს ცეცხლთან...
გარეთ შეშას ჩეხს ქმარი...
ღამით გადიღებს თოვა
და მთვარე სახემტკნარი
ააციაგებს თეთრ თოვლს,
გაირინდება არე...

***

ვერ გნახავ, არხოტის მთაო,
ისე წამიღებს ქარები,
სიზმრადღა მომეჩვენება
ლურჯაის ნატოტარები...
მაინც... არცა ღირს ამოსვლა,
დამხვდება ნასახლარები,
ჩამოქცეული ბანები,
გამოჯარული კარები...

***

ია, კესანე, უკადრისავ,
ნაზფრთიანებო,
უბოროტონო,
უცოდველნო,
გულმზიანებო,
და შენ, ყაყაჩოვ,
უეცრად რომ იფეთქ-იალებ,
რამდენად სჯობხართ,
რამდენად სჯობხართ
ადამიანებს!

***

მე რომ მოვკვდები, შენ ვერ
გაიგებ,
ანდა გაიგებ ძალიან გვიან...
ოჰ, ვიცი, ცოტა კი შეწუხდები,
აღარ არისო, როცა გეტყვიან.
მე რომ მოვკვდები, იქნება ღამე...
ვიქნები მარტო... შემიპყრობს
შიში...
ჩემს ხელს არავინ დაიჭერს
ხელში,
არცა შვილი და არცა ბადიში.
მე რომ მოვკვდები, იქნება წვიმა,
ჩემს დახშულ სარკმელს დაუშენს
წვეთებს...
და ცრემლიანი ჩემი კედარი
გულის სიღრმიდან ამოიკვნესებს.

***

რადგან ისე ვერ ვიცხოვრე,
როგორც მე მსურდა,
ბევრის, ბევრის, ბევრის, ბევრის
ბევრჯერ შემშურდა.
რადგან ვერც მას ვერაფერი
მე ვერ შევმატე,
შენდობას ვთხოვ ჩემს
სამშობლოს,
ჩემს ოდაბადეს.*
ტკბილო ღმერთო, ქრისტე
ღმერთო,
თუმც გაცვი ჯვარზე,
სასუფევლის კარი, შეგთხოვ,
არ ჩამირაზო!

***

უთქმელი დამრჩა შენთვის
სათქმელი...
რაც მხოლოდ შენთვის უნდა
მეთქვა,
უთქმელად მოკვდა...
არყოფნის ბნელმა
უსასრულობამ უწყალოდ
შთანთქა...
თავს რად აქნევენ
ტოტები ცაცხვის?
რაღაცის გამო წუხან,
რაღაცის...

***

მოვიდა დრო და
წავიდა ისიც...
მოვიდა დრო და
ისიც წავიდა...
და შემოსილი ცისფერი ბინდით
გაღიმებული მიხმობს გაღმიდან.
ცა ტყვიისფერი
და ყავა დილის...
ზანტი მიმოხრა,
მკრთალი, უნდილი...
მე დავიკარგე პირქუშ ქალაქში,
სადაც დაკარგვა არის ადვილი...
მაგრამ...
რომ იყოს შესაძლებელი,
თუ დაიწყებდი ისევ თავიდან?
ო, ალბათ, არა...
გაღიმებული,
ის კვლავ მეძახის,
მიხმობს გაღმიდან...

---

*ოდაბადე - სამშობლო (მეგრ.)

ცოტნე მაჭარაშვილი

პროლოგი

რისხვით მიმღერე ქალღმერთო, ვიცი რომ, ჩემზე ახია,
რადგან მიჯნურად, თამარის სახება დამისახია.
ჯვრის მონასტრისკენ განდგომილს, სატრფომ
სამკვიდრო მახია,
გზის ნახევარზე გაირკვა, ვინ სათნო - ვინ ჩათლახია!
იმავე გზაზე მომესმა, ზოსიმე ლოგოსს ემოსა:
,,- ვესავ მიახლოს ეროსმა, ეპოსმა თუ გიეპოსა.
ჰერმესის ვაჟო, სილენოს, შენი ხმა რად მეკომოსა,
ოდეს დამჭნარი პოლისი, ცის კიდეს გაეკოლოსა!
გიხმობ, გახსენი რუსთველო - ოქროს კვეთაში კარედი,
სულის არსებით გახაზე, ზეგარდმო არსთა განედი.
ცოტნეს გადახდილ აღაპზე, აკმიე წმინდა პწკარედი,
სადაც თქმულების მიხედვით, საბერო სანდლით წახვედი.
ქალწულებასთან შეთქმულებს, სიძვასთან გვქონდა რა ხელი,
როსკიპი ვარდის სანაცვლოდ, ენა დასდებელს ვახელი.
ლოცვა აღაპყრე მზის ქიმზე, მზედ მომაფინე სამხელი,
ტრფობა ვინც აქო ნადიმზე, ვთქვათ იმ პოეტთა სახელი.
ვინმე აკტეონ ებაზრა, სინად განდეგილ მონაზვნებს,
მათმა ასკეზამ შემზარა - ცოლებს უთმობენ მონაგებს.
გალობით გმობენ კაპიტალს - გმობა კაპიტალს რას ავნებს?!
ლობისტთა პროპაგანდიდან, როს ,,ფაკე“ ისარს მოგაგებს.
ვრცელ უდაბნოზე, ციალებს ჰიმნოგრაფების კლიროსი -
სქოლასტთა ბანდამ გამანდო: ,,- ბანს მღერდა მეთოდიოსი.“
ესივრცათ მამებს, უმანკო, მონასმი ბაღის სიოსი...“
,,- მათ, ვისაც, ფრესკით ვიცნობდი მეტეხის სამიკიტნოსი!“
,,- ძველი ათენის ბურდონმა, მეორე ხმა შეაქცია,
ოდეს უარყო საჯაროდ, მიჯნურთა ვაქცინაცია.
როგორც გადმომცეს გდევნიდა, მგოსანს, ხალხი და ნაცია...“
,,- კლერკთა გავლენით დამადო მეფე ,,სუნქტუსმა" სანქცია.“
,,- საგნის ალგორითმს შეახე სიმზე დახრილი სინუსი -
BBC-ის არხზე შედინდეს სტროფი, ნათარგმნი ნიუსი,
ცოტნეს მოღერილ ბგერაში მიცურავს ქრისტეს თინუსი,
აწ, მესხო თავად შენ მაცნე, ვით ჟრერდა
CANTUS FIRMUS-I.
მინდა თქმული სინელების, შენგან წვრილად მოვისმინო,
მოუბრობა მათი ტკბილი, ბროლ-ბადახშით შეიმინო,
ხელი ჰომო დეუსების წინაშე არ დაიგმინო,
რომ ეპოქის დამდაბლება, კვლა, უტეხად არ ითმინო!
მაგრამ ჯერ ეს გაამხილე ნადიმზე, რომ ესწრებოდი!
შენი ფიცხი ხასიათით არავის აზრს ერგებოდი,
ქალაქების მიწისქვეშეთს ვირგილივით ედებოდი
და ელესდეს გულაობით ნაადრევად ბერდებოდი!“
,,- რომელმან შექმენ უბანი, ჟარგონის იქეც მფარველად,
ბირჟამ გამრიყა, შეგვედრებ მომხედო დასახმარებლად,
ძაღლობაც კვალზე დამაჯდა და გავიჭერი ყმა ველად,
სისხლს ვათხევ ჩემი სამეფოს და მისი სიძის სარგებლად.
გამოხდა ხანი, მოსილი ვარ თბილისური ტროპარით,
სიმღერას ვიწყებ ანბანის ასო-მთავრული ცნობარით...“
,,- გაიხსნას კადრის საკრალი, ახალი ტალღის გოდარით!“
,,- კადრი იხსნება მარადის თამარის შესანდობარით!
გახსენე - ვარდი ედემის - ნაცადი მეტაფორათი!
ჩემი წინარე ცხოვრება გავლიე - ბისით! ფორათი!
ცნების წიაღში გეძიე ოთხთავითა და თორათი -
ეგეც არ გეყო, დამტანჯე სამარხის აფიორათი!
გენური ინჟინერიის ჯვარზე გამაკრავს დემოსი,
ელიტის გლოვას მოჰყვება - შრიალი თეთრი პეროსი.
სატანისაგან უხსნელმა, როგორ დავძლიო ეპოსი,
კორპუსებს შორის აღელდეს: ზღვა პონტო - ზღვა ეგეოსი.
ღვთის სახე მოჩანს ყოველში, რაც იმზირება ლოცვიდან,
ვწერ, ცოდვა იქმნა პოლისში - პოლისი იქმნა ცოდვიდან.
სირჩას ვცლი, სული მოვითქვი - გავდივარ ამა ფსონიდან,
მაცვია კვართი უქსოვი, აბრამის კატალოგიდან.
მერჩივნა მე ნა რხეული ფარავნის ტბაზე მერხია -
დამიყადაღეს მამული - მოწმე ღვთაების კვერთხია!
ჰე, ღმერთო, მიცან რუსთველი, განა სხვა ყველა მესხია,
ჩემი ბორკილი ბანკების პოსტჰუმანური სესხია.
საბურთალოზე დავსახლდი დამყურებს პლატოს ფერდობი,
ქირით ვარ, ბინას არ ვიძენ ინვესტორს აღარ ვენდობი...“
,,- ხან ბასიანზე იბრძვი და ხან ბასიანზე ერთობი!“
,,- ექსტაზმა თუკი გამიხსნა, ერზრუმის მიწას ვეფლობი!
წინა წლის დამდეგს დამადგა ჩხრეკაზე უბნის მენტობა,
ექსპერტიზაზე გაგზავნეს ტყაოსნის მონუმენტობა,
მრუდ დრო-სივრცესაც დავცილდი, როდემდე ვზიდო
კენტობა!
და რა დავმალო ბლეფია, სექსტექთან კოვალენტობა!
სერობას შუქად ეფინა სამი ხმის პოლიფონია,
ტურფასა სატრაპეზოში მთვარე გაზაფხულს ჰკონია...“
,,- ვრაცხ, შოთას სიტყვის დასტური, შოთაის ის
სმარტფონია,“
,,- ლომბარდმა რომ წარიტაცა, რადგან პროცენტი მქონია.
ნაკლოვანია ბერების ნათხრობი სახელდახელო -
გასიაფანდეს მოყვასი - შენ სიარიფეს ვამხელო!“
,,- დე გაამხილე სრულებით - აისხი აბჯრის სახელო!“
,,- გავამხელ, მხოლოდ, თხრობისას მთხრობელი არ
გამახელო.
განსაჯოს მამის დუმილმა - ძე ნათელი და ძე ბნელი!
სამ წელსაც არ გაუვლია, რაც ვარ მეთოდეს მსმენელი!
ცოტნე კი პროგრესს ერიდა: „- არ ვარო შარის მძებნელი! -
აღარ მსურს სწრაფი დინება - მინდა დინება მე ნელი.“
უწინ, როცა ვყიალებდი და პატრონიც არვინ მყავდა -
კანონიკა დავარღვიე ლექსი კრულვით გამიავდა,
ვფიქრობდი, რომ ჩემ შაირებს სხვა შაირი არა ჰგავდა,
ვიდრე სულმნათს გავიცნობდი, სიბრძნის სილას
გამაწნავდა!“
,,- კარგი მორჩი ჩემ დაცინვას, თქვი, ვით შედგა ნვეულება,
ვიცი, კიდევ მრავალი გაქვს გამოცდილი სნეულება...“
,,- დავეხსენი წყეულ ნიმფას - არ დამეხსნა გრძნეულება -
ეგ დღეა და განმეშორა ფიქრის ზღვრული ჩვეულება!“
,,- ქარით ალაგმე ქარაგმა - ფიქრი ქარგიდან მოგვიდის...“
,,- ჯერ კიდევ ბიჭი არ მერქვა ჟამი ცხრებოდა კოვიდის,
მედდა შევაბი, პალატის, აღზრდილი იყო მოგვი დის,
მე კი, აღზრდილი ვიყავი ანტიკისა და ოვიდის.
როცა იელვა ნინველმა და გახდა ეპიდპოეტი,
სამსხვერპლოს ირგვლივ ეწვია ქალაქის ყველა ქორვეტი,
შეერთდა წირვის აკორდი, ვით მოციქული თორმეტი -
და ინთქა ჯანმოს ფანტომი - ეს ბიბლიური ჰორნეტი.
ეორე დღეს გაემართა შარაფი არ უწინდელი...“
,,- შეირხა ქალწული მართა, ვით ვაზი დაუწინდველი,
იქნებ, მეთოდემ გიამბო - ის გახლდა ლხინის მხილველი...“
,,- კოჭლი მევლინა ქადაგად - ბედის ჰუნეთი მფრინველი.
შეიწირა სკოლის კიბემ ბედკრული და მხიარული,
არისტოკრატ დიაცებთან, გული ჰქონდა ზიარული!
არისტევსის ძემ გაუძრო, აქტივობა პიარული -
კოჭლობამდე უყვარდაო მთაწმინდაზე სიარული.
მე მორბედის მონათხრობი დამიმოწმა პატარელმა...“
,,- მაშ გაშალე ცნობის სიღრმე, როგორც ნაღდმა
ქალაქელმა...“
,,- როგორც ენა ცუდი სინჯის - კვლავ იტყუოს ხვრელში
გველმა,
ისე ყველა ოლიგარქი გაანოლოს საყვარელმა!
ეჰ, მებრალებით ვაჭარნი კვლავ უმეცარნი ომისა -
საწყალობელი მორჩილნი მონეტარული დოგმისა!
მაყუთი ითხოვს ნომინალს - შინაარსია ფორმისა -
ამაოდ გრჩებათ ნიშანი, მაგ საზოგადო ძრომისა!“
,,- ყრმობიდან არვის არ ინდობ ,,არქსელო აპოლოდოროს“ -
მიწყივ იმისი შიში მაქვს - მავანმა არ გაგაგოროს.“
,,- სმენა მომართე არიფო - სმენა სამწყსომაც ასწოროს!
საწუთროს ორგულობანი, ზესთა წყალობამ მაშოროს.“
წყდება საუბრის გრძლივობა - ზოსიმე ღამეს ეგების,
ასაფრენ ზოლზე ისვენებს, გუნდი ციური მხედრების,
ივსება სიზმრით ქვეყანა, სერებისა და ზეგნების -
და მიდის ყოფა სიცოცხლის და მოდის ყოფა ცხედრების.

ოცნების ქვეყანა

ქეთი გაბინაშვილი

გული ისე მიცემს, მგონია, ყველას ესმის მისი ბაგაბუგი. ხელები მიოფლიანდება. ადგილს ვერ ვპოულობ. ვიცი, რომ საკუთარი თავი გამცემს. გრძელ რიგში ვდგავარ. ნელა მიიწევს წინ ჭიაყელესავით დაგრაგნილი, ფერადი და ხმაურიანი რიგი. მცხელა, ქურთუკს ვიხდი, მერე ისევ ვიცვამ. ჩანთაში საბუთებს ვეძებ, ვხსნი, ვკრავ... ექსკალატორზე რომ ვდგავარ, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ სისხლი მეყინება. თითქოს ყველა კუნთი დაჭიმული მაქვს, ვერ ვმოძრაობ, საერთოდ ვერ ვახერხებ განძრევას. მგონია, რომ ვიღაც კისერში ჩამავლებს ხელს და უკან ჩამათრევს. ჩემი ცხოვრების ყველაზე გრძელი ორი საათია.

ახლა საერთოდ ვერ ვფიქრობ დარბაზში დარჩენილ აცრემლებულ დედაზე. არ ვფიქრობ ცოლზე, რომელსაც დავპირდი, რომ სულ ცოტაც უნდა მოითმინოს, ცოტა და ერთად ვიქნებით. არ ვფიქრობ ჯანგატეხილ მამაზე, რომელიც, ვინ იცის, უკანასკნელად ვნახე. არ ვფიქრობ სახლში მშვიდად მძინარე შვილზე, რომელიც გაღვიძებისას აუცილებლად მიკითხვს, მომძებნის და იტირებს, როცა ვერ დამინახავს. ისე ვჩქარობდი, მგონი არც დავმშვიდობებივარ, არც ჩავხუტებივარ. ეჭვს აიღებდნენ, არ მინდოდა, ასჯერ მაინც ვუთხარი, არ მინდოდა ეს გაცილებები და დამშვიდობებები. არ შეიძლება, შეგამჩნევს ვინმე და დაკარგულია ყველაფერი. არ ვფიქრობ, რადგან მათზე ძალიან ბევრი ფიქრის შედეგად ვარ აქ. ახლა საერთოდ ფიქრიც აღარ შემიძლია, უბრალოდ მინდა ეს დღე დასრულდეს და მერე...

მერე ყველაფერი კარგად იქნება. წავიყვან ჩემს გოგოს, წავიყვან ბავშვსაც, იმან მაინც იცხოვრობს ნორმალურ ქვეყანაში, აქ რა, აქ რას უნდა ელოდო, აქ რა პერსპექტივა გაქვს. რას მიაღწევ. მერე რა იქნება, ძალიან ბევრი მაქვს ნაფიქრი. ერთი აქაურობას გავეცალო და ამისი ბარის დამკვრელის...

ყველა საათი გაჩერდა თითქოს, დრო არ იძვრის. ტუალეტის სარკეში საკუთარ თავს ვათვალიერებ. მეცინება. ამ ყვითელ ჰუდში თუთიყუშს ვგავარ. სახეზეც ყვითელი ფერი მადევს. შავი არ გინდაო, ბედნიერ და მხიარულ ტურისტს უნდა ჰგავდეო. ბედნიერების არაფერი მეტყობა. გაღიმებას ვცდილობ, ძალიან უნიჭოდ. მოიხოდემეთქი, ბიჭო ახლა რა მოგდის, ვუბრაზდები საკუთარ თავს. დაძაბულობა და ნერვიულობა არ შეგეტყოს, მთავარი ეგააო. სათქმელად ადვილია.

ისე რას ერჩი, ყველაფერი დეტალურად ამიხსნეს, ყველაფერი მასწავლეს, რა და როგორ. მაგრები არიან თავის საქმეში. ამათ გაიყვანეს გიორგა და თემოც. ბრმად არ მივსულვარ. ფული, გიყვარდეს, კი ამაფცქვნეს კარგად, მაგრამ არ გამოვა და სად წავლენ. მგონი... შენო, ბიჭო, რა პანიკებში ხარ, შენნაირი ერთი კი არა, დღეში ათი გაგვყავსო. ახლა ვერ იქნება და მერე კიდევ სხვა გზებს ვცდითო. არა, ახლა უნდა გამოვიდეს. თავიდან ვეღარ გადავიტან: ცალკე ამ ჩემების ცრემლების ღვრის ყურება, ცალკე თავიდან ჩალიჩი ფულზე, ცალკე ეს ნერვიულობა. ნერვიულობა კი არა და მგონია, მართლა მხევს გული.

ხალხს ვათვალიერებ, მეჩვენება, რომ ყველა ჩემსავით ღელავს. ვცდილობ, ღმერთი დავარწმუნო, რომ არავის ისე არ სჭირდება მისი დახმარება, როგორც მე. ბოლო წუთამდე მეგონა, რომ რაღაც შეიცვლებოდა, თვითმფრინავიდან ჩამათრევდნენ. პირველი ფრენაა? - მკითხა გვერდით მჯდომმა ქალმა. ნუ ნერვიულობთ, თვალები დახუჭეთ და რამე სხვაზე იფიქრეთ, წარმოიდგინეთ, რომ თვითმფრინავში არ ხარ, წინ დიდი მწვანე მდელოა, ჩიტებზე იფიქრეთ, მდინარის ხმაზეო... აუ ჩემი, ეს მინდოდა კიდევ, რა მდელო და ჩიტები, ზუსტად მაგაზე წარმოდგენა მხდის ცუდად. ეს ხალხი კიდევ ვერ იქნა და ვერ დაეწყო. ბიჭო, რას დაბოდიალობ, რით ვერ მიაგენი ადგილს, რით ვერ შეინახე ეგ ერთი პატარა ჩანთა.

ნახევარი სიცოცხლე დავტოვე... მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქე ღრმად, ქალაქი რომ დაგვშორდა, გაბაცდა და მერე სადღაც ღრუბლებს მიღმა ჩაიკარგა მიწა.

ახლა მე ვიყავი და ჩემი ბიჭობა. ტექსტები წინასწარ მქონდა დაწერილი და კარგად ნავარჯიშები. მთავარი იყო დამაჯერებლობა არ მოჰკლებოდა. პოლიტიკურს მივაწექი. წინა მთავრობას ვედექი გვერდით და ახლა სერიოზულ საფრთხეში ვარ-მეთქი. მავიწროვებენ, ჩემს სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრება. ექიმის დასკვნა მქონდა, დამსხვრეული თეძო. ცემის კვალია-მეთქი, ძლივს გადავურჩი. რაის სასამართლო, სასამართლო მაგათ გარეშე ნაბიჯს ვერ დგამს-მეთქი. არსებობის საშუალებას არ მაძლევენ... ამათთვის ადამიანური არაფერია. მეც გამიშვეს სამსახურიდან, ჩემი ცოლიც ბიბლიოთეკაში მუშაობდა და ისიც გამოუშვეს. ყველაფერი ვთქვი, რაც ხდებოდა და არ ხდებოდა. რაც გადამხდენოდა და რისთვისაც ყური მომეკრა. ყველაფერი ვთქვი, წამებაზე, მუქარაზე, გაჭირვებაზე, სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმაზე... გრძელი სია მქონდა... ყველაფერში იყო, რაღაც სიმართლე და რაღაც მოგონილი. თეძო მართლაც ცემით მქონდა ჩამსხვრეული, ლევანას დაბადების დღეზე მოგვივიდა დოლიძის სასტავთან მაგარი ჯახი. კარგა ხანს ვიწექი, ძლივს ამაწყეს. წინა მთავრობასთანაც ვახლობლობდი, ჩემი სიძე იყო საკრებულოში, ჩემი ცოლი კიდევ მართლაც გამოუშვეს ბიბლიოთეკიდან, ხელშეკრულება აღარ გაუგრძელეს, შტატის შემცირებაა, მაგრამ მგონი ბევრი გაცდენები იყო ნამდვილი მიზეზი. თავის დროზე ჩემმა სიძემ დააწყებინა და უთხრა, როგორც მოგიხერხდება ისე იარეო, თითქმის არ დადიოდა, მერე კიდევ ამათ, ახლებმა, ასე არ ხდებაო, პრივილეგიებით ვერ ისარგებლებს ვერავინო. ყოველ დღე კიდევ სად ივლიდა, ბავშვია, სახლია, ათასი საქმეა, მთელ დღეს გასული ხომ არ იქნებოდა? ყველაფერი ისე ავაწყეთ, სიმართლე ყოფილიყო რაღაც, ასე უფრო დამაჯერებელი იქნებაო მერე ცოტა შელამაზება. მაგრად ვინერვიულე, რომ არ მოგატყუო.

დამიჯერეს. ჩავბარდი. ვარ ახლა საერთო საცხოვრებელში. დახმარებას ვიღებ. აქ ცოტა სივიწროვეა, მაგრამ ევროპაა ტო-ოცნების ქვეყანა. ცოტას მოვიხოდები და ჩამოვიყვან ჩემებსაც. ჰოდა, მაქვს თავზესაყრელი დრო, დავჯდები ახლა და როგორც იქნება, მოვაბამ თავს ჩემს სამშობლოს სიყვარულითა და მონატრების ტკივილით აღსავსე ლექსებს, იქნებ დავბეჭდო კიდევაც წელს, ჩემი პატრიოტული ლირიკა.

დამღა

-სახელი?.. გვარი?.. ასაკი?..

-46 წლის.

-ოჯახური მდგომარეობა?

მინდა ვთქვა დაოჯახებული, მაგრამ სიტყვებს ვყლაპავ და ტირილს ვიწყებ. პატარა ბავშვივით ვტირი, მხრები მიცახცახებს.

-ქალბატონო ნათია, ქალბატონო ნათია.- ფრთხილად მეხება ხელზე.

ვიცი, რომ უნდა გავჩერდე, სასწრაფოდ უნდა შევაკავო ემოცია, მაგრამ ძალა არ მყოფნის. ხელებს ვიფარებ თვალებზე და კიდევ უფრო ვუმატებ ტირილს.

-რატომ ტირით, ქალბატონო ნათია? - გაოცებას ვერ მალავს კადრების ინსპექტორი.

სტანდარტული პროცედურაა, ექვს თვეში ერთხელ გვიტარებენ. ფორმალობაა, ყველამ ყველაფერი ისედაც იცის. ის ოჯახზე მეკითხება - მე ჩემი ოჯახი მახსენდება.

წყალს მაწვდის. წყალი ჩემს ტკივილებს ვერ დააყუჩებს, ჩემს შეურაცხყოფასა და დამცირებას აბივით ვერ გადაყლაპავს. ვართმევ და მაინც ვსვამ.

-მშვიდობაა?- მეკითხება დაბნეული.

-კი, კი,- როგორც იქნა ვპოულობ ძალას.

-რამე არასწორად ვთქვით?

-არა, როგორ გეკადრებათ, ოჯახიო და ...- დროის მოსაგებად და ტყუილის მოსაფიქრებლად, ისევ წყალს ვსვამ და ვცდილობ, თავდაჯერებული ვიყო,- შვილები გამახსენდა...

-თქვენს შვილებს რა დაემართათ?- კიდევ უფრო იბნევა.

-სიცხე აქვთ! - ვამბობ და ისევ ვტირი.

-სიცხე?! - ახლა მართლა ვერ მალავს გაოცებას.

-გაზაფხულია, ათასი ვირუსია, მიიყვან ბაღში და... სიცხიანები დავტოვე.

-წაბრძანდით, ქალბატონო ნათია, თუ გინდათ სახლში, ჩვენთვის მთავარი თანამშრო...

-არა, არა, არაფერია! - სიტყვას ვაწყვეტინებ,-მაპატიეთ, უეცრად ემოციები ვერ შევიკავე.

-გსურთ, მოგვიანებით განვაგრძნოთ?

-არა, ყველაფერი კარგადაა. მხოლოდ ორი წუთით, თავს მოვიწესრიგებ.

თავს ნაჩქარევად მიქნევს. მე ვდგები და სანამ ოთახიდან გავალ, ვგრძნობ, კეფაზე როგორი დაჟინებით მომჩერებია, თითქოს ამოცანის ამოხსნას ცდილობდეს.

საპირფარეშოში წყალს ვუშვებ და სარკეში ვიყურები. ქუთუთოები შესიებული და დაწითლებული მაქვს, თვალები ამღვრეული, ნამტირალევი. სახიდან თმას ვიწევ, ღაწვზე ისევ მამჩნევია დაღი. ეს კვალი არც გაქრება, ეს ჩემი განაჩენია, ჩემი სასჯელი, მუდამ უნდა ვუყურო და მახსოვდეს, მახსოვდეს, რისი დავიწყებისთვისაც ყველაფერს გავიღებდი, ყველაფერს გავცემდი.

საფეხურები ჩამტვრეულია, ვთქვი, ფეხი დამიცდა და წავიქეცი-მეთქი. არავის უეჭვია. ფეხი კი ნამდვილად დამიცდა, მაგრამ ჩვენი სადარბაზოს საფეხურზე არა, ის სხვა კიბე იყო.

უკვე ოცდაჩვიდმეტი წლის ვიყავი. ჩვენში ეს ხომ ძალიან ბევრია. ყველგან ამაზე საუბრობდნენ. მე შემდგარი ქალი ვიყავი, წარმატებული კარიერა, ფინანსურად დამოუკიდებელი. მაინც აკლდა ჩემს ცხოვრებას მათ თვალში რაღაც, თავს ყველგან ზედმეტად ვგრძნობდი, თითქოს თავს ვიმართლებდი, თითქოს მე მიმიძღვოდა რამეში ბრალი. რაც უნდა გამეკეთებინა, როგორც უნდა ვცდილიყავი, ყველაფერი ამაო იყო, სერიოზულად არ აღმიქვამდნენ.

გამაცნეს. მაღალი იყო, ახოვანი. განიერი მხარ-ბეჭი ჰქონდა. ზღვისფერი თვალები. მოწესრიგებული იყო, ზრდილი, თავაზიანი. პეპლები არ ყოფილა. ალბათ ეგ უფრო სხვა ასაკის ამბავია. ის სასურველი სასიძო იყო, მე - უკვე კარგად დამეგვიანა. დარჩენილი მეთქმოდა უკვე. სწრაფად გადავწყვიტე. რომ შევცდი, მალევე მივხვდი. შვიდი თვის ფეხმძიმე ვიყავი, პირველად რომ შემოანარცხა წვნიანის თეფში კედელს. არ ვიცი, შეიძლება მაშინ უნდა ავმდგარიყავი, ჩამელგებინა ჩემი ნივთები და კარი გამეხურა. არაფერი გამიკეთებია. გაოცებული ვიყავი, დაბნეული, შეშინებული. მერე იყო, ბევრჯერ, ბევრჯერ ჩავალაგე და წასვლა ვცადე. ბევრჯერ ჩაერივნენ ახლობელი და შორეული, მეზობელი და მეგობარი. ბევრჯერ მოიხადა ბოდიში, ათასი დაპირება. და იქნება და მისი ბრალი არაფერი იყო, იქნებ ყველაფერი ვიცოდი, ყოველთვის ვიცოდი ყველაფერი. ხან მის სინანულს ვიჯერებდი, ხან მაჯერებდნენ, რომ ჩემი ბრალიც იყო, ხან სიმთვრალეს ვაბრალებდი, ხან მისი შეუმდგარი კარიერის ფონზე, ჩემს წინსვლას. ყველაზე მეტად კი ბავშვებს ვატვირთე პასუხისმგებლობა - უმამოდ ხომ არ გაიზრდებოდნენ. უმამოდ გაზრდა უკეთესი ყოფილიყო იქნება, მოძალადე მამასთან გაზრდას?!

ვერ შევეგუე. ბრძოლა ვისწავლე. ის დედაჩემს ახსენებს, მეც ვუხსენებ გვერდით ოთახში შეყუჟულ და კედელზე ყურმოდებულ დედას, ის ჭურჭლეს ამტვრევს, მეც - ვამტვრევ. ის გვიან ღამემდე ქუჩაში სვამს უბნის ლოთებთან, მე ბავშვების ოთახში ვიძინებ და კარს ვკეტავ.

ამ გაუთავებელმა ბრძოლამ აქამდე მიგვიყვანა. ყველა ასეთი ბრძოლა ამით მთავრდება. დამარტყა. ძლიერი ხელი აქვს. ეს მკლავები, ეს ძლიერი ხელები, დიდი და თბილი ხელისგულები მომწონდა უწინ. ღაწვი გადამისკდა. ექვსი ნაკერი დამადეს. საავადმყოფოში თავად წამიყვანა. სისხლი ჩამომდიოდა სახეზე და ტანსაცმელს ლაქებად აჩნდებოდა. ტკივილს არ ვგრძნობდი, დაუოკებელი რისხვა მედგა სხეულში. მე ვკანკალებდი სიბრაზისგან, სირცხვილისგან, დამცირებისგან, თავად ალბათ შიშით - არ დამერღვია ამდენი წლის ჩაგუბებული დუმილი. არ დამევიწყებინა, რომ მე ვარ ძლიერი ქალი, წარმატებული, ბედნიერი, რომ მყავს სანიმუშო ოჯახი, მისაბაძი და არ მეთხოვა ექიმისთვის, გამოეძახა პოლიცია და დავეცავი კაცისგან, რომელმაც დღეს დამარტყა და ღაწვი გამიხეთქა, ხვალ დამარტყამდა და ალბათ ნაკერები ვეღარ უშველიდა ჩემს ჭრილობას.

ნუ გეშინიათ, ქალბატონო, ნაიარევი არ დაგრჩებათ, - მამშვიდებდა ახალგაზრდა ექიმი. მე მისი არ მჯეროდა, რადგან ვიცოდი, ნაიარევი აუცილებლად დამრჩებოდა, ეს იქნებოდა ჩემი დამღა, ეს ჭრილობა შეცვლიდა ჩემს ცხოვრებას, შემცვლიდა მეც. არასოდეს მომცემდა უფლებას, ვყოფილიყავი ის, ვინც ვიყავი იმ ავბედით წუთამდე, ყოველთვის, როცა სარკეში ჩავიხედავდი, გამახსენდებოდა, ვინ ვიყავი, რაზე ვოცნებობდე, რა შემეძლო და რა დავმართე საკუთარ თავს.

მე კი ისევ, ისევ მოვაჩვენებდი თავს ყველას, თითქოს სამსახურიდან ჩემს ბედნიერ ოჯახში მიმეჩქარებოდა, ჩამტვრეულ საფეხურზე ფეხი დამიცდა და წავიქეცი.

მე წავიქეცი. მაგრამ იმ კიბეზე საფეხურები არ იყო ჩამტვრეული, მე დავუგე საკუთარ თავს ხაფანგი - მე დავაწყე ბნელ კიბეზე ათასი წესი და კანონი, ათასი მითქმა-მოთქმა, ათასი ჭორი... ახლა კი ყველაფერი უკვე გვიანია, ახლა აღარ აქვს აზრი ჩემოდნების ჩალაგებას, რადგან საკუთარი თავი, სადაც უნდა წავიდე, თან მეყოლება და ყოველთვის დამიგებს მახეს.

-უკეთ ხართ?

-დიახ, მაპატიეთ, არც ვიცი რა დამემართა, ღამე მაღალი სიცხე ჰქონდათ, ვერაფრით დავუწიეთ, მთელი დღე ვღელავ.

-არაფერია, ხდება ხოლმე, განვაგრძოთ. ოჯახური მდგომარეობა?

- დაოჯახებული. მყავს მეუღლე და ორი შვილი. ოჯახი ჩემთვის მთავარი საყრდენია. ის მაძლევს ძალას, ვიყო პროფესიონალი და ვემსახურო საკუთარ საქმეს.

ვუძღვნი ჩემს ხალისიან, საწერკალმით ხელში ფურცლებში მუდამ თავჩარგულ, ახალგაზრდული შემართებით სავსე, საამაყო მამას -
რევაზ კვერენჩხილაძეს

ისევ სიკეთის იმედით

წიგნიდან „ჩემი საინტერესო დიდი ადამიანები“

მაკა კვერენჩხილაძე-ქარტაიზერი

საინტერესო ადამიანების წრეში გაიზარდე. ბავშვობაც და სტუდენტობაც დიდ ადამიანებთან სიახლოვით მქონდა მდიდარი - ცნობილი მწერლები, მსახიობები, მხატვრები, მეცნიერები... ალბათ, ჩემ „ქვიშხეთურ ზაფხულებამდეც“ მალე „მივალ“, მაგრამ ახლა იმ საინტერესო და დიდ ადამიანებზე მინდა მოგითხროთ, ემიგრანტული ცხოვრების მანძილზე გზად რომ მხვდებოდნენ და მიმდიდრებდნენ ცნობიერებას და მზრდიდნენ პიროვნულად. ეს ადამიანები იყვნენ ჩემი ახლო მეგობრები, მენტორები, მასწავლებლები, სულიერი მეგობრები და თავად მოსწავლეებიც კი. მათი ადამიანობა, უმაღლესი გაგებით, წარმატებისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ სვლის გზები, სიყვარულის საოცარი ისტორიები თუ მდიდარი შემოქმედებითი, სპორტული ან ბიზნეს სამყაროს მიღწევები, ჩირაღდანივით მინათებდა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებზე და სხვადასხვა გარემოებებში.

ამ ადამიანებმა და მათმა ისტორიებმა მე, აწ უკვე 22-წლიანი ემიგრანტული ცხოვრება-მოგზაურობა გამილამაზეს, გამიმდიდრეს, გამინათეს.

მომცეს მშვიდი ნავსაყუდელი როგორც ნავს, მუდმივად მოძრავს მდინარეში; გეზისმაჩვენებელ შუქურად მინათეს, მე - ცხოვრების ქარტეხილებში მოხვედრილ, ზოგჯერ გზადაკარგულ, მაგრამ მუდამ სწორი გზის მაძიებელ გემს.

საინტერესო მოვლენებით სავსეა–მეთქი, ვამბობ, ჩემი ცხოვრება, მაგრამ საინტერესობა სირთულეების გარეშე რომ არ მოდის, მინდა, ამაში აქვე შევთანხმდეთ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, და, როგორც ამერიკელები იტყვიან, ლეტ უს სტანდ ონ ტჰე სამე პაგე - ერთ აზრზე ვიყოთ, რათა სწორად შეაფასო ჩემს წიგნში ამოკითხული ისტორიები და სულსწრაფი დასკვნები არ გამოიტანო: შენ რა გენაღვლება, რა იოლად გიცხოვრიაო...

ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო - გამოთქმაც ხომ ვიცით, და თითქოს, ახლნაც არ უნდა იყოს საჭირო, მაგრამ ზოგი ბოლო შედეგს - ლამაზ ნახატს - დაინახავს და ფიქრობს, ამის დახატვას რა უნდაო.

სანამ უშუალოდ, ჩემ საინტერესო, დიდ ადამიანებამდე მივაღწევ, მინდა ისიც გითხრათ, ბევრჯერ, დაქანცულს, გულდაწყვეტით დამიწუწუნია: რა რთულია ჩემი ცხოვრება-მეთქი.

ერთხელ ერთმა წარმატებულმა ამერიკელმა მკითხა:

- რა გინდა? გინდა, მარტივი ცხოვრება გქონდეს? მარტივი ხომ უინტერესო იქნება?

მაშინვე მთელ სხეულში ელექტროდენივით დამიარა უინტერესო ცხოვრებისგან გამოწვეულმა შესაძლო მოწყენილობის მუხტმა და დაუფიქრებლად წამოვიძახე:

- უი, არა, არა! იყოს, იყოს რთული, ოღონდად, იყოს საინტერესო.

როგორ და როდის შემოიჭრა სიტყვა „ამერიკა“ ჩემ ყოველდღიურობაში და მერე ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა? შეიძლება ითქვას, სრულიად მოულოდნელად. ცივი ომის დასრულებისა და იმედების ქვეყნის კარიბჭეთა გახსნის პერიოდში, ჩემმა ძმამ, ლევანმა, ინგლისური ენის უბადლო ცოდნით გაიკვალა გზები ამერიკის კონტინენტისაკენ.

1989 წელი იყო...

ლევანი თბილისის სახელმწოფო უნივერსიტეტში დასავლეთ ენების ფაკულტეტზე ინგლისური ენისა და ლიტერატურის სტუდენტია. თავისი ასაკის ბიჭების მსგავსად, ისიც ნაკლებად გვიზიარებს გეგმებსა და ინტერესებს, მით უმეტეს, სწავლის დეტალებს.

ერთ მშვენიერ საღამოს, სადილის დროს, მოულოდნელი სიახლით მთელი ოჯახი გაგვაოცა:

- მისმინეთ, რაღაც უნდა გითხრათ! მე ამერიკის ერთ-ერთ დიდ უნივერსიტეტში მივდივარ სასწავლებლად, მთელი წლით! - ცერემონიულად გამოგვიცხადა ყველას: დედას, მამას, ბებიას, დეიდას და მე. მის ხმაში იგრძნობოდა ჯერაც უცნობი და მაინც მიმზიდველი, ნათელი მომავალი.

ყველანი გაოგნებული ვართ...

- რას ლაპარაკობ, ლევან? - ისმის მთავარი კითხვა და ჩემების ხმაში ვგრძნობ შიშს. ჩემმა მშობლებმა არც კი იციან, რა იფიქრონ. ყველა დაბნეულია და ერთმანეთს შეჰყურებენ, იქნებ, სხვის თვალში ამოკითხული რეაქციით მიხვდნენ, რა ხდება.

ჩემი ოჯახის წევრებისთვის ამერიკაზე საუბარი წარმოუდგენელია. ლევანის სიახლე მათთვის არარეალურად, ამავდროულად, საშიშრად ჟღერს. ყველას კარგად ახსოვს ლევანის გაბედული და განსხვავებული იდეები წინა წლებიდან. ახსოვთ, როგორ „ესაუბრნენ“ სკოლის სამასწავლებლოში ამ იდეების გამო.

ვერ გაუგიათ, რა იფიქრონ - ისევ ოცნებობს ლევანი თუ რა ხდება?! გაიხარონ თუ შეშინდნენ?

ამერიკაში სასწავლებლად მივდივარო. აბა, ამ წინადადებას სერიოზულად ვინ მიიღებდა?! კომუნისტური წყობის დროს ამერიკას ხომ მხოლოდ შეფარვით და შიშით ვახსენებდით, ხოლმე?! ჯერ კიდევ ბავშვობაში, ჩემს ძმას ბევრჯერ გასჩენია თავისუფალი აზროვნების ნაპერწკლებით ანთებული კითხვები: ამერიკაში სწავლა რომ მოგვინდეს, რატომ არ შეიძლება, ავიღოთ თვითმფრინავის ბილეთი და გავფრინდეთო? ამერიკული რეცეპტით მომზადებული საშობაო ინდაურიც გვიგემია. ამერიკული საშობაო სიმღერებიც კი დაგვიკრავს და გვიმღერია. ყველაფერი ეს შიშის ზარს სცემდა კომუნისტური რეჟიმის ხანაში აღზრდილ ჩვენს მშობლებს. მამას ხომ კომუნისტებმა ოჯახი მოუსპეს - მამა დაუხვრიტეს, დედა ციმბირში გადაუსახლეს.

ის წყობა კი იმ დროს სულ ახლად გადავარდნილი იყო. განათლების გაცვლითი პროგრამაც ხომ მანამდე უბრალოდ არ არსებობდა. ახლის, უცნობის გააზრება და წარმოდგენა დღესაც უჭირს ზოგიერთს და მით უმეტეს მაშინ... ჩვენებმა, განსაკუთრებით ბებიამ, დაკითხვა მოუწყვეს ლევანს. გაურკვევლობა, აღტაცება და აღფრთოვანება ერთმანეთს ცვლიდა. არავინ ვიცოდით, რა უნდა გვეგრძნო - სიხარული თუ შიში?

მომდევნო დღეებში პაზლის ნაწილები ნელ-ნელა იწყებს ადგილების დაკავებას. მეტ ინფორმაციას ვიგებთ და გაურკვევლობის ბურუსიც იფანტება. დავმშვიდდით და გავერკვიეთ საქმის ვითარებაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენათა ფაკულტეტზე, სადაც ლევანი სწავლობდა, ამერიკელ პროფესორებს გამოცდები ჩაუტარებიათ. იქნებ ლევანშიც იყო მცირედი თავდაუჯერებლობა - მას ტესტის შესახებ არაფერი უთქვამს. მხოლოდ, შედეგების გამოცხადების შემდეგ გვამცნო საქმის ვითარება. უცხოელებმა გამოცდები, ჩვეულებისამებრ, სინდისიერად და ობიექტურად შეაფასეს. პირველ ადგილზე გასულ სტუდენტს ამერიკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამით სწავლა და თვალსაწიერის გასაფართოებლად წასვლა ელოდა.

და აქ მოხდა გაუთვალისწინებელი. თურმე ნუ იტყვით და, ჩვენებურ მხარეს ჩვენთვის ყველასათვის ცნობილი, მაშინდელი რეალობის განუყოფელი ნაწილი რომ გვეგონა, „ჩაწყობის“ ხერხისათვის მიუმართავს. რა თქმა უნდა, ამერიკელთაგან დამოუკიდებლად გადაუწყვეტიათ და ეს ადგილი ერთ-ერთი „ცნობილი პიროვნების“ შვილისთვის გადაუნახავთ. აბა, ამერიკის უნივერსიტეტის სტუდენტობას „უბრალო“ მამის შვილზე ხომ არ გააცდენდნენ?! „გეგმაში ჩავარდნა“ იყო ლევანის ნიჭის გამოჩენა ჰოროზონტზე! ალბათ, ვერ წარმოედგინათ, ამერიკელები ასე სამართლიანად თუ შეაფასებდნენ გამოცდებს.

დაიწყო ბრძოლა ნიჭის გადარჩენისათვის. ეს პერიოდი უსამართლობებით ისედაც სავსე იყო და ესეც მორიგი უსამართლობა?!

რა ვქნათ, ცნობილი კაცის შვილია და ის უნდა გავუშვათ ამერიკაში სასწავლებლადო - აუღელვებლად დაასკვნეს ქართველმა მესვეურებმა.

მამა შვილის ნიჭის დაჩაგვრას ეწინააღმდეგებოდა. ალბათ, ნებისმიერი მშობელიც ასე მოიქცეოდა, თავად ის უსამართლო ჩინოსანიც კი. ჰოდა, ასე გავიდა ერთი წელი ინსტანციიდან ინსტანციაში სიარულში, ნერვიულობასა და განცდებში. ჩემი ძმა პიანინოზე დაკვრით იცავდა თავს უსიამოვნო რეალობისგან. მრავალი წერილი, თხოვნა თუ მტკიცება დაიწერა. ბოლოს, ერთწლიანი ჯოჯოხეთის შემდეგ, ლევანი და ერთი მისი ქართველი თანატოლი კანადაში, „ბრითიშ კოლუმბიის“ უნივერსიტეტში სწავლის შესაძლებლობით „დაკმაყოფილეს“.

სწორედ იმ დროიდან უხილავმა თოკებმა დაიწყეს ქაჩვა ორ კონტინენტს შორის, რომელმაც მალე მეც მომდო ყულფი და მას მერე ხან აქეთ მექაჩება, ხან - იქით.

1991 წლის ივნისში დაამთავრა ლევანმა უნივერსიტეტი. ზუსტად მეორე დღეს კი, უნივერსიტეტის ლექტორების რეკომენდაციით, იგი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში იწყებს მუშაობას. ლევანის ინგლისური ენის ცოდნა შეუდარებელია. მოგვიანებით თავად იმდროეინდელი და ყველა დროის უბადლო სპეციალისტი, გელა ჩარკვიანი დამიდასტურებს ამას.

- მივდივარ - ლევანმა ჩვეულებისამებრ მოგვაძახა, როგორც სახლიდან გასვლისას იცოდა, თუმცა, მეორე წინადადება მოულოდნელი იყო - ლიმუზინი მელოდება.

მე და დედაჩემი მაშინვე საძინებელი ოთახის ფანჯრისკენ გავიქეცით. ფანჯარა ქუჩას გადაჰყურებდა და გვსურდა გაგვეგო, რა ხდებოდა. და რას ვხედავთ! მართლაც, თეთრი, პრიალა, გრძელი ლიმუზინი არ ელოდება ლევანს?!

ამის შემდეგ, ყოველ დილას მშვიდად და აუღელვებლად ელოდა ხოლმე ლევანს შავი, პრიალა ლიმუზინი სადარბაზოსთან, ჩვენი ფანჯრების წინ.

პირველი დღის აღფრთოვანება მთელ დღეს გაგვიგრძელდა ოჯახის წევრებს. საღამოსკენ, ის ის იყო, ცოტა დავმშვიდდით და ლევანიც მოვიდა სამსახურიდან კიდევ მეტად აღსაფრთოვანებელი ახალი ამბით:

- ამერიკის საელჩოს გახსნის ცერემონიაზე თარჯიმნად მიმიწვიეს, ცერემონია სასტუმრო მეტეხი პალასში ჩატრდება.

მე, დედა და მამა გაოცებულნი ვუყურებთ ერთმანეთსა და ლევანს.

მოულოდნელდ ძმა მომიბრუნდება:

- მაკა, ერთი სტუმრის წაყვანა შემიძლია, არ გინდა გამიწიო პარტნიორობა?

- მოიცა, მაგას კითხვა უნდა?! - მე აღფრთოვანებული ვარ და თვალები მიბრწყინავს - რა თქმა უნდა, მოვდივარ! - წამითაც არ მჭირდება დაფიქრება.

- გახსნითი ცერემონიის შემდეგ სასტუმროს სახურავზე, ღია ვერანდაზე, რომელიც მთელ თბილისს გადმოჰყურებს, გაიმართება ალა-ფურშეტი. უამრავი ცნობილი სტუმარი არის მოწვეული. აბა, შენ იცი, მოემზადე!

- კი, კი - უკვე საქმიანად ვეთანხმები - ახლა უნდა მოვძებნო სათანადო კაბა - უკვე წვეულებისთვის ვემზადები.

- რამდენიმე დღის შემდეგ, პატარძალივით ლამაზი, თეთრი, გრძელზე გრძელი და პრიალა ლიმუზინი მოსრიალდება და ჩვენი ფანჯრის წინ სადღესასწაულოდ ჩერდება. მე და ლევანი ვემზადებით. მთელი სამეზობლოს ცნობისმოყვარეობა ფხიზლობს, ვინ ფანჯრებს მისჩერებია, ვინ ქუჩაში დგას და ელოდება ჩვენს გამოსვლას. ყველა ბედნიერი და აღფრთოვანებულია. ეს ხომ ახალი, იმედიანი, თავისუფალი და დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყისია.

სასტუმრო მეტეხი - პირველი თანამედროვე სასტუმროა, აგერ, სულ ახლახანს რომ აშენდა და ახალი, ლამაზი მომავლის სიმბოლოდ რომ დგას. დიდი ფართო მინები და თანამდროვე არქიტექტურა მას გამოიღცევა მის გარშემო მყოფი ძველი შენობებიდან. ესაა თანამედროვე, პრესტიჟული და რაღაც ახალი!

მინის ლიფტს აჰყავს და ჩამოჰყავს სასტუმროს სტუმრები. მოგვიანებით, ჭიქა შამპანურით ხელში მეც მათ შორის ვიქნები. სახეზე უზარმაზარი ღიმილი მაქვს და თვალები ბედნიერებისგან მიბრწყინავს. ლიფტში რამდენიმე მოწვეული სტუმარიცაა და აი, ყველასთვის ცნობილი, ბატონი გელა ჩარკვიანიც აქაა. დიპლომატი და ნომერი პირველი ინგლისური ენის მცოდნე იმ დღოის საქართველოში.

თქვენ ვისი სტუმარი ხართ? - თბილად მეკითხება ბატონი გელა, რომ თავი მნიშვნელოვნად და დაფასებლად მაგრძნობინოს ამ 19 წლის გოგონას, რომელიც აშკარაა, მიწას არ ეხება სიამაყისა და სულის ზეიმისგან.

- ჩემი სახელია მაკა, მე თარჯიმანს ვახლავარ. ლევანი ჩემი ძმაა.

- ძალიან სასიამოვნოა. მაკა, პატივი მაქვს გითხრათ, რომ თქვენი ძმა, ლევანი ჩემს შემდეგ მეორეა საქართველოში ინგლისური ენის უბადლო ცოდნით. ის საუკეთესო თარჯიმანია!”

უაღრესად ბედნიერი ვარ. ბატონი გელას უშუალობა, იუმორის გრძნობა და ძვირფასი სიტყვები კი არასდროს დამავიწყდება.

ცერემონია იწყება და ამერიკის ელჩი საუბრობს, ლევანი თარგმნის. შემდეგ სხვა მნიშვნელოვანი პირები წარმოთქვამენ სიტყვებს. მერე წვეულება, ალაფურშეტი შამპანურები და გემრიელი ეპიტაიზერები. ვესალმები და ვესაუბრები სტუმრებს, გაოვთქვამ აზრს და ვამაყობ ჩემი ძმით.

ერთი ვიცოდი: ეს დღე ჩემ ცხოვრებაში ნამდვილად იქნებოდა ერთ-ერთი ამაღლებული მოგონება.

ცნობილი პოლიტიკური ფიგურების გვარები მრავალრიცხოვანია: ჯეიმს ბეიკერი, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცეპრეზიდენტი; ამერიკიდან ჩამოსულ მეცნიერთა ჯგუფები, ვერტმფრენით საქართველოს გარშემო; საქართველოზე შემეცნებითი ფილმის გახმოვანება ინგლისურად. ამ გახმოვანების ჩაწერაზე მეც გავყევი ლევანს სტუდიაში...

მერე იყო სამოქალაქო დეკემბრის ავადმოსაგონარი სამოქალაქო ომი, 1991 წლის დეკემბერში

იმ თაობის წარმომადგენლებს ყველას კარგად გვახსოვს 8 იანვარი 1992 წლისა.

რუსთაველზე გაქანებული ომი და დადუმებული ტელე და რადიო სივრცე. შიში, ტირილი, სიბნელე, გაურკვევლობა. და

ბოლოსდაბოლოს, სამარცხვინო ომი დასრულდა.

იმ დღეს ლევანი სამსახურში წავიდა. ყველას მაინც გვეშინია, განსაკუთრებით ჩემს მშობლებს. ყველასგან მოულოდნელად, რეკავს ტელეფონი:

- რეზო, ეს ლევანია ტელევიზორში?

- ზაირა, ჩართეთ ტელევიზორი, ლევანია ტელევიზორში..

ვეცით ტელევიზორს, რომელიც ამდენი დღის განმავლობაში დუმდა. დუმდა ყველა არხი და ყველა გადაცემა. ვეცით და ჩავრთეთ. ჩავრთეთ და რას ვხედავთ - ყველა არხზე პრესკონფერენციას აშუქებენ მაშინდელ ვიცე პრემიერ თენგიზ სიგუასა და საქართველოში მყოფ უცხოელ ჟურნალისტებსა და პოლიტიკურ ფიგურებს შორის. და აბსოლუტურ ცენტრში, ეკრანს ანათებს ჩემი ძმა - ლევანი და მისი ხასხასა, ბალახისფერი პულოვერი, რომელიც წინა წელს კანადიდან ჩამოიტანა.

ეს იყო მწვანე ფერი იმედისა, სიახლისა, დაბადებისა, აყვავებისა და გახარებისა!

იმ დღეს ტელეფონი არ გაჩერებულა, რეკავდნენ და რეკავდნენ ჩვენი ოჯახის კეთილისმსურველნი, ნაცნობები და ახლობლები, გვილოცავდნენ და, ამავე დროს, ეს იყო დასაწყისი იმედისა!!!

მას მერე 35 წელი გავიდა...

საქართველო ისევ ძიებაშია...

ისევ და ისევ სიკეთისა და კეთილდღეობის იმედით.

როსტომ ზაბახიძე

ემიგრანტი ქალის ნაამბობი

ნეტავ ვისი ხარ, ლამაზო, მარტო რომ გიშვებს წყალზედა

საარჩევნო კამპანიის დროს კოორდინატორმა ოჯახის სამი წევრის (დედამთილი, მეუღლე და მე) საარჩევნო ხმების სანაცვლოდ საწუწკარი შემომთავაზა. როცა უარი ვუთხარი, იფიქრა, ეცოტავაო და ვაჭრობა დამიწყო. მე არჩევნების ფარულობის შესახებ კონსტიტუციის მოთხოვნა განვუმარტე და მის დარღვევაში დავადანაშაულე. იუკადრისა, შემედავა და კარგად შევჯორე. დამემუქრა. არჩევნების შემდეგ ჩვენიანების, უფრო სწორად მათიანების, ჩამონათვალში არ აღმოვჩნდი. ოჯახს ეკონომიკური პრობლემები შეექმნა. ხუთი სული, მათ შორის ჩემი მცირეწლოვანი ორი შვილი, დედამთილის პენსიის ანაბარა დავრჩით.

გამოსავალს ემიგრაციაში წასვლაში ვხედავდი. ამ საკითხზე ხელისუფლების „მზრუნველმა“ მოწოდებამ განაზრახი კიდევ უფრო გამიმყარა. გარკვეული დროის შემდეგ საიდუმლო მეუღლეს გავუმხილე. ჩემგან დამოუკიდებლად ასეთი აზრი მასაც აკვიატებოდა. განსხვავება ის იყო, რომ იგი თვითონ აპირებდა წასვლას. აზრთა შეჯერებას შევეცადეთ. მე მიმაჩნდა, რომ უცხოეთში ქალის დასაქმება უფრო იოლად მოხერხდებოდა, ვიდრე მამაკაცისა. ამ საკითხში ისიც მეთანხმებოდა, მაგრამ მცირეწლოვანი შვილებიდან დედის მოწყვეტას და მის უცხოეთში გამგზავრებას გაუმართლებლად მიიჩნევდა. ვერ შევთანხმდით. ამბავი დედამთილის ყურამდეც მივიდა და მისი ინიციატივით სათათბიროდ შევიკრიბეთ. მოისმინა ორივეს არგუმენტები და მითხრა: ჯობია, შენ წახვიდე, შვილო.

მის თბილ სიტყვაში „შვილო“ სიცივე ამოვიკითხე: ვერც გავამტყუნებდი. ასაკიანი ქალია, ხედავს, რომ სამეზობლოდან და საახლობლოდან უცხოეთში მოკლე ვადით წასულები, ათ წელზე მეტია იქვე იმყოფებიან. ზოგიერთი შარსაც გადაეყარა. ჩვენს შემთხვევაშიც რომ ასე მოხდეს, მას ერთადერთ შვილთან სამუდამოდ განშორების საფრთხე ემუქრება. საამისოდ კი რძალი უფრო ემეტება.

ჩემი მშობლებიც იმავე ასაკში იმყოფებოდნენ. ალბათ ანალოგიური სიფრთხილით იყო გამოწვეული მათი განაწყენებაც, როცა დედაჩემმა ამ საკითხთან დაკავშირებით თქვა: ეს იგივეა, უცხო მოყმის საძებნელად ავთანდილის ნაცვლად თინათინი რომ წასულიყოვო.

უცხოეთში ჩემი გამგზავრება დაუყოვნებლივ ვერ მოხერხდა, როგორც ფინანსური უზრუნველყოფის, ისე უცხოეთში ვინმე მხარდამჭერის მოძიების თვალსაზრისით, ამას დრო დასჭირდა. პროცესი გაჭიანურდა, ამ ლოდინში ჩემს ირგვლივ ბევრი რამ შეიცვალა. ოჯახის წევრები, მეზობლები და ახლობლები ჩემ მიმართ განსაკუთრებით თბილი და ლოიალურნი გახდნენ. ისეთი განცდა მეუფლებოდა, თითქოს სადღაც მოუსავლეთში მივემგზავრებოდი და ახლობლები მემშვიდობებოდნენ. გულს მიკლავდა ჩემი ცელქი ბიჭების ჩემდამი მონური მორჩილება.

მოულოდნელად დედა გარდამეცვალა და ჩემი გამგზავრების ვადამ კარგა ხნით გადაიწია. როცა საამისოდ პირობები შემზადდა, მამასთან გამოსამშვიდობებლად მივედი. მამამ დედის საწერ მაგიდაზე „ვეფხისტყაოსანი“ აიღო და მითხრა: დედაშენი ამ წიგნს ხშირად ფურცლავდა, ისინი მისი თითების სურნელებითაა გაჟღენთილი, ყველაზე უკეთ შენ შეიგრძნობ და შენთვის მიჩუქნიაო.

რამდენიმე დღის შემდეგ უცხოეთში მიმავალს თან მიმქონდა მამაჩემის ნაჩუქარი „ვეფხისტყაოსანი“...

უკვე უცხოეთში ვარ. ერთმა ემიგრანტმა ქალმა შემიკედლა, სხვებიც მეკონტაქტებიან და ჩემს დასაქმებაზე ზრუნავენ.

ერთ საღამოს ემიგრანტი ქალები შეიკრიბნენ და ჩემი დასაქმების პერსპექტივაზე საუბრით დაკავდნენ. ერთმა მეეზოვეობა შემომთავაზა, მეორემ მეცხოველეობის, მესამემ კი მეფრინველეობის ფერმაში მუშაობა. უარი განვაცხადე და რაიმე ფორმით ოჯახში დასაქმებაზე გამოვთქვი მზადყოფნა. შენ ხომ არაფერს გვეტყვი, გულნაზი, უთხრეს ერთ მანდილოსანს, რომელიც განცალკევებით იჯდა.

- მე იმას ვიტყვი, რომ ეგ აქ სამუშაოდ კი არა, მგონი გასათხოვრად არის ჩამოსული, ხანმოკლე დუმილის შემდეგ ჩემს საწოლზე დადებულ „ვეფხისტყაოსანს“ დახედა და თქვა: - მზითევიც თან წამოუღიაო.

- გათხოვილიც ვარ და შვილებიც მყავს! აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ ორი კაპიკი ვიშოვო და მათ გავუგზავნო.

- ჰოდა, თუ ფულის შოვნა გინდა, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო.

- ქალაქში ვიზრდებოდი, ცხოველებისა და ფრინველებისა არაფერი გამეგება.

- მათზე პროფესიონალები ზრუნავენ, შენ მათი სადგომების დასუფთავებაზე იმუშავებ.

გულნაზის სიტყვა შემაჯამებელი აღმოჩნდა. ემიგრანტები დაიშალნენ და შეთანხმდნენ, რომ ჩემს დასაქმებაზე იზრუნებდნენ.

გულნაზის სიტყვებმა, განსაკუთრებით მისმა ტონალობამ, ისედაც სასოწარკვეთილ ქალს, გული მატკინა. მაგას გულნაზი კი არა, გულქვა უნდა ერქვას-მეთქი, გავიფიქრე ჩემთვის...

დასაქმების მოლოდინში დრო მტანჯველად გაჭიანურდა. შევყურებ ჩემს „ვეფხისტყაოსანს“ და ვფიქრობ: ამის საკითხავად აქ რომ არ წამოვსულიყავი, საქართველოში ვინ მიშლიდა. გურამიშვილის შეგონება გამახსენდა, ტყვეობაში მყოფმა საკუთარ თავს რომ შემოუძახა: „აქ რას უწევხარ საძილედ, რატომ არ წახვალ შინაო“. მეც წავალ, მაგრამ მგზავრობისთვის საჭირო ფულიც არა მაქვს. უიმედობის წყვდიადიდან ტელეფონის ზარმა გამომიყვანა. ვაჭერ ღილაკს თითს და მესმის ხმა. „გულნაზი ვარ. შენთან ერთი ახალგაზრდა კაცი მოვა და იცოდე უარით არ გაისტუმრო“. - მითხრა და ტელეფონი გათიშა. განმეორებით დაკავშირება ვეღარ შევძელი და მოლოდინის რეჟიმში გადავერთე. დასაქმების იმედი მომეცა. შემდეგ გამახსენდა გულნაზის სიტყვები: - ფულის შოვნა თუ გინდა, ყველაფრისთვის მზად უნდა იყოვო, ახლა კიდევ უცხო კაცს მიგზავნის და მეუბნება უარით არ გაისტუმროვო. შევშინდი, ყველაფრისთვის მზად ყოფნა ახლა სხვაგვარად გავიაზრე, უცხო კაცს, უცხო ქვეყანაში, უცხო ენაზე როგორ უნდა ვესაუბრო, მართლაც რომ „ყველაფერი“ მოისურვოს მარტოხელა, უმწეო ქალი რას გავხდები, თავის დაცვას გარეთ უფრო შევძლებ, გავიფიქრე და ჯერ ეზოში გამოვედი, შემდეგ კი ჭიშკარი გავაღე და იქვე ქუჩაში დავდექი.

მოულოდნელად ეზოსთან მსუბუქი ავტომანქანა გაჩერდა. მძღოლი, ახალგაზრდა კაცი, გადმოვიდა და მზერა ჩემი ბინისაკენ მიაპყრო. მივხვდი, რომ ჩემს შესახვედრად იყო მოსული. ქართულად მომესალმა და მითხრა: - თქვენ ალბათ დასაქმების მსურველი ქალბატონი ბრძანდებით. - დიახ, ვუპასუხე მე. - მეც ქართველი ვარ, აფხაზეთიდან დევნილი, ზურაბი მქვია, ოჯახში დიასახლისის სახით დამხმარე მესაჭიროება, თუ თანახმა ხართ, გამომყევით და ადგილზე ვისაუბროთ. შევთანხმდით. მგზავრობისას კმაყოფიელება გამოვთქვი იმის გამო, რომ ქართველ კაცს შევხვდი. - ჩემი მეუღლეც საქართველოშია გაზრდილი, ბერძენი ქალია. ოჯახში სასაუბროდ ქართული ენა გვაქვს - მითხრა ზურაბმა, ეს ჩემთვის ძალზე სასიამოვნო ამბავი იყო. ენის ბარიერი, რაც ემიგრანტთათვის სერიოზული პრობლემაა, მოხსნილი მექნებოდა. ზურაბს სამსახურებრივი ურთიერთობა ჰქონია გულნაზისთან. იმ დღეებში გულნაზის ჩემზე ირონიულად უთქვამს: ერთი მეოცნებე ქალი საქართველოდან „ვეფხისტყაოსნით“ არის ჩამოსულიო. ზურაბს ბავშვების აღზრდა ქართული სულისკვეთებით ჰქონია განზრახული და ამიტომ რუსთაველისადმი ჩემი ერთგულება ჩვენი შეხვედრის საფუძველი გამხდარა.

ოჯახში მივედით, ზურაბმა მეუღლე გამაცნო, მერი - მეუბნება ის თავის სახელს. მზია - ვპასუხობ მეც. ზურაბმა ჩემი მოვალეობა დამიკონკრეტა: მე მძღოლად ვმუშაობ. შორეულ რეისებში გამგზავრებისას ზოგჯერ რამდენიმე დღით მიწევს ოჯახის დატოვება. მეუღლეს ჯანმრთელობის პრობლემა აქვს, ბაშვების აღზრდასა და საოჯახო საქმეში უნდა დაეხმარო. მიჩვენა ჩემთვის გამოყოფილი, კეთილმოწყობილი ოთახი.

ზურაბი 90-იან წლებში ჩამოსულა აქ ლტოლვილის სტატუსით, დასაქმებულა მძღოლად სატვირთო მანქანაზე. დაოჯახებულა, შეუძენია ბინა. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. სამი და ხუთი წლის გოგონები.

ჩემთვის ყველაფერი მისაღები ჩანდა. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ბავშვებთან ურთიერთობა, რაც შვილების დაშორებით გამოწვეულ დარდს ნაწილობრივ მაინც შემიმსუბუქებდა.

მეორე დღიდან ჩემი მოვალეობის შესრულებას შევუდექი. ოჯახის დიასახლისმა საოჯახო საქმიანობასა და ბავშვებთან ურთიერთობის სფეროში გამაცნობიერა. ჩემზე ითქმის, ობლის კვერი გვიან, მაგრამ მაინც გამოცხვაო. მოკლე ხანში თავს ოჯახის სრულფასოვან წევრად ვთვლიდი და ჩემი ეს განცდა არ იყო ცალმხრივი.

ჩემს ახალ ცხოვრებაში გამოიკვეთა სერიოზული პრობლემაც. ეს იყო ოჯახის დიასახლისის ავადმყოფობა. როგორც ზურაბმა მითხრა, ექიმებმა მის გამოჯანმრთელებაზე ზრუნვა უშედეგოდ მიიჩნიეს. გულს მიკლავდა ავადმყოფი დედის მიერ შვილების მალულად დაღვრილი ცრემლები. ავადმყოფი ხშირად მიხმობდა თავისთან და მესაუბრებოდა, საუბარი ჩვენი შილების აღზრდასა და მომავალს ეხებოდა. ყველა წვრილმანს მეკითხებოდა ჩემი შვილების შესახებ. ხშირად ხმარობდა გამოთქმას : - ჩემს შემდეგ, ჩემს შვილებს, დედობა შენ უნდა გაუწიო. ეს სიტყვები შვილების განშორებით გამოწვეულ სევდას კიდევ უფრო მიღრმავებდა.

თითქმის ერთი წელი ვიცხოვრე იმ ჯოჯოხეთში. ამას მოჰყვა ფინალი, ავადმყოფის გარდაცვალება. ზურაბმა მოკლევადიანი შვებულება აიღო.

მერე ზურაბი სადღაც გაემგზავრა. წასვლის წინ მითხრა, შენი იმედი მაქვს, ბავშვები უნდა გამაზრდევინო. ნურც საქართველოში სატელეფონო საუბრისას გამოხატავ ღრმა სევდას, შენი ოჯახის წევრები ინერვიულებენო.

ფიქრებიდან ბავშვების ტირილის ხმამ გამომიყვანა, სასწრაფოდ მათთან შევედი. დავამშვიდე, დილა საბავშვო ბაღში მათი გამგზავრებისათვის მზადებით დაიწყო, გაგრძელდა სხვა საოჯახო საქმეებით და დამთავრდა ღამით, ბავშვების დაძინებით...

ჩვენს სამეზობლოში ამ კატეგორიის რამდენიმე ემიგრანტი ქალი ცხოვრობდა, ჩვენ ვკონტაქტობდით ერთმანეთთან, ზოგჯერ ვიკრიბებით კიდეც. შეკრების ადგილი ვერა დეიდას ბინა იყო. მისი „ხაზეინი“ ოჯახით ამერიკაში იყო გადასული. სახლ-კარისა და ეზოს მოვლა–პატრონობა ვერას ჰქონდა დავალებული. ერთხელაც შევიკრიბეთ.

- რამდენი წელია ამ ოჯახის წევრები არ ჩამოსულან, მგონი არც აპირებენ ჩამოსვლას და ამ უძრავ-მოძრავი ქონების ფაქტიური მფლობელი მე ვარ. - თქვა ვერამ.

კარი გაიღო და ოთახში ნაღვლიანი სახის გამომეტყველებით ჩვენი კოლეგა შემოვიდა. შევშინდით, საგანგაშო ინფორმაციას ველოდებოდით. რა ამბავია, მაია? - ეკითხება ვერა. მაიას ხელში მკვდარი მერცხალი უჭირავს. საქართველოში მიფრინავდა, გუნდს ჩამორჩა და ჩამოვარდა, ხელში რომ ავიყვანე, ცოცხალი იყო, მაგრამ მალე მოკვდა. - თქვა და ბავშვივით ატირდა.

ემიგრანტი ქალები ჩვენს ხვედრს გადამფრენ ფრინველებთან ვაიგივებთ. გარკვეული გაგებით ეს ლოგიკურიცაა. ორთავე შემთხვევაში კლიმატის გაუარესებასთან გვაქვს საქმე. პირველ შემთხვევაში ბუნებრივად, მეორეში კი - პოლიტიკურად. პირველ შემთხვევაში, ეს პროცესი ბუნების მიერაა დარეგულირებული და პროგნოზირებადია. მეორე შემთხვევაში კი ხელისუფალთა კაპრიზებზეა დამოკიდებული და ქაოსურია.

ბოლოს ემიგრანტები ხუმრობით დაკავდნენ და მაიას მიმართეს:

- ნეტავ როდის ეღირსება, ან თუ ეღირსება საერთოდ შენს მერცხალს სამშობლოში გადასვენება?

- ჩემ მერცხალს კი არა, ნეტავ ჩვენ არ შეგვექმნეს ასეთი საფრთხე.

- ჩვენ სამაგისო არაფერი გვჭირს.

- ასე ეგონა ჩემს მერცხალსაც.

- ნეტავ როდის აღარ დაგვჭირდება უცხო ქვეყანაში ხეტიალი.

- როცა ქვეყანას პატრონი გაუჩნდება.

- საამისო პერსპექტივა არ ჩანს.

- ისტორია აღსავსეა მოულოდნელობებით.

- ამ მხრივ უარესის ალბათობა მეტია.

- საქართველო ქართველებისაგან იცლება და უარესი რა იქნება.

საუბარი ოპტიმისტური განწყობით, საქართველოში გაზაფხულის დადგომის რწმენით მთავრდებოდა. ამ დროს ჩვენთან ხანშიშესული მანდილოსანი მოვიდა. მარგო ბებოს ეძახდნენ.

- დღეს უკანასკნელად მოვედი თქვენთან, უნდა დაგემშვიდობოთ, ხვალ საქართველოში მივემგზავრები. - თქვა მან.

- რატომ ასე მოულოდნელად, ცუდი ხომ არაფერია?

- მოულოდნელად კი არა, 15 წელია აქა ვარ, დავბერდი ქალი, ჯანმრთელობაც შემერყა. მშობლიური მიწა მეძახის. წასვლაც ძალიან მიმძიმს. აქ შეძენილ საყვარელ ადამიანებთან განშორებაც მიჭირს, მაგრამ არა დროებით, სამუდამოდ. ამ წლებში ორი ჩვილი ბავშვი გავზარდე, მათთვის მე საყვარელი ადამიანი ვარ და მტკივნეულად განიცდიან ჩემს წასვლას. მეც გული მწყდება. რა გაეწყობა, საქართველოში მათი თანატოლელი შვილიშვილები მყავს და ისინი არც კი მიცნობენ. ცოტაოდენი სითბო მათმაც ხომ უნდა იგრძნონ ჩემიდან. ასე, რომ ჩემი წასვლა აუცილებელია, ხომ არაფერს დამაბარებთ?

- მოკითხვას დაგაბარებთ საქართველოსთან.

- მაიას რაღაც უნდა გაგატანოს.

- მაინც რა?

- ხელში რაც უჭირავს.

მარგო ბებოს მერცხლის გასაჭირზე უამბეს. სიამოვნებით შევასრულებ მაგ მისიას, სთქვა მან და მაიას მერცხალი გამოართვა. შემდეგ თვითეული ჩვენგანი გადაგვკოცნა და წასასვლელად გაემზადა.

მარგო ბებო სამშობლოში წავიდა, ჩვენ დავრჩით. წელს წელი ემატება, საქართველოში გაზაფხული კი აგვიანებს. მის მოლოდინში წამიერად ჩემს ცნობიერებაში მარგო ბებოს ცრემლები გაიელვებენ ხოლმე. ვიცი, რომ სამშობლოში დაბრუნებისას მომიწევს აქ შეძენილ საყვარელ ადამიანებთან სამუდამოდ განშორება, მომიწევს უკანასკნელად ჩავიკრა გულში ჩემი გოგოები, რომლებსაც შვილებივით ვზრდიდი და ამის გააზრებაზე სევდა მეუფლება...

არასასიამოვნო ემოციები რომ თავიდან ავიცილო, ვცდილობ ჩემს შვილებაზე (ბიჭებზე) ფიქრის დროს დროებით დავივიწყო ჩემი მზრუნველობის ქვეშ მყოფი გოგოები, მაგრამ არ გამომდის.

გამოდის, რომ ჩემს აღზრდილ გოგოებთან განშორების დარდი სამარეში ჩამყვება. დედაჩემის მსგავსად მეც პოლიტიკის მსხვერპლი ვარ. ის ბოლშევიზმის, მე კი - „ნეობოლშევიზმის“.

ბასა ქართველიშვილი

ვახშამი მარიამთან

ერთი აქ, ერთი იქ, ერთიც ქრისტესთან, შეყუჟულში.

ოღონდ ჯერ დაჯექი, სული მოითქვი. ძალიან იღლები ბოლო დროს, რა გჭირს? ორმოციანები სიბერეს არ ნიშნავს. ოხრავ, თითქოს სიკვდილი გიახლოვდება.

სანთელს ვანთებ, მივიწევ კუთხეში, სკამისკენ, სანთელი ხელში მიჭირავს. იყოს ჩემთან, ჩადნეს ხელებში, თითებს რომ გამიხურებს, გადავიტან ხატთან.

მახსოვს, ბავშვობაში სანთელი ეგზოტიკა იყო, შემთხვევით თუ გაითიშებოდა შუქი, გვიხაროდა კიდეც, იყო რაღაც მაგიური იმ უშუქო ღამეებში, სანთლის ალი თამაშობდა. ეკლესიაშიც, იდუმალი რიტუალები, შემოჭრილი მზის სხივები, ექო, უჩვეულო ატმოსფერო, რატომღაც რომ არ მოსწონდათ კომუნისტებს. 1980-იანებში უკვე ისე აღარ ებრძოდნენ, მაგრამ ფორმალურად მაინც ემიჯნებოდნენ. სრული ფარსი იყო. აღდგომის შემდეგ, სამშაბათობით, სკოლაში რომ ვბრუნდებოდით, დამრიგებლები გვაფრთხილებდნენ: ბავშვებო, თუ გკითხეს გუშინ სად იყავითო, უთხარით რაიონშიო. ნუ ეტყვით, რომ სასაფლაოზე გახვედით, კომისიაა მოსული და თუ რამეა, უთხარით ბებიას ჩავაკითხეთ სოფელშიო.

მერე მოვიდა ოთხმოცდაათიანები და უკვე სინათლე იქცა ეგზოტიკად, უშუქო ღამეები კი - ყოველდღიურ ყოფად. შემდეგ თაობას ალბათ არასდროს გაჰკვირვებია სანთლის ნათება, ნავთის სუნი, ლამპის შუშასთან გაკეთებული საშინაო დავალება. მათ დაბადებიდან ეს ყოფა დახვდათ. მახსოვს, ერთმა ახლობელმა კახეთიდან პირველად რომ ჩამოიყვანა თბილისში ბავშვი, პატარას საერთოდ არ ჰქონდა შუქი ნანახი. და მეტროში მოელვარე დიდი ნათურა რომ დაინახა, დეე, მთვარეო.

სარკმლიდან წამოსული მზის ბილიკი დარბაზს კვეთს და ხატს აბრწყინებს. ნეტა რატომ მოვედი? სარკეშიც აღარ ვიხედები, არათუ ეკლესიაში. რამ მომიყვანა პატიოსანი მორწმუნესავით, თითქოს ყოველდღე აქ ვიყო? ათიოდე წელი გავიდა, ბოლოჯერ რაღაც ტკივილს რომ გამოვყევი. სხვა დროს უფრო მოსაკითხად, სტუმრად, გიდად, ტურისტად. დღეს კი ისევ რაღაცა მინდა. რა?

წინაზე, მახსოვს, მარტოობას ვგრძნობდი, საზარელს. ბზობაზე მოვხვდი სვეტიცხოველში, სადღაც მივდიოდით ქალაქგარეთ, ბზა ავიღოთ, სანთელი დავანთოთო მითხრა. გადავუხვიეთ მცხეთაში, შევედით, სავსე იყო ხალხით. სანთლით მივედი რომელიღაც ხატთან, გადავუკიდე და ვიგრძენი, როგორ გავხდი რაღაცა უფრო დიდის ნაწილი. გაქრა მარტოობა, მრევლად ვიქეცი, ბევრი სანთელდანთებული ადამიანიდან ერთ-ერთი გავხდი. ნახევარწრეზე შემოხვეული სხვადასხვა ხატებს ვედექით მრავლად. მრავალი მრევლი. ტირილი მომინდა, თუმცა დღემდე ვერ ვხვდები, მიხაროდა თუ მტკიოდა. არ მიტირია.

არც ახლა ვტირი, მაგრამ დღეს ხალხში ჩაკარგვა ნამდვილად არ მინდა, პირიქით, მახარებს, რომ ხალვათობაა. ორი-სამი ადამიანი დაიარება სიონის დარბაზში. დაკარგული სულები.

ტელეფონის ხმას ვთიშავ. ეკრანზე შეტყობინებებია: მარიამი მირეკავდა, სამსახურის წერილი, გიორგის მესიჯი ჩათში. მერე ვნახავ წერილს. ჩათში შესვლაც არ მინდა. შეტყობინებას იქვე ვხსნი. პირველი სტრიქონი იშლება: ჟვანიას დაბადების დღე ყოფილა.

ზურა ჟვანია. დღეს 60 წლის გახდებოდა.

რა ახალგაზრდა ყოფილა. მაშინ, 2005 წლის 3 თებერვალს, დილას ადრე რომ ავდექი და ლეპტოპს მივუჯექი. ენერგოკრიზისის ბოლო წელი იდგა, დილაობით უკვე ისე აღარ ქრებოდა. მუშაობა შეიძლებოდა. ახალი ჩამოსული ვიყავი ევროპიდან, ვსწავლობდი გაცვლითი პროგრამით, გავიჟღინთე ახალი იდეებით, ცოდნით, საინტერესო პროექტებით, ერთ-ერთი საქართველოშიც ჩამოვიტანე. საქმე არ მასვენებდა, იმდენი იყო საკეთებელი. რაღაცაში მთავრობასთანაც ვიკვეთებოდით, ამიტომ წერილს ვწერდი პრემიერს. ვრცელ წერილს, მოხსენებასავით, დარგის მიმოხილვა, ექსპერტთა რეკომენდაციები, კრიზისის დაძლევის გზები - თვითონვე ჰქონდა ენერგეტიკა წლის ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოცხადებული, ამიტომ მჯეროდა, წერილს თუ მივაწვდენ, გაეცნობა და რეაგირებას მოახდენს. ზოგადად, მჯეროდა ზურასი, რაღაცნაირად, მონათესავე სული იყო, მეიმედებოდა. ლეპტოპს მივუჯექი, წერილი გავხსენი და მუშაობა განვაგრძე. ბევრი აღარ იყო დარჩენილი, ორ-სამ დღეში უნდა გადამეგზავნა, ვარედაქტირებდი. ტელევიზორში რომელიღაცა არხის დილის გადაცემა მიდიოდა. უცებ ახალი ამბების სტუდია ჩაირთო და გაოგნებულმა წამყვანმა გამოაცხადა: საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია გარდაიცვალა.

ასე დამთავრდა ყველაფერი.

ეს სანთელიც ჩაიწვა. ვბრუნდები ხატებთან, ვაახლებ რიტუალს. დავეხეტები წინაპარისგან წინაპრისკენ, დავითი, ნინო, თამარი, ილია, ყველას ვეხები, ვედები, ვეყრდნობი. ძალებს ვიკრებ? თუ მხარდაჭერას ველი? ვერ ვხვდები. ერთი კი ვიცი, მჭირდებიან. და იმასაც მივხვდი, რატომ მოვედი აქ: აზრებს მინდა მოვუყარო თავი. სიჩუმე მომნატრებია. ლამის აღარ დარჩა ადგილი ქალაქში, გარდა ტაძრისა, სადაც არავინ გაწუხებს. აი თურმე, რატომ არ მინდა ჩაკარგვა ხალხში, წინა ჯერივით. თურმე მარტოობას კი არ ვგრძნობ, პირიქით, ამჯერად მარტოობას დავეძებ. საოცარია. რომ ჩამწკრივო მთელი ქალაქი რელიგიურობის მიხედვით, პირველში კი არა, ბოლო 100 000-ში მოვხვდები, ულაპარაკოდ. არადა აუტანელ მარტოობას და აუტანელ ხალხმრავლობასაც ერთნაირად ეკლესიაში მოვყავარ, თურმე.

ესეც ქრისტე. მყუდროდ, შეყუჟულში. თვალები დაუხრია. რა გითხრა, აბა, რით გაგახარო? ისევ ისე გეთაყვანებით და ისევ ისევე ჯვარზე გაკრავთ. 2000 წლის განმავლობაში, დიდი არაფერი შეცვლილა. ნუ, სულ არაფერიო ვერ იტყვი, რაც დრო გადის, უფრო მეტად ვიხრებით სიკეთისკენ, ნებით, ჯოჯოხეთის შიშის გარეშე. ვხვდებით, რომ სიკეთე აქ, დედამიწაზე გვჭირდება, და არა სამოთხის საშვად. რაღაც პროგრესი, ცხადია, გვაქვს, მაგრამ ზოგადად, რომ დაგანახა რა დღე გაყარეთ ამ სიყვარულით სავსე დურგალ ბიჭს...

გეცოდინება ყველაფერი. შეიძლება არც მტკიცდება, რომ ნამდვილად არსებობდი, ალბათ ბევრის კრებსითი ხარ. თუმცა, საერთოდაც რომ არ დაბადებულიყავი, ხორცში და სისხლში, თუნდაც პირველი 33 წელი მოგონილიყოს, დანარჩენი ორი ათასწლეული ხომ ნამდვილად არსებობ? თანაც, ეჰეჰეე როგორ. წინ უძღვები მტერსაც და მრევლსაც. ასე რომ, ყველაფერი გეცოდინება.

რა გითხრა კიდევ? რა ჯანდაბა მინდა, იცის ვინმემ?

ეეჰ. კარგი. სხვა დროს იყოს. ერთი მოსვლით არ გამოვა, როგორც სჩანს.

ზურა ოჯახს ძალიან დააკლდა. ყველას დაგვაკლდა, მაგრამ ოჯახს განსაკუთრებით. რა წესი იყო ასე გულცივად წაყვანა? ბევრი გვყავდა მასეთი? თუ მანამდე ბევრს დასცალდა და მეტი აღარ შეიძლებოდა? და მერაბი? და მეორე, ზურა, ჭავჭავაძე? ერთი ეპოქისთვის ბევრი არაა? სხვა ეპოქებში? 1920-1930-იანებში? რომელი ერთი მოვყვე? რატომ?!

კარგი, ამაზეც სხვა დროს. ვიცი, რასაც მეტყვი. ისიც ვიცი, რომ ჩემი საფიქრალია. დავალაგებ აზრებს და დაგიბრუნდები. აჭრილი ვარ ძალიან...

მოკლედ. წავედი. ვდგავარ ჯერჯერობით. წყალი შემიდგა, მაგრამ ვდგავარ. მადლობა ყველაფრისთვის. მართლა, ალალად. ბედს არ ვემდური. ყოველთვის მწყალობდა. განა ვერ ვამჩნევ. განა არ მახსოვს...

მადლიერების პრობლემა მაქვს, როგორც ჩანს. ვერ მასწავლეს ეტყობა მშობლებმა...

გარეთ გამოვდივარ. ეზოში მზეა. მარიამს ვურეკავ.

- სიხარულო, როგორ ხარ? - მესმის სითბოთი გაჟღენთილი ხმა. ეს ჩემი მარიამია. ყველაზე საყვარელი ადამიანი დედამიწის ზურგზე.

- კარგად, შენ რას შვრები?

- არა მიშავს, ცოტა წნევა მაწუხებს. რატო გირეკავდი: გათბობამ აურია, ვერ ვრთავ. გეცლება ამ დღეებში რომ ნახო?

- გამოვალ ცოტა ხანში.

- ძალიან კარგი. არ ჭამო არაფერი. წიწილა მაქვს, ბადრიჯანი, და კარგი სულგუნი შემხვდა.

სიონის ეზოდან ავდივარ კიბეზე. მზე მათბობს. ფიქრებშიც თითქოს სითბო იბუდებს. ნეტა გაღვივდეს...

ნელი ნაბიჯით მივუყვები თბილისის ქუჩებს. იცვლება ქალაქი. ყოველი თაობა, რაღაც მომენტში, ამის შემჩნევას იწყებს: როგორ იცვლება მისი ქალაქი. აი, მეც მომიწია.

იქით ჩაშკას აფთიაქი იყო. მშობლებს ისიც კი ახსოვთ, როგორ მოდიოდნენ აქ, ხელზე მოვაჭრეებთან, ფეხსაცმლის საყიდლად. პირდაპირ ქუჩაში ყიდულობდნენ, ჯერ ერთ ცალს გაიზომავდნენ, რომელიმე სადარბაზოში, მერე მეორეს, ჩუმად. რა იდიოტობა იყო ეს საბჭოთა კავშირი, ფეხსაცმლის ყიდვაც თრილერს რომ გავდა. მაგიტომაც დაინგრა, ალბათ, არაფერში რომ არ ვარგოდა. რამდენიმე თაობას კი გაუმრუდა ცხოვრება.

ქუჩებიც მრუდედ ერწყმის ერთმანეთს. ამ შესახვევში ბებო იზრდებოდა. ვერცხლის ქუჩაზე, თუ იეთიმ გურჯზე? მერევა უკვე. ტიპიურ ეზოში, ათასი რჯულის ხალხი ირეოდა, და იყო ლამაზი თბილის-ქალაქი. როგორ თქვა ელდარმა? ადამიანის საცხოვრებელი ადგილი იყო მაშინ თბილისიო. ეგ არის. აქ რომ სიყვარული იციან, ეგრე არსად. ეხლაც ლამაზია ეს ოხერი. ჭაღარა, ნატანჯი, რის არ მნახველი, სულით კი ბავშვი. ცოტა სევდიანი.

ვინ ჩააგდო ამას წინად ჩათში? ფორბსის თუ თაიმსის ტოპ ათეული, სად შეგიძლია შეხვდე ახალ წელსო, თბილისიც რო იყო სიაში. საოცრება, თუ გინდა.

მახსოვს 90-იანებში, რომ დაგვიბნელდა ყველაფერი და ნულიდან ვიწყებდით, ვფიქრობდით, ნეტა როდის დალაგდება ქვეყანა? 30-40 წელი დაგვჭირდებაო, ვამბობდით, თუმცა ისეთი პატარები ვიყავით, დროის ამხელა მონაკვეთს ვერც ვიაზრებდით. ძალიან ბევრი იყო. უფრო პირობითად, იმ დრამის, იმ შოკის ხაზგასასმელად ვიძახდით, რომელმაც მოგვიცვა ყველა. 30-40 წელი, ანუ უსასრულობა დაგვჭირდება - ამას ვგულისხმობდით. ამასობაში, გავიდა 30 წელი და, აგერ, ინებე, გლობალური გამოცემა, თავის კეთილმოწყობილ მკითხველს ურჩევს, თბილისში წადი, ახალ წელს იქ შეხვდიო, გესიამოვნებაო.

ეს სტატია მაშინ ჩაეგდოთ ჩვენთვის, იმ ბირჟაზე, ჩაკუზულები, რბილ „მაგნას“ რომ ვეწეოდით, მზესუმზირის ტკაცა-ტკუცით. თანაც, ერთ-ერთ უპირატესობად თბილისისა, სტატიის ავტორი კრიმინალის დაბალ მაჩვენებელს რომ ასახელებს. ეს რომ 90-იანებში წაგვეკითხა, ხო წარმოგიდგენია?!

კიბეზე ავდივარ, ზარს ვრეკავ, მარიამი აღებს, შევდივარ, ვიკრავ გულში. გათბობის პრობლემას წუთში ვაგვარებთ, ერთი-ორი ღილაკის დაწკაპუნებით. არა იმიტომ, რომ გათბობაში რამე გამეგება, არამედ მარიამი უკვე 80-ს უკაკუნებს და თანამედროვე ტექნიკასთან ცოტა მწყრალად არის. თვინიერად ვუხსნი რა უნდა ექნა, ისიც თვინიერად მისმენს, სახე შესანიშნავად გამოხატავს ყურადღებას. გარკვეულ ცნობისმოყვარეობასაც. ამ რიტუალს ორივე მშვენივრად ვასრულებთ, თუმცა ასევე მშვენივრად ვიცით, რომ შემდეგ ჯერზე ისევ მე დამირეკავს.

ხანდახან მგონია, რომ ეს გათბობები, ონკანები, ნათურები და ტელევიზორები მხოლოდ მიზეზია. რომ სინამდვილეში, უბრალოდ მოენატრე. ან რაღაცის სათქმელად დაგიძახა. ან სხვა, რამე ეგეთივე თბილი. გათბობის ბლოკს კი წიხლი განგებ ამოარტყა.

ხელებს ვიბან და მაგიდასთან ვჯდები, სუფრა წამში იშლება. ყველაფერი გემრიელი აქვს, როგორც ყოველთვის.

- ბებო სად ცხოვრობდა, მარ? ვერცხლის ქუჩაზე, თუ იეთიმ გურჯზე?

- რამ გაგახსენა?

- სიონში მოვხვდი, ცოტა გავისეირნე. ჩაშკას აფთიაქს მოვკარი თვალი. გარდაიცვალა ეგეც, ხო იცი? რამდენიმე წლის წინ.

- მართლა? აცხონოს ღმერთმა. ჩაშკას ვეღარ ვიხსენებ სახეზე. ჩაშკას ძმა მახსოვს, უფრო ახლოს ვიცნობდით. დედა ხო, მაქეთ გაიზარდა, დეიდა ცხოვრობდა მერე მანდ, და ბიძა. ეხლა რომ მიმიშვა ვერც მივაგნებ.

- შენ კი არა, მე ვეღარ ვაგნებ ლამის ვერაფერს. მით უმეტეს, ძველ უბნებში. ზოგან მთლიან ქუჩას ვეღარ ცნობ, ისეთი შეცვლილი გხვდება.

- ხო, არა? არადა დეიდასთან ხშირად დავდიოდით ბავშვობაში, გვიყვარდა ძალიან. სულ საჩუქრებით გვხვდებოდა. ბოლო კაპიკს იკლებდა და ჩვენ გვახარჯავდა.

- ეგ გაჭირვების დროს?

- ყოველთვის. სანამ ცოცხალი იყო, თავზე გვევლებოდა.

- ხო, მართლა, აღდგომებზე მაგათი საფლავებიც მოვინახულოთ, თორე გავიდა ამასობაში სამი წელი, დაიფარებოდა ბალახით ყველაფერი.

- მოვინახულოთ, თუ მივაგენით. ისეთი საშინელი სკლეროზი მაქვს, ამას წინათ, ალენ დელონის სახელი ძლივს გავიხსენე.

- ალენ დელონის რაღატომ უნდა გახსოვდეს?

- რას ამბობ, ბასა, შეყვარებულები ვიყავით მაგაზე ყველა.

- მერე რა? გავიდა დრო და დაგავიწყდა. მეც მავიწყდება ბევრი რამე, ჩვეულებრივი ამბავია, დაიკიდე.

- ხო, კარგი. შენ ჩემ დასაწყნარებლად ამბობ, მაგრამ მე ხომ ვიცი, ძალიან მომეშალა მახსოვრობა.

- არა, მარ, დაწყნარება რა შუაშია? მართლა შეიცვალა დრო, ინფორმაცია უამრავია, მეხსიერება იღლება, ვეღარ იტევ და გავიწყდება ბევრი სისულელე. ჩემი თაობა ყველაფერს სადმე დავთარში ან ტელეფონში ინახავს. შანსი არაა, თავში აღარაფერი გიჩერდება.

ვატყობ, ცოტათი მშვიდდება და მხოლოდ ეხლა ვიაზრებ, რამდენად მნიშვნელოვანია ეს საკითხი მისთვის. რამდენად განსხვავებულად ვრეაგირებთ ესეთ პრობლემებზე სხვადასხვა ასაკში. მე მართლაც არ ვღელავ, სულ რომ საკუთარი სახელი დამავიწყდეს, მაქსიმუმ, გავღიზიანდე, უფრო გამეღიმება. ორივე შემთხვევაში, ცხოვრება ჩვეულებრივ გაგრძელდება, რადგან ეს არ ქმნის არანაირ ეგზისტენციალურ კრიზისს. სიბერეში კი ყველაფერი იცვლება. მეხსიერების დაქვეითება შიშებს აჩენს. საკუთარი თავის რწმენას კარგავ. როცა მშობლიურ ქალაქში, მშობლიურ უბანში, მშობლიურ ქუჩიდან მცირედი გადახვევისას თავს დაკარგულ მოხუცად გრძნობ - აღარ გეღიმება.

მეტაფორის შესახებ

მეტაფორა შედარებაზე უფრო ძველია. ერთი შეხედვით, თუ დავუშვებთ, რომ ჰომეროსი და მისი განთქმული შედარებანი კაცობრიობის ისტორიის მთლად უძველეს საწყისებთან დგას, საპირისპირო დასკვნა გაჩნდება; ასეთ შემთხვევაში მეტაფორები თავისებურ შეკვეცილ შედარებებად წარმოდგება. ადამიანი როგორღაც წერს: „მჭევრმეტყველების ნიავღვარი“, იმის ნაცვლად, რომ ცალ-ცალკე და პარალელურად ორივე წევრი დაშალოს: „როგორც ნიავღვარი... ისე მჭევრმეტყველება“. მსგავს შეხედულებას მეც ვემხრობოდი იმ დროს, როდესაც ვოცნებობდი, მეტაფორებზე დამეწერა; საქმე ის გახლავთ, რომ მე მაშინ უფრო ღრმად ფიქრი ჯერ კიდევ არ მესწავლა. ჰომეროსის უკან ხომ მთელი ადამიანური სამყარო გვაწვება, რომელიც ზღაპრებით, ანდაზებით, არაკებით, ქანდაკებებითა და ტაძრებით საუბრობს — და ნიადაგ მეტაფიზიკურად.

მაგალითისათვის, ნამდვილი ანდაზა ყოველთვის წმინდა სახის მეტაფორაა. შედარება უბრალოდ არ იკვეცება; მას მყარად აკლია ერთ-ერთი წევრი — „საკუთარი ჭიშკრის წინ ყველაფერი მონიშნე“. იმავე თავისებურებით აღბეჭდილია ზოგიერთი იგავ-არაკი — მათში აზრი გამოხატულია საგნის მეშვეობით, ყოველგვარი ახსნის გარეშე; ასეთია, მაგალითად, არაკი ბაყაყებზე, საკუთარ მეფეს რომ მოითხოვდნენ; მაგრამ ყოველ არაკში, თითქოს ნახატის ქვეშ მინაწერიაო, მხოლოდ მორალია გამოყვანილი, მგონია, რომ ეს რომელიმე გრამატიკოსმა გააკეთა. ზუსტად ასევე, ჩვენ ფიქრად მოგვივიდა, ბეთჰოვენის ზოგიერთი სონატისათვის სახელი შეგვერჩია. მაგრამ ძველებს ჩვევად არ ჰქონდათ, აზრი სახეს თან ხლებოდა; მათთან აზრი უფრო თვით სახეშია, მისგან განუყოფელი გახლავთ. სახარების იგავები ხშირად ასევე გრამატიკოსის ხელის ანაბეჭდს ატარებენ; ისინი შედარების მანერით ვითარდებიან. სხვები — გამოუცნობნი, ვითარცა სფინქსი, სტილისტურად უფრო ძველები არიან და უფრო მეტ მოწიწებას იმსახურებენ. ასეთია, მაგალითად, იგავი ლეღვის დაწყევლილ ხეზე იმის გამო, რომ მას ნაყოფი არ ჰქონდა, „რადგან ჯერ კიდევ არ იყო ჟამი ლეღვის შეგროვებისა“. მგონია, რომ ეს გამოცანა გამოვიცანი, მაგრამ მის ახსნას არ ვიჩქარებ. ის, უსათუოდ, როგორც ანდაზები, ერთმნიშვნელოვანი არ გახლავთ; და არსებობს საფრთხე: როდესაც მისგან იმას იღებ, რასაც ხედავ, შეიძლება, გამოუსწორებლად აურდაურიო ის, რასაც ჯერ კიდევ ვერ ხვდები.

სრულიად შესაძლებელია, რომ უძველეს ნიშნებს სიტყვიერი ფორმა არ ჰქონოდათ და ამის ძალით სრულად მეტაფორულნი იყვნენ; უფრო მეტიც — მეტაფორულნი, თუ შეიძლება, ასე ითქვას, წინასწარგანზრახვის გარეშე. მაგალითად, ძველ დროში საფლავის ბორცვი უბრალოდ ქვის გროვა იყო, გვამს მგლებისაგან რომ იცავდა. მიცვალებულს რაც უფრო მეტი მეგობარი ჰყავდა, გროვა მით უფრო მაღლდებოდა. მისგან წამოვიდა პირველი პირამიდები; და, ეჭვი არ არის, რომ სწორედ ქვების სიმძიმემ და ფორმამ წარმოშვა პირველი აზრი კრისტალის ამ ფორმის შესახებ, მეგობრების პატივისცემით სრულყოფილებამდე რომ მივიდა. მაგრამ, როგორც დასრულებული, ისე ჩანასახოვანი სახით, საფლავი მბრძანებლური ნიშანი იყო; ეს უძველესი დაწერილობანი უფრო ადრე მოუხაზავთ, ვიდრე ადამიანები მის წაკითხვას ისწავლიდნენ; მაგრამ ყოველ ჯერზე, როდესაც ადამიანი ცდილობდა, ნაეკითხა ისინი, მათში, მიცვალებულთან ერთად, იდო ახალ აზრი; ასე წარმოიშვა კულტი, რომლისგანაც მოგვიანებით რელიგიები უნდა გამოსულიყვნენ, საფლავები რომ დაამსხვრიეს, მათგან გამოათავისუფლეს იდეა და ეგონათ, რომ სულს ათავისუფლებენ; მეტაფორა ფერფლიდან ამგვარად აღდგება, ფენიქსის — მეტაფორათა მეფის დარად.

მატერია და ფორმა

რკინაბეტონში არავითარი სილამაზე არ არის, ეს მხოლოდ მყარი ცემენტია. და მაინც, თუ არსებობს მასალა, იდეას რომ ემორჩილება, ეს სწორედ რომ რკინაბეტონია. თავიდან სასახლე შეიძლება მხოლოდ იდეაში წარმოიქმნას, შემდეგ — ქაღალდზე — ნახაზებსა და გეგმებში; ნახაზებიდან და გეგმებიდან ღრუ ყალიბისაკენ გადადიან; ყალიბი იდგმება; სახლი მასში ნაწილნაწილ ჩაისხმება; არ არსებობს ისეთი ხვეული, კარნიზი, რელიეფური ორნამენტი, რომელიც ამ ხერხით არ ჩამოისხმებოდეს; რკინა კარკასად გამოდგება და ყოველ თამამ ჩანაფიქრს უზრუნველყოფს. მაშ, წინასწარ რატომ ვართ დარწმუნებულნი, რომ ამგვარი სასახლე მახინჯი გამოდგება?

მე ავიკვიატებ საოცარ პარადოქსს:. ჩვენ ამაში დარწმუნებულნი ვართ, თუმცა არავითარი მტკიცებულება არ გვაქვს. გემოვნებიანი ადამიანი, ოცდაათი წელი მშვენიერი არქიტექტურული ფორმების განჭვრეტას რომ მიუძღვნა, ამის მიუხედავად, სრულიად უუნაროა, მშვენიერი ფორმა მოიფიქროს, როგორც არ უნდა ატრიალოს ფანქარი. ამასობაში, არსებობს ხის ეკლესიები, სადაც ყველაფერი მშვენიერია. სამრეკლოც კი, რომლის შიგნით კიბე ადის, ამ ეკლესიას ამშვენებს. და ის ყოველთვის მიბაძვის საგანი იქნება. მაგრამ აი, რა უფრო არის გასაოცარი — ეცადეთ, რკინაბეტონში გადაიღოთ მოდელთა შორის უმშვენიერესი, ასლი მახინჯი აღმოჩნდება. თქვენ აპროტესტებთ, თქვენ ამბობთ, მე არ შემიძლია, ეს წინასწარ ვიცოდე. მაგრამ თვით ქმნილებები საკმარისად დამაჯერებელია. ნაჭედი რკინა — მშვენიერია: ჩამოსხმული — მახინჯი. ჩვენი ფანჯრის რაფების სხმული მშვენიერი მოდელებისგან გადმოიღეს და ყველა მათგანი, როგორც ერთი, უსახური გახლავთ. მათ აკლია მხატვრის, შრომის, საერთო ჩანაფიქრის ბეჭედი. შეიძლება, საჭირო იყო, გვეთქვა, რომ მშვენიერი ყოველთვის წინასწარი განზრახვის გარეშეა და მას უკვე იმის შემდეგ შეიცნობენ, რაც შეიქმნება. თქვენ სპილენძის შანდალსაც კი ზურგს შეაქცევთ, საკმარისია, შენიშნოთ სხმულის ხაზი, უბადრუკი ამობურცულობანი, მოკლედ, მექანიკური კვლავწარმოების ყოველი კვალი.

შენიშვნები ესთეტიკაზე

ალენი

ალენი (Alain), ნამდვილი სახელი: ემილ ოგიუსტ შარტიე (Emile-Auguste Chartier, 1868-1951) - ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი, ესეისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ფილოსოფიის ისტორიკოსი, ხელოვნების თეორეტიკოსი, ლიტერატურის დარგში საფრანგეთის უმაღლესი პრემიის პირველი ლაურეატი (1951). მის ნაშრომებში გაანალიზებულია პოლიტიკის, რელიგიის, ეთიკის, პოლიტიკური ეკონომიის, პედაგოგიკის საკითხები.

ალენი (ემილ ოგიუსტ შარტიე) 1868 წლის 3 მარტს მონტან-ო-პერშში დაიბადა. 1881-1886 წლებში ის ალანსონის ლიცეუმებში სწავლობდა, 1886-1889 წლებში — მიშლეს ლიცეუმში. 1889 წელს მან უმაღლესი პედაგოგიური სკოლა დაამთავრა ფილოსოფიის სპეციალობით. 1893 წლიდან შარტიე სხვადასხვა ლიცეუმებში ასწავლიდა. 1903 წლიდან ის პრესაში "ალენის" ფსევდონიმით სტატიებს აქვეყნებდა, რომლებშიც 1906-1914 წლების მოვლენებს აფასებდა.

ფრანგი თეორეტიკოსის ოპუსების ძირითადი თემები ჰუმანიზმი და თავისუფლება გახლავთ. ალენი ადრეული კლასიკური ფილოსოფიის ტრადიციებზე აღიზარდა. მისი საყვარელი ფილოსოფოსები იყვნენ: პლატონი, რენე დეკარტე, იმანუილ კანტი, ოგიუსტ კონტი. მათ მსგავსად ანალიტიკოსი დიდ ყურადღებას უთმობდა მსჯელობათა თეორიას და მიიჩნევდა, რომ მსჯელობის წყალობით გონებას ხელეწიფება, მოაწესრიგოს ქაოსი.

გემოვნების შესახებ

ადამიანური მსჯელობა, ხელოვნების ქმნილებებზე თუ არ აღზრდილა, უგზოუკვლოდ ხეტიალობს და იკარგება. პირველყოფილი და არაფრის წინაშე მოკრძალებული გონება, ხელოვნების ნაწარმოებებს გვერდით ჩაუვლის და მათგან არაფერს ელის. მე ვიცნობდი ერთ პროლეტარს, რომელიც ლუვრის მუზეუმში გარბოდა, როგორც კი თავისუფალ საათს გამონახავდა, და სურათებს მავედრებლად უყურებდა; მაგრამ მასზე მადლი არ გადმოდიოდა. არ ვიცი, რა გაიგო გოეთეში ნაპოლეონმა, როდესაც მას თავისი აჩქარებული და მბრძანებლური ნაბიჯით მიუახლოვდა. მაგრამ გოეთე იყო მხნე, ზრდილი, პასუხის გაცემისას სწრაფი და კარისკაცის ხელობაში ბევრად უფრო გამოცდილი, ვიდრე ნაპოლეონი — მონარქობაში. თუმცა, იმპერატორი იქნება, თუ არა, სათანადოდ ვინ წაიკითხავს „ვილჰელმ მაისტერს“, თუ წინასწარ არ დაიფიცებს, რომ მას წიგნი მოეწონება? და ფიციც ვერ დაეხმარება, თუკი ადამიანს არა აქვს გამოცდილება წიგნის მკითხველისა, რომელსაც ხელეწიფება, რომ მეოცედ გადაიკითხოს წიგნი, მოულოდნელად მასში რაღაც ისეთი აღმოაჩინოს, რომ ის თავად განცვიფრდება: და ეს პირველი კითხვისას როგორ არ მოხვდა თვალში? მაგრამ საიდან მოვიტანოთ ამგვარი მოთმინება? ოცჯერ ხომ არ გადაიკითხავ ყველაფერს, რაც გამოდის? აქ აუცილებელი გახლავთ საიმედო ორიენტირები. პლატონის სიტყვები მრავალ წიგნშია აღბეჭდილი. აქ ჩვენ მთელი კაცობრიობა მიგვითითებს. ან, გრძნობ — ზუსტი სიტყვა ვერ მოინახებოდა, წინა სიტყვისაგან რომ არ გამომდინარეობდეს; ეს ბედნიერი შტრიხია, რომელიც თვით ოსტატს ანცვიფრებს.

კლოდელმა ტაძრებზე რაღაც ისეთი თქვა, რომლის გამოც ღირს, წაიკითხო „უწყება, მარიამის მიერ შეგონებული“, თუმცა, საერთოდაც, მე ამ დრამაში ვერაფერს ვხედავ, რაზეც დაფიქრება ეღირებოდა. ტაძრების გულუბრყვილო მშენებელი იქ არაორაზროვნად აცხადებს, რომ მას ტაძრის შესახებ წინასწარ არავითარი იდეა არა აქვს; თუმცა ის საქმეს შეუდგება და აშენებს, როგორც შენდება; ყოველ მეორე ქვას იდეა მოაქვს. როგორც ეტყობა, წინასწარ შექსპირიც მხოლოდ იმას ითვალისწინებდა, რომ სცენაზე მამის გამო შურისმაძიებელ ჰამლეტს გამოიყვანდა. შექსპირის სიდიადე გაუთვალისწინებელ მიგნებებშია; და მას მასალაც წინააღმდეგობას უწევდა. მსახიობი — ხან დაბალი, ხან მაღალი, ხან მსუქანი, ხან გამხდარი, - დაშნების არსებობა რეკვიზიტის საწყობში, კარგი მოფარიკავის აუცილებლობა, კომიკოსები, რომლებიც ტრაგედიაში უნდა გამოიყენონ, სტატისტი, შემთხვევით მთვრალი რომ აღმოჩნდება, მსახიობი ქალი, რომელიც კარგად მღერის, - აი, მისი სხვადასხვაკალიბრიანი ქვები. ჩვენი დრამატურგები კი იწყებენ იდეიდან და პერსონაჟებიდან; აქედანაა ეს რკინაბეტონის ტრაგედიებიც.

გემოვნების შესახებ

ვილად აშკარა სისულელეა. აქ ყველაფერი შფოთი და ხრიკია. რადგან, ერთი მხრივ, მე ვალდებული არა ვარ, ვინმეს ვენდობოდე მხოლოდ იმიტომ, რომ სხვები ენდობოდნენ მას. „რადგან ეს არისტოტელეს ნათქვამია, უნდა ირწმუნო“. - ამაზე უაზრო არაფერი შეიძლება იყოს. მაგრამ, მეორე მხრივ, სულაც არ არის გამორიცხული, რომ განწყობის ქვეშ მყოფთ, ჩვენ მეტად ნაადრევი დასკვნები გამოგვაქვს და ზურგს ვაქცევთ იმ ბავშვურ აზრებს, რომლებიც ნებისმიერი იდეის პირველ მონახაზებად გვევლინებიან. ასე რომ, ძველი ადამიანების მსჯელობებს აგდებულად რომ უარვყოფთ, ჩვენ იმ ნათელი იდეების ქაოსში ვეშვებით, ერთიმეორეს რომ ეწინააღმდეგებიან და ვემსგავსებით ქველმოქმედს, ყოველი მხრიდან მოსვენებას რომ არ აძლევენ დახმარების თხოვნით, რომელთაგან ყოველ მათგანზე გამოხმაურება - მადლიანი საქმე გახლავთ. შედეგად, თანამედროვე გონება აღმოჩნდება სულით ხორცამდე გაცლილი, თავხედური მტკიცებულებებით ნაწილებად დაგლეჯილი. აბა, დამისახელეთ რომელიმე მსჯელობა, რომელიც ჭეშმარიტი არ იქნებოდა?

არა, ეს ათრთოლებული გონებანი ეჭვით კი არა, უფრო მერყეობებით არის სავსე, აშკარა, მაგრამ ეფემერულ ჭეშმარიტებათა ცვლას რომ გამოუწვევია. იქ კი, სადაც არ არის ეჭვი, მეფობს ვნებები, ესე იგი, საბრძოლო განწყობილება. ამის ფარული მიზეზი უთუოდ ის გახლავთ, რომ აქ აზრი ფესვებით წარმოსახვაში არ მიდის, და სხეულს დისციპლინას არ აჩვევს. მან, ვინც არ შეინყნარა ყველა ღმერთი, ამით სულაც არ უკუაგდო საკუთარი სხეული, რომელშიც ისინი ყველანი თვლემენ. პირიქით, აუცილებელია, ოცნება იდეამდე აამაღლო და ყოველი რელიგიიდან ჭეშმარიტება გამოიტანო — რეალური კაცობრიობა სწორედ ასე იქცეოდა და, ამგვარად, ხამს, მისი მაგალითის მიხედვით მოვიქცეთ.

თარგმნა მანანა კვატაიამ

ჰენრი ლონგფელო

ჩემი ტაძარი

ვით ორი კოშკი მაღალი ტაძრის, ფიჭვები
დგანან, თვალისმომჭრელნი,
ზეიწევიან ჩუქურთმიან კენწეროებით, უხვი
გირჩებით,
ქვეშ ქვით ნაშენი არ არის თაღი. აქ ხელოვნების
არა ჩანს კვალი.
მომხიბლავ ხაზებს შეხებია ბუნების ხელი
გამოუკვეთავს მოხდენილი ვაზის ტოტები,
ორღანის ნაცვლად ქარი მოთქვამს, კვნესის და
ღმუის
და არც აკლდამა არ დაფარავს ძვლებს
წამებულის.
ზედ არ ეყრდნობა მარმარილოს ეპისკოპოსი.
დაადგი ფეხი ზედ ქვაფენილს, ფოთლით
შემოსილს,
მსუბუქი ექო ნაბიჯების სივრცეს ედება,
უსმინე! როგორ გალობს ქორო — გუნდი
ჩიტების,
ლავგარდანის ქვეშ ფოთლით მოსილ აივნებისა.
და ყური უგდე! მათი გალობა სანამ გაქრება,
და შეიცანი, ღვთის სადიდებლად რომ ზედმეტია
თავად სიტყვებიც.

ღამე

როცა მწუხრია და ღამეში მეფობს სიჩუმე,
თანდათან თითქოს იძირება მიდამო, ქრება
და მასთან ერთად იწყეს ქრობა დღის
აჩრდილებმა,
და შუქს მიჰყვება კაცთა, საგანთა ლანდები
მრუმე,
აურზაური, დევნა, გაქცევა, ბრბოთა სიუხვე,
უაზრო ბრწყინვა, თუნდაც ჩვენება,
მღელვარება და საზრუნავი, გულს რომ აწუხებს,
მოულოდნელად, სამუდამოდ, უკვალოდ ქრება.
უკეთესდება ეს ცხოვრება, სამყარო უკვე
აღარ გვაწუხებს, ჩანაწერებს ჩვენ კი ამოვშლით
ჩვენი ცხოვრების გაცვეთილ წიგნში რაც ხშირად
გვხვდება,
პალიმფსესტივით ერთმანეთზეა გადაწერილი
ყოველდღიური მოვლენები დროის და სივრცის,
ყური მიუგდე! მიმალული სრულყოფილება ისევ
ცოცხლდება.

ზარეების რეკვა

საამო ზარი! სიმარტოვეს როცა გრძნობ ღამით,
გადის საათი, ახლოვდება სიბნელის ჟამი,
სახლის მდუმარე ოთახებში კი მოჩანს კვალი
ციურ სხეულთა რომ იძვრის ღვარი!
დახუჭულ თვალთა მიღმა, შიდა მზერითა ვხედავ
ზეციურ თაღზე თანავარსკვლავთ რომ უდევთ
ბუდე
და მოძრაობენ დიდ წრეებად, ყური მიუგდე!
და როცა ფრენენ, მე ჩამესმის ვარსკვლავთა
მღერა.
ძილს ის ჯობია, როცა ფხიზლობ, არ გეძინება
და თავს დაგცქერის ვარსკვლავებით სავსე
გუმბათი
უსაზღვროება ფართე ცისა, და იგრძნო მაშინ
მთვლემარე მიწა თუ ჩვენ ქვემოთ ვით იძირება,
ძლივს რომ ქმნის მორევს — ქაფიანი მოვარდნა
მათი
როცა ხომალდი იძირება, უსაზღვრო ზღვაში.

მზის ჩასვლა

თანდათან ჩადის მზე ზაფხულისა,
და წითლად ელავს კენწერო ხისა,
ტაძრის გუმბათი, მეზობლად მდგარი,
აელვებულა ვით ცეცხლის ალი.
ქვემოთ კი ყოველს დასდებია ბინდი ჩრდილისა.

ო, მშვენიერო, საშინელო დღეო ზაფხულის,
რით გაგვახარე ანდა რითი დაგვწყვიტე გული?
სიკვდილ—სიცოცხლით, ანდა ზიზღით თუ
სიყვარულით,
ბედნიერ სახლით თუ მარადის მიტოვებულით,
სევდით აღსავსე გულებით თუ დიდ სიხარულით!

ცხოვრების გზები გაიზარდა ერთ მილის ნიშნით,
ერთი ფურცელიც გადიშალა ცხოვრების წიგნში
და წითელ ბეჭდად დაესმება მზე ჩამავალი,
კარგსაც და ავსაც, შეუქმნია რაც კაცს
მრავალი—
ველარ მოხდება ცხოვრებაში აღდგენა მისი.

ინგლისურიდან თარგმნა მედეა
ზაალიშვილმა

თორნიკე კანდელაკი

ღირსსავს ხელოვანს, გმირს სახელოვანს, მირზა გელოვანს

მირზა, გიგზავნი მე ამ სტრიქონებს
შვილი სხვა დროის სხვაგვარ გუგუნის,
მინდა გახარო, რომ კვლავ იგონებს
შენ სახელს ქარიც სხვა საუკუნის.

გახარა ვინმემ, რომ მორჩა ომი?
დაირღვა ცეცხლის შავი ზეწარი
და ახდა ნატვრა, თუმცა კი, ლომო,
შენ მის ახდენას ვერ მოესწარი.

გათავდა ომი, დააგვირგვინა
გამარჯვებებმა ყველა ქაოსი,
სანამ გელოდა მარადი ბინა
სანიკის ძმათა სასაფლაოზე.

და ქართლში ახლა ლხენით მღერიან,
დასდეს სახეებს ღიმილი ბადრი,
ვცოცხლობთ ჩვენ კიდევ ასი წელია
შენი გმირული მარჯვენის მადლით!

შორით ჩავლილი სიცოცხლის დღენი
ისევ ხმაურობს, ისევ იწყება,
ომს შეწირული სიცოცხლე შენი
არ მისცემია აქ დავიწყებას.

ლექსებად თარგმნე ზუზუნში ტყვიის
სამშობლოსადმი გულის ალერსი,
არ ივიწყებდი ღმერთს პოეზიის,
როს ჩაჰყურებდი სიკვდილს თვალებში.

მოგქონდა ომის მძაფრი სურათი
დაღლილს დაღუპულთ ველების
მოვლით
და სველ ფარავჯას რომ იხურავდი
მეც შენთან ერთად ვიწვოდი თოვლით.

ესმის კი ვინმეს რამდენი ძალა,
რა დიდი სულის პატრონი უნდა,
უბეს ივსებდე ვარდებით ხალას,
როცა სიკვდილი გიცინის ყურთან.

დიდება ყველა გმირს, სახელოვანს,
ვინც დაიკარგა ომების ქარში
და ეს კი ჭაბუკ მირზა გელოვანს,
მირზას, რომ შერჩა თვალები ბავშვის!

დიდება ყველა გმირს, სახელოვანს,
არ შეაშინა ვინაც მტრის ტყვიამ
და ეს კი ჭაბუკ მირზა გელოვანს,
მირზას, რომელმაც სიკვდილი სძლია!

ვენგო წიკლაურის ხსოვნას

ჩვენ ყველას მშვიდად გვეძინა მაშინ
ფიქრით — ცხოვრება თუ როგორ
მიგვდის,
როცა ის, სადღაც, ბნელ პალატაში
თვალდახუჭული ებრძოდა სიკვდილს.
რომ მოიხადა სიჩუმემ ქუდი
და ამოსუნთქვა წარიღო ბოლო,
უკანასკნელი იმისი წუთის
იყვნენ მოწმენი კედლები მხოლოდ.
რომ ლოცვას ჰგავდა ჩუმი ჩურჩული,
ამაღლდა ჭერი როგორც გუმბათი
და შორს აღელდა გადალურჯული
დამწუხრებული მთა გუზუმბათის.
თოვლი ეწვია მშობლიურ მხარეს,
მშობლიურ ველებს დაერღვათ რული,
სად უკანასკნელს გზავნიდა ალერსს
მდუმარედ მისი მხურვალე გული.
ყველაფერს, რითიც თვალი თვრებოდა,
რაც სული იყო მისი ცხოვრების,
ის სამუდამოდ ეთხოვებოდა
ამ შორეული გამოთხოვებით.
რაოდენ ფიქრებს იწვევდა სივრცე,
ან მოგონებას გაუხუნებელს,
და ადიოდა ნელი-ნელ ხიდზე —
ხიდზე უცნობ და დაუბრუნებელ.
ზეცას, ზმანებულს ალბათ სახლივით,
სად აღარ იცის ოცნებამ ძილი,
მან მიაბარა სული დაღლილი,
სული მშვიდი და კეთილშობილი.
მაშინ ჩვენ ყველას გვეძინა მშვიდად,
თვალს არ ეკიდა ცრემლი გვიანი,
როცა ის, სადღაც, ბნელ პალატიდან
დაგვემშვიდობა თვალცრემლიანი.

ვეფხია სამსონიძე

***

წმინდანის მანდილი... ხმაურში
სიმშვიდე...
არ არის ადვილი... ტაძრამდე მიხვიდე...
ტყუილის მორევში - სიმართლე ჰკიდია...
დამოკლეს მახვილი... სამოთხეს
დავეძებ...
უდაბნო მომელის... არსაით ძახილი...
გაძლება — გმირობა... მოკლული
პირობა...
ბღავილში - ჰანგები... არ დაიკარგები...
სიტყვაში ქარაგმად თუ დაიქარგები...
და სულის ვედრება... ლოცვად და
მხედრებად,
სამშობლოს დარაჯად... თვალწინ რომ
ლანდად მაქვს...
ნაკუწი ჩოხის და ტყვიებით ფარაჯა...
კომკების დამცველი... არასდროს
მშორდები...
ლეგენდავ გმირობის - არ განმეორდები...
სინათლე ბნელეთში... ღრუბლები —
ხევებში...
ლამაზი ზმანება... უკვალოდ გაფანტვა
და კვლავაც არხილვა რომ დაგენანება...
სინორჩე ტალახში, სინაზე ბალახში -
ქარმა რომ გათელა...გრძნობების
ტრიალი
დარდად და მორევად... უეცრად გამხელა
სტრიქონი სტრიქონთან... სული არ
იღლება...
ფრენად და ჰანგებად რომ
გადმოიღვრება...
დრო-ჟამი - ძუ მგელი... არ იცის
დანდობა,
სტრიქონის სხივებად... წყალობად
განდობა...
ჩვილია მირონით ზეიმი ნამდვილი...
ცოცხალი არ მოკვდე... არ არის ადვილი!

***

ამბორს ვუგზავნი
სიყვარულით ნაშობ სტრიქონებს,
ლამაზ თვალებში ანგელოზი
თავს მოიწონებს,
სევდიან ზღაპრის მელოდიას
რომ გაიხსენებს,
წვიმიან ღამეს პოეზიით
კვლავ გაითენებს,
სამოთხის ბილიკს ნეტარების,
ამოიჩემებს,
ლამაზ ტუჩებზე კოცნის ეშხსაც
თუ დაიმშვენებს,
ვნება და ღელვა მიჯნურობის
დაფრთიანდება,
და აღტაცება გულში კვლავაც
ახმიანდება,
ამბორს ვუგზავნი გაბრწყინებას
მე ამ თვალების,
ათრთოლდებიან, შეკრთებიან
მკერდზე ხალები,
ამბორს ვუგზავნი სინორჩეს და
ყელმოღერებას,
ნატიფ სხეულზე სიმფონიას
და მოფერებას,
ტრფობა იქმნება გამხელილი
გულისნადებად,
ანგელოზთაგან უკვდავება
დაიბადება!

ნუგზარ გიგაური

წუწკი მელა

(იგავ-არაკი)

ერთ უსიერ - უღრან
ტყეში
წუწკი მელა სახლობდა,
მეფობაზე ოცნებობდა
სხვა საქმე არ ახსოვდა.
ხოდა ერთხელ
გადაწყვიტა
გაემართა ნადიმი,
მოიწვია დათვი, მგელი,
სხვა მრავალი ნადირი.
დაახვავა პურმარილი,
დაანაყრა სტუმრები,
შავი ღვინით
გამომთვრალი
გაჰკიოდნენ ტურები.
მაშინ როცა მზე ჩავიდა,
ტყე სიბნელემ დაფარა,
ვარსკვლავებით
მოჭედილი
ფარდა ჩამოაფარა,
მელაკუდამ ჩაახველა,
ხელი მაღლა ასწია,
მოკლე - დინჯი
ნაბიჯებით
ტრიბუნისკენ გასწია.
დადგა, წელში გაიმართა,
გადახედა მოსულებს,
გამალებით დაეძებდა
ქვეყნის მტრებს და
ორგულებს.
- მეგობრებო, მინდა
გამცნოთ
ამ შეკრების მიზანი,
მეფე ლომის
ხელშეწყობით
ბევრი გახდა ხიზანი,
სამშობლოს რომ
დავეხმაროთ
ცუდ დღეში არ ჩავაგდოთ,
საჭიროა ვიმოქმედოთ
მეფე ლომი გავაგდოთ.
მოვიშოროთ საშინელი,
საზარელი ბატონი,
დროა, გავხდეთ ამა
ქვეყნის
მშველელი და პატრონი.
მინისტრობას დათვს
შეჰპირდა,
მგელს ვეზირის წოდებას,
ტურას უზრუნველ
ცხოვრებას
და უამრავ მოგებას.
არც სხვებისთვის
დაიშურა
დიდ - პატარა სკამები,
ფულით სავსე სეიფები
ღვინით სავსე ჯამები.
ბოლოს ისაც დააყოლა,
- მე ბევრი არ მჭირდება,
მგონი თქვენი
ხელმწიფობა
სულ არ გამიჭირდება.
სიტყვა თქვა და
გადაწყვიტა,
საჭიროა ომიო,
ჩვენი ტყიდან რომ
გავაგდოთ
დოყლაპია ლომიო...
მერე გარეთ გაიყვანა
გამომთვრალი სტუმრები,
იარაღით დატვირთული
მოაყენა ურმები.
სათითაოდ დაურიგა
ხიშტიანი თოფები
და სასახლეს მიაყენა
ლოთები და შფოთები.
ატყდა სროლა,
ბათქი-ბუთქი,
დაიხოცნენ მცველები,
მომხდურებმა ძმათა
სისხლით
დაიბანეს ხელები.
ბევრს ეცადა მეფე, მაგრამ
ვეღარ გახდა ვერასა,
ვერაფერი მოუხერხა
ბრბოს ბნელსა და
ვერაგსა.
როგორც იქნა აისრულა
მელაკუდამ წადილი,
ვინც მის სიტყვებს
დაუჯერა
ბრიყვი იყო ნამდვილი.
ტახტზე კარგად რომ
მოეწყო,
დაერია მეგობრებს,
მთა და ბარი, ზღვა და
მდელო
დაურიგა მეზობლებს.
სანამ ყური შეიბერტყეს
მელას გვერდით
მდგომებმა,
ნახევარი ტყე გადაწვეს
სისხლისმღვრელმა
ომებმა.
რაც გადარჩა,
გაცამტვერდა,
ოხრად დარჩა ყოველი,
ყველაფერს დაეპატრონა
უცხო მოდგმის ცხოველი.
მაშინ, როცა ყველა
მიხვდა,
რას ფიქობდა მელია,
ტყის ბინადართ
მოთმინების
ძალა გამოელიათ,
მიუვარდნენ სასახლეში
გაუხსენეს ვალები,
შიშისაგან საცოდავმა
დააჭყიტა თვალები.
ბევრი მოხვდა მატყუარას,
ძლივს გაასწრო
ფანჯრიდან,
მაგრამ მგლებმა გზა
შეუკრეს
მარცხნიდან და
მარჯვნიდან.
არ დააკლეს ცემა-ტყეპა,
დაახიეს ყურები,
ოხრად დარჩა უნამუსოდ
შეძენილი ფულები.
გამყიდველს და
მატყუარას
არ ეგების შენდობა,
არც მტერი და არც
მოყვარე
ასეთებს არ ენდობა.
სამშობლოს არ უღალატო,
სიტყვაც არ თქვა
სხვაგვარი,
თუ გინდა, რომ არ
გადაგხდეს
საქმე მელას მაგვარი.
არასოდეს დაივიწყო
წინაპართა წესია -
ყველა კაცი იმას იმკის,
რაც რომ დაუთესია.

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მეტრეველი**
ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დემეტრაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ბელა გველესიანი, მზია ბარბაქაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი: **ირაკლი ავალიანი**

„ლიტერატურული საქართველოს“
საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი,
GE43BG0000000161665862

გამოდის 2 კვირაში ერთხელ

დაბეჭდილია შპს
“საარის” სტამბაში
მისამართი:
თბილისი, თევდორე
მღვდლის 57

ISSN 2720-8540

ზანდუკელის# 1; ტელ.: 2936977 E-Mail: litsaqartvelo@yahoo.com